საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №153 (2526) პარასკევი, 4 ივლისი, 1997 წელი. ფასი 40 თეთრი, თბილისს გარეთ – 45 თეთრი.

სოციალური დაცვა

თქვენ გეხმარებათ სახელმწიფო

წლეულს საქართველოში სახელმწიფო 120 ათას ოჯახს დაეხმარება, ეს არის „სოციალური (ოჯახური) დახმარების შესახებ“ პრეზიდენტის 1996 წლის 25 დეკემბრის ბრძანებულების რეალიზაცია. როგორც ამბობენ, დახმარების ეს სისტემა სრულიად ახალია და საბაზრო ეკონომიკის პოლიტიკიდან გამომდინარეობს.

სსრ კავშირში დახმარებათა მთელი წყება არსებობდა. მაშ, რაღაში მდგომარეობს სიახლე, რითია იგი განსაკუთრებული და აღსანიშნავი? ამ საინტერესო კითხვებზე გვპასუხობს საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების მინისტრის პირველი მოადგილე ბატონი **გიორგი კალანდაძე.**

იხ. მე - 3 გვ.

თემიდა

მარკ ტვენი დეტალურად აღწერს, რა ხდება... საქართველოში

2 ივლისს ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოში დანიშნული იყო ბარამიძე — მაჭავარიანი — რჩეულიშვილის პროცესი. შეგახსენებთ, რომ საქართველოს პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ბარამიძემ და საქართველოს მოქალაქეთა კავშირის გენერალურმა მდივანმა მიხეილ მაჭავარიანმა ბატონი შალვა რჩეულიშვილის განცხადება — ბარამიძე და მაჭავარიანი „ელიზის“ უკან იმიტომ დგანან, რომ ერთი მილიონი დოლარი აიღესო, ცილისწამებად მიიჩნიეს და ბატონ შალვას სასამართლოში უჩივლეს.

ამ დღეს ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს შენობის წინ ხალხმა დილიდანვე მოიყარა თავი. მოქალაქეთა კავშირის წევრებისა და ჟურნალისტების გარდა, ამ ფაქტს გულგრილნი არც გამვლელები დაუტოვებია. მათ შორის ბევრმა, პრესაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, საქმის არსი უწყოდა, ზოგიც იქვე ცდილობდა გარკვეულიყო, რა ხდებოდა.

იხ. მე - 6 გვ.

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

ბორის ბერეზოვსკი: ქართულ და აფხაზურ მხარეებს კარგად ესმით, რომ იძულებით ადგილნაცვალ პირთა უსაფრთხო დაბრუნება გარანტირებული უნდა იყოს

რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ბორის ბერეზოვსკი, რომელიც გუშინ, 2 ივლისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ზურაბ ჟვანიასთან და რუსეთის ფედერაციაში ჩვენი ქვეყნის ელჩთან ვაჟა ლორთქიფანიძესთან ერთად სოხუმში იმყოფებოდა, 3 ივლისს, გამთენიისას თბილისს დაბრუნდა.

იმავე დღეს გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისა და ბორის ბერეზოვსკის შეხვედრა, რომელიც დახურულ კარს მიღმა თითქმის ოთხ საათს გაგრძელდა. შეხვედრის დამთავრებისთანავე მოლაპარაკების მონაწილეებმა მოკლე განცხადებები გააკეთეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებისათვის.

ბორის ბერეზოვსკის შეფასებით, საქართველოს პრეზიდენტთან გამართულ შეხვედრებზე, რომელთა დროსაც განიხილეს აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო წრე, მიღწეულია პროგრესი იმ თვალსაზრისით, რომ დღეს კონფლიქტში მონაწილე მხარეთა შორის მეტი ურთიერთგაგება არსებობს – ეს კი იმის იმედს იძლევა, რომ მოლაპარაკების პროცესი მოკლე ხანში თვისებრივად გაუმჯობესდება, რაც გრძელვადიან პერიოდში საშუალებას მოგვცემს კონფლიქტის მოწესრიგება სწორი მიმართულებით წარვმართოთ, – თქვა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ. მისი განცხადებით, პოლიტიკურთან ერთად არსებობს პრაქტიკული პრობლემებიც, რომლებიც ეხება კონფლიქტის დროს დაზარალებულ ხალხს. ბერეზოვსკის აზრით, მთავარი საკითხი, რომელშიც პროგრესია მიღწეული, ის არის, რომ ქართულ და აფხაზურ მხარეებს კარგად ესმით – იძულებით ადგილნაცვალ პირთა უსაფრთხო დაბრუნება გარანტირებული უნდა იყოს. ამასთან დაკავშირებით ბერეზოვსკის განცხადებაში ჩამოყალიბებულია უსაფრთხო დაბრუნების უზრუნველყოფის საკმაოდ კონკრეტული ტექნიკური მექანიზმები. რაც შეეხება კონკრეტულ ვადებს, ამ საკითხს, ჯერჯერობით, განიხილავენ.

ედუარდ შევარდნაძემ მაღალი შეფასება მისცა ბორის ბერეზოვსკის ენერგიულ და მიზანდასახულ საქმიანობას. თუმცა, მიღწეულ პროგრესზე დეტალური საუბარი საქართველოს პრეზიდენტის აზრით, ამ ეტაპზე არამართებულია, ვინაიდან მოლაპარაკების პროცესი ჯერ არ დასრულებულა და არის საკითხები, რომლებიც დამატებით დამუშავებას მოითხოვს.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აზრით, მნიშვნელოვანია, რომ კონფლიქტის მოწესრიგებისა და მოლაპარაკების პროცესში ჩაერთო პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, რაც, როგორც ედუარდ შევარდნაძეს მიაჩნია, გაზრდის ქვეყნის პარლამენტის მონაწილეობას მოლაპარაკების პროცესში. პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა როლი.

ჟურნალისტებთან ხანმოკლე ბრიფინგის შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ და ბორის ბერეზოვსკიმ განაგრძეს საუბარი კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში.

იმავე საღამოს რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე მოსკოვს გაემგზავრა.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

სურათზე: ედუარდ შევარდნაძე და ბორის ბერეზოვსკი ბრიფინგზე.

მიხეილ მაჭავარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ვინ ამბობს სიმართლეს?

ვლადისლავ არძინბამ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ ჯერჯერობით არ შეიძლება ლაპარაკი რაიმე პროგრესზე ქართულ-აფხაზური მოლაპარაკების პროცესში. თუმცა, მისივე თქმით, პროცესი მიმდინარეობს და, ადრე თუ გვიან, მხარეები პროგრესსა და კომპრომისს მიაღწევენ.

აფხაზეთის სეპარატისტული პარლამენტის თავმჯდომარემ სოკრატ ჯინჯოლიამ კი განაცხადა: „მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს ქართული და აფხაზური მხარეები აქტიურ კონსულტაციებს აწარმოებენ რუსეთის შუამავლობით, უნდა ვაღიაროთ, რომ მხარეებს შორის არსებობს დაუძლეველი წინააღმდეგობები, რომელთა გადალახვაც შეუძლებელია“.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 1 ივლისი ქ. თბილისი

გ. ვეკუას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამედიცინო კადრების აღზრდის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებათმეცნიერებათა კათედრის პროფესორი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ვეკუა დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 3 ივლისი ქ. თბილისი

ს. იაკობაშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში შედუღების დარგში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილისა, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სოზარ იაკობაშვილი დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს კანონი

„საბაჟო გადასახადის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

„საბაჟო გადასახადის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, 1997 წ, № 1-2(33-34/7) მე-5 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის წინადადება: „გარდა საქართველოში იმპორტირებული ავტომობილებისა, რომელთა საბაჟო გადასახადი განისაზღვრება 0,05 ლარის ოდენობით ავტომობილის ძრავის მოცულობის ყოველ კუბურ სანტიმეტრზე პლუს საბაჟო გადასახადის თანხის 5 პროცენტი მანქანის ექსპლუატაციაში ყოფნის ყოველი წლისათვის“.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1997 წლის 13 ივნისი.

დღეს

გთავაზობთ საქართველოს კანონს **შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ**

ხვალ

წაიკითხავთ საქართველოს კანონს **კულტურის შესახებ**

შევეწიოთ

სამების ტაძარი — საუკუნის მშენებლობა

ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:

- ·. დევდარიანი – 5 ლარი
- ·. დევდარიანი – 5 ლარი
- ·. უხურგუნაშვილი – 20 ლარი
- ·. ტურძელაძე – 10 ლარი
- ·. ქავზიანაძე – 10 ლარი
- ·. ბალაბაძე – 10 ლარი
- ·. ბერძანია – 5 ლარი
- ·. დუმბაძე – 5 ლარი
- ქ. ბათუმის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი – 300 ლარი
- პროფკომიტეტის თანამშრომლები – 509 ლარი
- გორის აგრობანკი – 20 ლარი
- ლ. ბერძენიშვილი – 3 ლარი
- მ. მაღრაძე – 100 ლარი
- ო. თ. ჩალაძე – 5 ლარი
- „საქართველოს ბანკის“ ქუთაისის ფილიალი – 1290 ლარი
- ნიკიტა აბაშიშვილი – 35 ლარი
- ალექსანდრე მედოშვილი – 30 ლარი
- ეკატერინე ამყოლაძე – 30 ლარი
- ა. გოგოლიძე – 63 ლარი
- „საქართველოს ბანკის“ საბურთალოს განყოფილება – 50 ლარი
- ა. დ. ჩიხლაძე – 100 ლარი
- საქართველოს ბანკის გლდანის განყოფილება – 20 ლარი.

ინფორმაცია

მსოფლიო ეკოლოგების მთავარი საზრუნავი

ნიუ-იორკიდან დაბრუნდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი ნინო ჩხობაძე, რომელიც ჩვენს ქვეყანას წარმოადგენდა გაეროს გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიაზე.

კონფერენციაზე პრიორიტეტულ საკითხად გამოიყო ემისიის შეჩერება ყველა ქვეყანაში და მესაბამისად ახალი, უფრო სუფთა და რენტაბელური ტექნოლოგიების დანერგვა ეკონომიკაში და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება.

ნინო ჩხობაძის აზრით, მთავარი, რაც სესიამ მოუტანა საქართველოს – ეს არის მისი პოზიციის დაფიქსირება, საერთაშორისო მასშტაბით მისი ინტეგრირება.

საქენერგოს ერთი მილიარდი დოლარი სჭირდება

საქართველოს ქონების მართვის მინისტრის ავთანდილ სილაგაძის ინფორმაციით, საქართველოს ენერგოსისტემა დაახლოებით 1 მილიარდი დოლარის ინვესტიციას საჭიროებს. ასეთი სერიოზული თანხების მოსაზიდად ქონების მართვის სამინისტრო მსოფლიო ბანკთან ერთად ახლო მომავალში ტენდერების გამოცხადებას აპირებს.

რადიო „საფრანგეთი“ ამიერკავკასიაში

მიღწეულია მორიგება, რომ მიმდინარე წლის ოქტომბრიდან საერთაშორისო რადიოსადგური „საფრანგეთი“ მაუწყებლობას დაიწყებს საქართველოს ტერიტორიაზე. მაუწყებლობა იქნება ფრანგულ ენაზე, რაც პროექტის ორგანიზატორების – საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს, საფრანგეთის კავშირგაბმულობის სამინისტროსა და რადიოკორპორაციის თანამშრომელთა აზრით, არსებით დახმარებას გაუწევს მსმენელებს ამ ენის შესწავლაში. გადაცემათა პროგრამაშია საფრანგეთის ახალი ამბები, ერთობლივი გადაცემები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურულ პრობლემებზე. თბილისის შემდეგ ამგვარი გადაცემები მოეწყობა საფრანგეთიდან ერევნისა და ბაქოს რადიოსადგურებისთვისაც.

ამერიკელი და ქართველი გვარდიელების ერთობლივი წვრთნა

დღეს, 11 საათზე ალექსეევკაში დაიწყება ამერიკელი და ქართველი გვარდიელების ერთობლივი წვრთნა „კორენსტოუნ-97“.

ორივე ქვეყნის ჯარისკაცები ერთობლივად შეუდგებიან წყნეთის ბავშვთა სახლისა და ბავშვთა მეორე საავადმყოფოს სარემონტო სამუშაოებს.

მალე დიდი ალოობა დაიწყება

რამდენიმე დღეც და გაჩაღდება ალოობა აღმოსავლეთ საქართველოში. წინასწარი მონაცემებით, წლეულს მოსავალი ასაღებია 200,9 ათას ჰექტარზე. მოსალოდნელია წარმოებული იქნეს 379,0 ათასი ტონა მარცვლეული (ხორბალი და ქერი). თავთავიანი კულტურის ძირითად მწარმოებელ კახეთის რეგიონში, სადაც ამ დღეებში უკვე დაიწყო შერჩევით მკა, 81,0 ათას ჰექტარზე წინასწარი ვარაუდით უნდა აიღონ 166,7 ათასი ტონა მარცვლეული.

აღადგენენ შავი ზღვის ნაპირებს

ბათუმის საზღვაო სამშენებლო საწარმო „შელფი“ და გაერთიანება „საქართველოს შავი ზღვის ნაპირების დაცვა“ ერთობლივად განახორციელებენ ინტენსიურ აღდგენით სამუშაოებს.

ბათუმში მიმდინარეობს გოგებაშვილის ქუჩის განახლება. დაგეგმილია კატარღების სადგომის, კაფე-ბარების აშენება.

სეირან ბაროიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

აჭარის კულტურული მიღწევები

ბათუმში საქართველოს კულტურის სამინისტროს კოლეგიის გამსვლელ სხდომაზე მინისტრმა ვალერი ასათიანმა რეგიონის კულტურული მიღწევები დადებითად შეაფასა.

ახლახანს აჭარის სახელმწიფო კაპელამ ბულგარეთში, საგუნდო მუსიკის 24-ე საერთაშორისო ფესტივალზე მე-3 ადგილი დაიკავა, ხოლო ვოკალურმა ანსამბლმა „ბათუმმა“ სტოკჰოლმში გამართული მუსიკის საერთაშორისო კონკურსში გაიმარჯვა.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, „მოამბე-ექს-პრესმა“, „იბერიამ“.



უკანასკნელ საათს

მოსკოვი. გუშინ აქ რუსეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფოთა მეთაურებმა ბორის ელცინმა და ჰეიდარ ალიევმა მოლაპარაკების შემდეგ ხელი მოაწერეს მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტებს, მათ შორის, განახლებულ საკვანძო ხელშეკრულებას მეგობრობის, თანამშრომლობისა და უშიშროების შესახებ, შეთანხმებას ორ ქვეყანას შორის უვიზო რეჟიმის თაობაზე და სხვ. მიღებულ დოკუმენტებში დაგმობილია ყოველგვარი სეპარატიზმი. ბორის ელცინმა განაცხადა, რომ იგი შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის პრეზიდენტებთან ერთად ყოველნაირად შეეცდება ხელი შეუწყოს ყარაბაღის კონფლიქტის გადაწყვეტას და აღიარა, რომ აქამდე საკმაოდ აქტიურად არ მუშაობდა ამ საკითხზე.

იზმაილი. გუშინ აქ ერთმანეთს შეხვდნენ უკრაინის, რუმინეთისა და მოლდავეთის პრეზიდენტები ლეონიდ კუჩმა, ემილ კონსტანტინესკუ და პეტრე ლუჩინსკი. მათ გამოაცხადეს, რომ განზრახული აქვთ შექმნან საერთო ეკონომიკური ზონა და ევრორეგიონი – „დუნაის ქვემოწელი“, მნიშვნელოვანი იმპულსი მიანიჭონ საერთო საზღვრებზე საბაჟო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას. პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს შეთანხმების პროექტს სამი ქვეყნის მთავრობათა შორის ყველა სფეროში, კერძოდ, პოლიტიკურ დარგში სამმხრივი თანამშრომლობის შესახებ.

ქებრონი. დასავლეთ იორდანეს ნაპირზე პალესტინელებსა და ებრაელებს შორის ურთიერთობა ძალზე დაიძაბა. ქებრონში მიმდინარეობს ქუჩის ბრძოლები. ისრაელის ხელისუფლებამ პალესტინის ავტონომიის ლიდერებს წაუყენა ულტიმატუმი – თუ პალესტინის მხარე არ შეწყვეტს აგრესიას ებრაელთა მიმართ, ისრაელის ხელისუფლება იტოვებს უფლებას იმოქმედოს ომის კანონებით აგრესორის წინააღმდეგ. ქალაქში შემოიყვანეს სამხედრო მოსამსახურენი, მათ შორის, სნაიპერები.

სეული. ერთი კაცი დაიღუპა სამხრეთ კორეის სანაპირო დაცვის მიერ ქალაქ ფუსანის მიდამოებში აკრძალულ ზონაში შემოსული თევსაჭერი გემისათვის ცეცხლის დაშენის შედეგად, რომელზეც 6 ადგილობრივი მცხოვრები იმყოფებოდა.

ხოპარგალა. ამჟამად ჩეჩნეთის ეროვნული უშიშროების სამსახურის შტაბის უფროსმა ლერი ხულტიგოვმა, წარსულში გავლენიანმა საველე მეთაურმა, ჩეჩნეთის წინააღმდეგობის მებრძოლებს მოუწოდა რესპუბლიკაში გავრცელებულ დამნაშავეობას ნამდვილი ომი გამოუცხადონ. დღეს აქ გამოქვეყნებულ ხალხისა და თანამებრძოლებისადმი მიმართვაში მან განაცხადა, რომ ჩეჩნეთის სახელმწიფოს მტრები ცდილობენ, ყოველი ღონე იხმარონ, რათა „გადააქციონ რესპუბლიკა კრიმინალების ბუდედ“.

მოსკოვი. გუშინ აქ თავს დაესხნენ კუზბასის გუბერნატორის მოადგილეს დიმიტრი ჭირაქაძეს, რომელსაც ცივი იარაღით მიაყენეს მძიმე ჭრილობები. 27 წლის ჭირაქაძე აქამდე ალუმინის ქარხნის დირექტორად მუშაობდა. მიმდინარეობს გამოძიება.

საქართველოს რესპუბლიკა
№153. პარასკევი, 4 ივლისი, 1997 წელი.

საქართველოს კანონი
შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ

თავი I
ძირითადი ნაწილი

მუხლი 1

1. ეს კანონი აწესრიგებს პირებისათვის საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული უფლების განხორციელებას — წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბონ საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული უფლება არ ვრცელდება სამხედრო ძალების, პოლიციისა და უშიშროების სამსახურის შემადგენლობაში მყოფ პირებზე.

3. ამ კანონით გათვალისწინებულია ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება.

მუხლი 2

საქართველოს კანონმდებლობა შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ შედგება საქართველოს კონსტიტუციის, ამ კანონის, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტებისა და მათ საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე აქტებისაგან.

მუხლი 3

ამ კანონის მიხედვით:

ა) „შეკრება“ არის მოქალაქეთა ჯგუფის შეკრება ჭერქვეშ ან გარეთ, მიტინგი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით;

ბ) „მანიფესტაცია“ არის მოქალაქეთა დემონსტრაცია, მასობრივი საჯარო გამოსვლა, ქუჩაში მსვლელობა სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით, ან მსვლელობა პლაკატების, ლოზუნგების, ტრანსპარანტების და სხვა სახვითი საშუალებების გამოყენებით;

გ) „მარწმუნებელი“ არის შეკრების ან მანიფესტაციის ინიციატორი პოლიტიკური პარტია, გაერთიანება, საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია ან მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფი;

დ) „რწმუნებული“ არის შეკრების ან მანიფესტაციის ინიციატორის მიერ ნდობით აღჭურვილი პირი;

ე) „ორგანიზატორი“ არის შეკრების ან მანიფესტაციის ინიციატორის მიერ აქციის ორგანიზების ხელმძღვანელობისათვის გამოყოფილი პირი;

ვ) „პასუხისმგებელი პირები“ არიან შეკრების ან მანიფესტაციის რწმუნებული და ორგანიზატორი;

ზ) „უფლებამოსილი წარმომადგენელი“ არის ადგილობრივი მმართველობის ორგანოს მიერ ამ კანონით გათვალისწინებული ამოცანების განსახორციელებლად გამოყოფილი პირი.

მუხლი 4

1. შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციისა და ჩატარებისას, აგრეთვე ცალკეული მოქალაქის მიერ თავისი შეხედულებების საჯაროდ გამოხატვისას, სავალდებულოა ამ კანონის მოთხოვნათა დაცვა.

2. დაუშვებელია შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციისას და ჩატარებისას მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობის ან ძალადობით შეცვლისკენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ან ისეთი მოწოდება, რომელიც წარმოადგენს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.

მუხლი 5

1. ამ კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის სავალდებულოა პოლიტიკური პარტიების, გაერთიანებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფების რწმუნებულთა მიერ სათანადო გაფრთხილების შეტანა ადგილობრივი მმართველობის ორგანოში აქციის ჩატარების ადგილის მიხედვით. გაფრთხილებას ხელს აწერენ რწმუნებული და ორგანიზატორი — შეკრებისა და მანიფესტაციის ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის პასუხისმგებელი პირები.

2. მოქალაქეები, რომლებსაც ჯერ არ შესრულებიათ 18 წელი, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირები არ შეიძლება იყვნენ პასუხისმგებელი პირები.

მუხლი 6

1. ადგილობრივი მმართველობის ორგანოს უფლება აქვს, განსაზღვროს წინასწარი გაფრთხილების გარეშე შეკრებების ჩატარების მუდმივი ადგილი და დრო.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ადგილობრივი მმართველობის ორგანოს უფლებამოსილება არ ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით აღიარებული უფლების განხორციელებას სხვა ადგილებში.

მუხლი 7

გაფრთხილება არ არის სავალდებულო ცალკეული მოქალაქეებისათვის, რომელთაც სურთ თავისი შეხედულებების საჯაროდ გამოხატვა პლაკატებით, ლოზუნგებით, ტრანსპარანტებით, ან სხვა სახვითი საშუალებებით, მაგრამ მათ არა აქვთ უფლება ამისათვის გამოიყენონ შენობათა შესასვლელები და კიბეები, გადაკეტონ გზის სავალი ნაწილი ან შეაფერხონ ტრანსპორტისა და ხალხის მოძრაობა.

მუხლი 8

1. გაფრთხილება შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციისა და ჩატარების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ადგილობრივი მმართველობის ორგანოში მის მოწყობამდე არა უგვიანეს 5 დღისა.

2. გაფრთხილებაში უნდა აღინიშნოს:

ა) შეკრების ან მანიფესტაციის ფორმა, მიზანი, ჩატარების ადგილი ან სვლაგეზი, დაწყებისა და დამთავრების დრო, თარიღი, მონაწილეთა სავარაუდო რაოდენობა.

ბ) მარწმუნებლის ვინაობა;

გ) პასუხისმგებელი პირების ვინაობა, საცხოვრებელი ადგილი (მისამართი), საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, გაფრთხილების შეტანის თარიღი და დრო.

3. გაფრთხილებას თან უნდა ერთვოდეს რწმუნების დამადასტურებელი საბუთი. წერილობით უნდა აღინიშნოს შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის პასუხისმგებელი პირების მიერ აქციის მსვლელობისას სასწრაფო სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის ფორმა.

4. გაფრთხილებას ხელს აწერენ შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის პასუხისმგებელი პირები.

5. ადგილობრივი მმართველობის ორგანო გაფრთხილების მიღებისთანავე მის ასლზე ადასტურებს მიმართვის თარიღსა და დროს.

6. გაფრთხილების მიმღები თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან, განუმარტონ შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის პასუხისმგებელ პირებს ამ კანონის მოთხოვნები და გააფრთხილონ ისინი დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ.

მუხლი 9

1. აკრძალულია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება: საქართველოს პარლამენტის შენობაში, საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სასამართლოების, პროკურატურის, პოლიციის, სასჯელთა აღსრულების ორგანოების შენობებში, სამხედრო ნაწილებსა და ობიექტებში, რკინიგზის სადგურებში, აეროპორტებში, საავადმყოფოებში, დიპლომატიურ დაწესებულებებში და მათგან ოცი მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე, აგრეთვე სამთავრობო დაწესებულებების, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, შრომის უსაფრთხოების სპეციალური რეჟიმის ან შეიარაღებული დაცვის მქონე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შენობებში; დაუშვებელია ამ ობიექტების შესასვლელების სრული ბლოკირება.

2. გარანტირებულია ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი ობიექტების შენობებში ორგანიზატორის ან რწმუნებულის თავისუფლად დაშვების უფლება.

მუხლი 10

1. საზოგადოებრივი წესრიგის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, ტრანსპორტის ნორმალური მუშაობის უზრუნველსაყოფად ადგილობრივი მმართველობის ორგანო უფლებამოსილია, გაფრთხილების მიღების შემდეგ სამი დღის განმავლობაში, გაფრთხილებაზე პასუხისმგებელი პირების თანდასწრებით, განიხილოს შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების ადგილისა და დროის შეცვლის მიზანშეწონილობის საკითხი და წერილობით გადასცეს მათ რეკომენდაცია ამის შესახებ, თუ:

ა) აქცია ჩატარების ფორმის, ადგილის, დროის (მაგრამ არა მიმართებისა და მიზნების) მიხედვით ემთხვევა სხვა შეკრებას ან მანიფესტაციას, რომლის შესახებ გაფრთხილება დადგენილ ვადაში უფრო ადრე იქნა წარმოდგენილი;

ბ) აქცია რეალურ საფრთხეს უქმნის საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ნორმალურ ფუნქციონირებას;

გ) აქციის ჩატარება დაგეგმილია ამ კანონის მე-9 მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ ადგილებში.

2. ადგილობრივი მმართველობის ორგანო ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ვადაში გამოყოფს უფლებამოსილ წარმომადგენელს და ამის შესახებ წერილობით ატყობინებს შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის პასუხისმგებელ პირებს.

მუხლი 11

1. შეკრება ან მანიფესტაცია ტარდება გაფრთხილებაში აღნიშნულ დროსა და ადგილას, მასში მითითებული მიზნებისა და სვლაგეზის შესაბამისად.

2. შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციის და ჩატარებისათვის პასუხისმგებელი პირები და მონაწილენი მოვალენი არიან, დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და შეასრულონ გაფრთხილებით ნაკისრი ვალდებულებანი.

3. შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეებს ეკრძალებათ:

ა) იქონიონ იარაღი, ფეთქებადი, ადვილადაალებადი, ცრემლმდენი, რადიოაქტიური, ნერვულ-პარალიტიკური მოქმედების და მომწამვლელი ნივთიერებანი, ალკოჰოლიანი სასმელები;

ბ) განზრახ შეუქმნან დაბრკოლებები საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობას.

მუხლი 12

1. ადგილობრივი მმართველობის ორგანოები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის სათანადო პირობები.

2. სახელმწიფო დაწესებულებებს, თანამდებობის პირებსა და მოქალაქეებს უფლება არა აქვთ, ხელი შეუშალონ ამ კანონით დადგენილი წესის დაცვით შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციასა და ჩატარებას, მოქალაქეთა მიერ საკუთარი შეხედულებების საჯაროდ გამოხატვას.

3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის შეკრებაზე ან მანიფესტაციაზე ცნობების მიღებასა და გავრცელებაში ხელის შეშლა ისჯება კანონით.

მუხლი 13

1. ამ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, აგრეთვე მე-11 მუხლის მოთხოვნების მასობრივი დარღვევის შემთხვევაში შეკრება ან მანიფესტაცია უნდა შეწყდეს ადგილობრივი მმართველობის ორგანოს უფლებამოსილი წარმომადგენლის მოთხოვნისთანავე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი არიან, შეწყვიტონ შეკრების ან მანიფესტაციის მსვლელობა და მიიღონ ზომები მის მონაწილეთა დასაშლელად. შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილენი ვალდებულნი არიან, დატოვონ შეკრება ან მანიფესტაცია პასუხისმგებელი პირების ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მოთხოვნისთანავე.

3. გადაწყვეტილება შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, რომელიც სამი სამუშაო დღის განმავლობაში განიხილავს ამ გადაწყვეტილების კანონიერების საკითხს.

მუხლი 14

1. ადგილობრივი მმართველობის ორგანო უფლებამოსილია, არ დაუშვას შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება, თუ არსებობს პოლიციის მიერ შემოწმებული აშკარა მონაცემები, რომელთა შესაბამისად, შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების შედეგად უშუალო საფრთხე ემუქრება კონსტიტუციურ წყობილებას, მოქალაქეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ამის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უფლებამოსილი წარმომადგენელი.

2. ადგილობრივი მმართველობის ორგანოს გადაწყვეტილება შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების აკრძალვის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, რომელიც ორი სამუშაო დღის განმავლობაში იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

მუხლი 15

შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარებისას სახელმწიფოსათვის, ორგანიზაციისა და მოქალაქისათვის მიყენებული ზარალი უნდა ანაზღაურდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 16

ამ კანონით დადგენილი შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციისა და ჩატარების წესის დამრღვევ პირებს ეკისრებათ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

თავი II
დასკვნითი დებულებანი

მუხლი 17

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

მუხლი 18

ამ კანონის მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 15 ივნისის დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში მიტინგების, დემონსტრაციებისა და სხვა პოლიტიკური ხასიათის აქციების ორგანიზაციისა და ჩატარების წესის შესახებ“ (საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, ტ. I, 1995 წ., მუხლ. 76).

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1997 წლის 12 ივნისი.

საქართველოს კანონი
საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს საარბიტრაჟო სასამართლოს საქმიანობის შეწყვეტასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I. საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1964 წ, № 36, მუხ. 664)

შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-16 მუხლის პირველი ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1) სამოქალაქო, ეკონომიკური (სამეურნეო) და საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავის საქმეები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი დავის გადაწყვეტა კანონით მიეკუთვნება ადმინისტრაციული ან სხვა ორგანოების გამგებლობას“;

მე-16 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეხუთე ნაწილი:

„საოლქო სასამართლოების ამოქმედებამდე ეკონომიკურ (სამეურნეო) დავას, თუ სარჩელის ფასი აღემატება ასი ათას ლარს, განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო“.

2. კოდექსიდან ამოღებულ იქნეს მე-19 მუხლი, 352-ე მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები და 353-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

II. ეს კანონი ამოქმედდეს 1997 წლის 15 ოქტომბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1997 წლის 13 ივნისი.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1997 წლის 10 ივნისი
ქ. თბილისი

1997-1998 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდში სათბობ-ენერგეტიკული სექტორის დარგების ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ

გასულ შემოდგომა-ზამთრის პერიოდში საქართველოს ეროვნული მეურნეობისა და მოსახლეობის უზრუნველყოფა სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით წინა წლებთან შედარებით გარკვეულწილად გაუმჯობესდა, წარმოების სფეროს გადახდისუნარიანი მოთხოვნილება სრულად იქნა დაკმაყოფილებული ელექტროენერგიით, ბუნებრივი და თხევადი გაზით, ნავთობპროდუქტებით. მოსახლეობას უფრო სტაბილურად მიეწოდებოდა ელექტროენერგია დაწესებული გრაფიკის დაცვით.

აღნიშნულ პერიოდში მოხმარებულია 4,1 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია, რაც შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 10 პროცენტით მეტია. ამასთან ერთად მოხმარებულია 560 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი გაზი, 120 ათასი ტონა მაზუთი, 7 ათასი ტონა თხევადი გაზი, 9 ათასი ტონა საწვავი ნავთი და 18,3 ათასი ტონა ნახშირი.

მიუხედავად მიღწეული გარკვეული სტაბილურობისა, სათბობ-ენერგეტიკულ სექტორში კრიზისული მდგომარეობა ფინანსური თვალსაზრისით ჯერ კიდევ არ არის დაძლეული.

არსებულ ვითარებას უკიდურესად ართულებს მთელ რიგ დასახულ ღონისძიებათა შეუსრულებლობა სახსრების უქონლობის გამო, რთულად და ნელი ტემპით მიმდინარეობს დიდ ქალაქებში გაზის მიწოდების აღდგენა, სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების მკვებავი ელექტროგადამცემი ხაზების განმხოლოება. განხორციელებული საგანგებო ღონისძიებების მიუხედავად, ვერ მოხერხდა ნახშირის მრეწველობის შესამჩნევი რეაბილიტაცია. ეროვნული მეურნეობის ყველა სფეროსა და მოსახლეობაში, ფაქტობრივად, ჯერჯერობით მხოლოდ ელექტროენერგია არის ენერგიის ერთადერთი ძირითადი წყარო, რომელზეც მომხმარებელთა თითქმის მთელი მოთხოვნილების დაკმაყოფილება არის ორიენტირებული, თანაც, ძირითადად, მუდმივი დებიტორის უფლების შენარჩუნებით, რაც მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად ამ მიმართულებით ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების არადამაკმაყოფილებელი საქმიანობის შედეგიცაა.

სწორედ ამიტომ, 1997-1998 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის სათბობ-ენერგეტიკული სექტორის დარგების შედარებით სრულფასოვნად მომზადების ერთ-ერთი მთავარი საფუძველია პრიორიტეტულ ღონისძიებათა განსაზღვრა, რამაც უნდა უზრუნველყოს აღნიშნული დარგების მაქსიმალური მობილიზაცია ზამთრის პირობებში სამუშაოდ.

მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგება ძირითადად დამოკიდებული იქნება მმართველობის ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში მყოფი გამანაწილებელი კომპანიების მიერ ელექტროენერგიის შესყიდვის რაოდენობაზე, რისთვისაც შესრულებული იქნება მნიშვნელოვანი მოცულობის სამუშაოები მოსახლეობაში თითოეული აბონენტის აღრიცხვა-კონტროლის და ინდივიდუალური მართვის საშუალებების დანერგვის, ელექტროენერგიის მოთხოვნა-მიწოდების რეგულირების მიზნით.

1997-1998 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკული სექტორის დარგების შეუფერხებელი და სტაბილური მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით:

1. სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის სტაბილური მუშაობისა და ეროვნული მეურნეობის ენერგორესურსებით უზრუნველყოფა, მისი საფასურის დროულად და სრულად ანაზღაურება მიჩნეულ იქნეს განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფო ამოცანად.

2. სახელმწიფო კომპანია „საქენერგომ“ (ვ. მეტრეველი) და სახელმწიფო კომპანია „საქენერგოგენერაციამ“ (გ. ბადურაშვილი) უზრუნველყონ:

— მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურების წყალსაცავებში 1000 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ეკვივალენტური მოცულობის წყლის დაგროვება 1997 წლის 15 ნოემბრისათვის და მისი გამოყენება დამტკიცებული გრაფიკის მკაცრი დაცვით;

— ელექტროსადგურების მუშაობა დადგენილი რეჟიმის მიხედვით;

— თბოელექტროსადგურებში სათბობის გამოყენების ეფექტიანობის გაზრდის ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება;

— შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის ელექტროსადგურებსა და ელექტროქსელებში ენერგეტიკული მოწყობილობების დროული მომზადება, მათ შორის, თბილსრესში ოთხი ენერგობლოკისა და ენგურჰესში ოთხი ჰიდროაგრეგატის მზადყოფნა;

— თბილსრესის წყლის ქიმიური მომზადების ახალი საამქროს მშენებლობის დამთავრება და ექსპლოატაციაში გაშვება 1997 წლის 1 დეკემბრისათვის.

თბოელექტროსადგურში ზამთრის პერიოდში დღე-ღამეში საშუალოდ 10 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგიის გამომუშავების ტექნიკური მზადყოფნა;

— მაღალი ძაბვის სისტემაშემქმნელი და სისტემათაშორისი ელექტრული გადამცემი ხაზების საიმედო მუშაობა;

— ენერგოსისტემაში ელექტრული დენის პარამეტრების — სიხშირის და ძაბვის მნიშვნელობების დაცვა ნორმის ფარგლებში;

— საქართველოს ენერგოსისტემის მეზობელ ენერგოსისტემებთან პარალელური მუშაობა;

— მკაცრი კონტროლის დაწესება დახარჯული ელექტროენერგიის საფასურის დროულად გადახდისადმი, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა ყველა არგადამხდელი მომხმარებლისათვის, განურჩევლად კატეგორიისა.

3. ყველა დაინტერესებულმა სამინისტრომ და უწყებამ ერთ თვეში წარუდგინონ საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა ნუსხა, რომელთაც აქვთ ფუნქციონირებისათვის საჭირო საწარმოო-ტექნიკური და ფინანსური რესურსები და რომელთა ელექტრომომარაგებაც მიზანშეწონილია ღირებულების გარანტირებული გადახდის პირობით.

4. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახელმწიფო რწმუნებულებმა, ქალაქების მერიებმა და რაიონების გამგეობებმა, მუნიციპალურმა (რაიონულმა) ენერგოკომპანიებმა:

— ერთ თვეში წარუდგინონ სახელმწიფო კომპანია „საქენერგოს“ განცხადება ელექტროენერგიის შესყიდვაზე, რეალური გადახდისუნარიანობიდან გამომდინარე;

— შეიმუშაონ შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის მზადების ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, დააწესონ მათი შესრულების კონკრეტული ვადები და კონტროლი, მათ შორის გაითვალისწინონ ენერგომომჭირნეობის ეფექტიანი სქემის შექმნა; უზრუნველყონ ელექტროენერგიის მოხმარების დამტკიცებული ლიმიტების უმკაცრესი დაცვა, გადახდის შესაბამისად გამოყოფილი ლიმიტის ფარგლებში პრიორიტეტი მიანიჭონ სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების ფუნქციონირებას, დაასრულონ მათი ელექტრომომარაგების სქემების განმხოლოება; აღჭურვონ ისინი კვების ავტონომიური წყაროებით და მოამარაგონ შესაბამისი სათბობით;

— მკაცრად დაიცვან საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 18 სექტემბრის № 611 ბრძანებულების მე-9 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნები ელექტროენერგიის რეალიზაციიდან ამონაგები თანხების არამიზნობრივი ხარჯვის დაუშვებლობის შესახებ და უზრუნველყონ დებიტორულ დავალიანებათა დაფარვა ბრძანებულებით დადგენილი გრაფიკის შესაბამისად;

— უზრუნველყონ მომხმარებლებისათვის, მათ შორის მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის მიწოდების გრაფიკების შემუშავება და დაცვა გადახდის შესაბამისად;

— მიაღწიონ თანხების ამოღების მექანიზმის სრულყოფას და სისტემატურობას; ყველა მომხმარებელს მიაწოდონ ინფორმაცია დახარჯული ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში მათი აუცილებელი გამორთვის შესახებ.

5. სახელმწიფო კომპანია „საქენერგომ“:

— წარმოდგენილი განაცხადების შესაბამისად ამა წლის 1 აგვისტომდე დაუდგინოს ყველა მომხმარებელს ელექტროენერგიის ლიმიტები და შეუთანხმოს მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს; გააგრძელოს მოსამზადებელი სამუშაოები მეზობელი ქვეყნებიდან ელექტროენერგიის მოწოდების თაობაზე;

— უზრუნველყოს ქვეყანაში შემუშავებული ელექტროენერგიის ბალანსებიდან გამომდინარე ქალაქებისა და რაიონებისათვის ელექტროენერგიის მიწოდების გრაფიკების დამუშავება, დაცვა და მათი კორექტირება ფაქტობრივი გადახდის შესაბამისად.

6. საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწემ ეკონომიკური რეფორმების საკითხებში თ. ბასილიამ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (მ. ჭკუასელი), ეკონომიკის სამინისტრომ (ვ. პაპავა), ეროვნულმა ბანკმა (ნ. ჯავახიშვილი), სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ (დ. ზუბიტაშვილი) ერთ თვეში წარმოადგინონ შეთანხმებული წინადადებანი შემოდგომა-ზამთრის სეზონის თაობაზე თბილსრესისათვის სათბობის აუცილებელი მარაგის შესაქმნელად საჭირო ფინანსური რესურსების მობილიზაციის შესახებ.

7. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებულმა ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ (ე. ერისთავი):

— მოამზადოს წინადადებანი 1997 წლის 1 აგვისტოდან ელექტროენერგიის ერთიანი ტარიფის შემოღების შესახებ:

ფინანსთა სამინისტროსთან, ეკონომიკის სამინისტროსთან, სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროსთან და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს წინადადებანი მოქმედი შეღავათებისა და სუბსიდირების სისტემის დახვეწის შესახებ.

8. სახელმწიფო ჰოლდინგურმა კომპანია „საქნავთობპროდუქტებმა“ (ვ. კიკნაძე) წინასწარი ანგარიშსწორების საფუძველზე უზრუნველყოს:

— პირველ რიგში სათბობ-ენერგეტიკული სექტორის დარგების, აგრეთვე ავტონომიური კვების წყაროებით აღჭურვილი სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების მომარაგება საწვავ-საპოხი მასალებით;

— 1997 წლის ოქტომბერ-ნოემბერში სანათი ნავთის ზამთრის მარაგის შემოტანა და თავმოყრა მისდამი დაქვემდებარებულ საცავებში, გაცემა ქალაქების მერიებისა და რაიონების გამგეობების განაცხადებით;

— 1997 წლის 15 ოქტომბრამდე მაღალმთიანი რაიონებისათვის საავტომობილო ბენზინისა და დიზელის საწვავის გამოყოფა.

9. სახელმწიფო კომპანია „საქტრანსგაზმრეწვმა“ (ი. ზაზაშვილი) უზრუნველყოს შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის მაგისტრალური გაზსადენების ავარიული მონაკვეთების, ნაპირსამაგრი და ეროზიის საწინააღმდეგო სარემონტო სამუშაოების შესრულება.

10. სააქციო საზოგადოება „საქთხევადგაზმა“ (ვ. ცაავა) უზრუნველყოს 9-10 ათასი ტონა თხევადი გაზის შემოტანა და ზამთრის მარაგის შექმნა, უწინარეს ყოვლისა, მაღალმთიანი და ძნელადმისადგომი რაიონებისათვის. აღნიშნული რაიონების მმართველობის ორგანოებმა მოახდინონ თხევადი გაზის დროული ტრანსპორტირება სათანადო ანაზღაურებით.

11. სახელმწიფო კომპანია „საქნახშირმა“ (უ. გურეშიძე) უზრუნველყოს მიმდინარე წლის ბოლომდე მაღალმთიანი რაიონების მოსახლეობისათვის ნახშირის მიწოდება წარდგენილი განაცხადების მიხედვით და ანაზღაურებით.

12. ელექტროენერგეტიკულ სექტორში მიმდინარე გადაუდებელი სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების შეუფერხებელი განხორციელებისა და შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის ენერგოსისტემის მომზადებისათვის ხელის შეწყობის მიზნით „საქენერგოს დეპარტამენტის სისტემაში შექმნილი მძიმე ფინანსური მდგომარეობის დაძლევის საგანგებო ღონისძიებათა განხორციელების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1995 წლის 28 ნოემბრის № 01 და „1996-1997 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდში სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ 1996 წლის 18 სექტემბრის № 611 ბრძანებულებებით გადავადებული გადასახადების გადახდა დაიწყოს 1997 წლის 1 ოქტომბრიდან. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (მ. ჭკუასელი) მოამზადოს წინადადება საქართველოს 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შესატანად.

13. ბრძანებულება გამოქვეყნდეს პრესაში, გადაიცეს ტელევიზიითა და რადიოთი.

14. ბრძანებულების შესრულების კონტროლი დაევალოს საქართველოს სახელმწიფო კანცელარიას.

ე. შევარდნაძე



ინფორმაცია

აი ასეთი, მხოლოდ ასეთი მესამე ლიდერი!

ოს სეპარატისტთა ყოფილი ლიდერი ალან ჩოჩიევი, რომელმაც 1989 წელს დიდი როლი შეასრულა ქართულ-ოსური კონფლიქტის გაღვივებაში, ამჟამად იხდის სასჯელს ცხინვალის საპყრობილეში თაღლითობისა და სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის.

ოსთა მეორე „ეროვნული გმირი“, „სამხრეთ ოსეთის“ ყოფილი პრემიერ-მინისტრი ოლეგ თეზიევი ამჟამად საზღვარგარეთ არის გაქცეული და იძებნება. მასაც ბრალად ედება სახელმწიფო სახსრების მითვისება.

საგუშაგოები დატოვეს

სეპარატისტული აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შსს და უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა 1 ივლისს გაანადგურეს გულრიფშის რაიონის სოფელ ქვემო ფშაფში მოქმედი ქართული დივერსიული ჯგუფი, რომლის შედეგადაც, მათივე მტკიცებით, დაიღუპა ხუთი ქართველი ტერორისტი და დაიჭრა ამდენივე აფხაზი პოლიციელი.

დაზუსტებული მონაცემებით, აფხაზთა მხრიდან დაიღუპა ორი და დაიჭრა სამი პოლიციელი. გავრცელებული ინფორმაციის საშუალებით, სეპარატისტთა შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიარაღებულ ბანდიტურ ჯგუფებთან მარცხის გამართლება ქართული ტერორისტული ჯგუფების გააქტიურებით შეეცადა.

ინფორმირებული წყაროს ცნობით, საერთო არეულობით დაბნეულმა მესაზღვრეებმა მდინარე ენგურზე არსებული საგუშაგოები დატოვეს.

მოსახლეობა მოიცვა პანიკამ

1 ივლისს გალის რაიონის სოფელ სიდასთან აფეთქდა ავტომანქანა „გაზ-69“, დაიღუპა აფხაზი ეროვნების მძღოლი.

აფხაზმა პოლიციელებმა დააკავეს ავტობუსი, მძევლად აიყვანეს მგზავრები, გვარად ჭანტურიები და 24 წლის ახალგაზრდა ვაჟი ფარულავა. ფარულავა დახვრიტეს და აფეთქების ადგილზე ჩამოაგდეს, ცეცხლი წაუკიდეს 3 სახლს, იქ დარჩენილ მშვიდობიან მოსახლეობას ემუქრებიან, თუ არ დაეხმარებიან აფეთქების ინიციატორების მოძებნაში, გადაწვავენ სოფელს. მოსახლეობა მოიცვა პანიკამ. გარკვეული ნაწილი გადმოდის ენგურს გაღმოღმა, — გვატყობინებს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს პრესცენტრი.

1 ოქტომბრამდე შეწყვეტილია

აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას ვაუწყებთ, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში განცხადებებისა და საბუთების მიღება მატერიალური დახმარების თაობაზე დროებით შეწყვეტილია ამა წლის 1 ოქტომბრამდე.

თაობათა ცოცხალი კავშირი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წმ. დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიაში მამა ილიამ (წერეთელი) აღასრულა უნივერსიტეტის ლეაწლმოსილი პროფესორების სოლომონ ხუციშვილის, ბესარიონ ჟორჟენაძისა და ალექსანდრე ალექიძის სახელზე შეკვეთილი წირვა-ლოცვა. წირვის საგალობლებს დიდი პედაგოგების ყოფილი სტუდენტები ასრულებდნენ.

საქართველოს სოციალისტურ პარტიას შრომის პარტია უერთდება

საქართველოს შრომის პარტიის ინიციატივით, იგი უერთდება საქართველოს სოციალისტურ პარტიას. პირველი შეხვედრა და გამაერთიანებელი კონფერენცია ჩატარდება 5 ივლისს, სადაც პარტია მიიღებს მანდატს და გახდება სოციალისტური პარტიის წევრი.

შვეიცარიის ტელევიზიით ორი დღე საქართველოს უჩვენებდნენ

ბათუმის ნავსადგურში ორ დღეს იდგა საიალქნო გემი, რომელზეც შვეიცარიის ტელევიზიის გადამღები ჯგუფი იმყოფებოდა. ჟურნალისტებმა ბათუმიდან თავიანთ სამშობლოში პირდაპირ ეთერში გადასცეს სატელევიზიო პროგრამა, რომელიც მდიდარ ინფორმაციას იძლეოდა საქართველოს ისტორიის, ბუნების, აქ მცხოვრებთა ხასიათისა და დღევანდელობის შესახებ.

გაიცანით თქვენი წინაპრები - შუმერები

გუშინ შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში გაიმართა ცნობილი ქართველი კინომსახიობისა და მკვლევარ-შუმეროლოგის ზურაბ ქაფიანიძისა და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის თეიმურაზ მიბჩუანის ერთობლივი ნაშრომის „კაცობრიობის პირველი ანბანი — მეოცე საუკუნის უდიდესი აღმოჩენა“ განხილვა-გამოფენა.

კრიტიკოსმა კობა იმედაშვილმა, აკადემიკოსებმა ზურაბ რატიანმა, ანზორ ზრეველძემ, პროფესორმა ლევან ფრუიძემ და სხვებმა მაღალი შეფასება მისცეს ავტორთა მიერ გაწეულ საქმიანობას.

ტერმინალის ასაგებად გამოცხადდება ტენდერი

საქართველოს ტრანსპორტის მინისტრის მერაბ ადეიშვილის ინფორმაციით, ევროპა-აზიის სატრანსპორტო სისტემაში ბათუმის ნავსადგურის ინტეგრაციის საკითხი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში აქტიურად განიხილება. გაისიდან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სერიოზულ ინვესტიციებსა და ბათუმის სარკინიგზო ბორნის მშენებლობას უნდა ველოდოთ.

მინისტრის განცხადებითვე, ფოთის ნავსადგურში ხორბლის ტერმინალის მშენებლობაზე ტენდერი გამოცხადდება. ტერმინალი ამიერკავკასიის და შუა აზიის ქვეყნებისათვის ორ მილიონ ტონა ხორბალს გაატარებს. პროდუქტის საერთო ღირებულება 17 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

ახალი ხელმძღვანელობა

აჭარაში, ჩაქვში დასრულდა ჟურნალისტთა კავშირების საერთაშორისო კონფერენციისა და საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის მიერ ერთობლივად მოწყობილი შეხვედრა-სემინარი თემაზე „მასმედია დემოკრატიულ სახელმწიფოში“.

სემინარის ფარგლებში ჩატარდა ჟურნალისტთა კავშირების საერთაშორისო კონფედერაციის ყრილობა, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ დსთ და ბალტიის ყველა ქვეყნის ჟურნალისტთა ორგანიზაციების თავმჯდომარეები.

ყრილობამ ჟურნალისტთა საერთაშორისო კონფედერაციის პრეზიდენტად აირჩია **ვლადიმერ სუხომლინოვი**. კავკასიის რეგიონიდან ჟურნალისტთა კავშირების საერთაშორისო კონფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად ყრილობამ აირჩია საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე **აკაკი სიხარულიძე**.

ჟურნალისტთა ფედერაციის წევრთა საყურადღებოდ!

ჟურნალისტთა ფედერაციის წევრებს ვთხოვთ მოაკითხონ ჟურნალისტთა ფედერაციას (ან დარეკონ) უფასო სამედიცინო სადაზღვევო პოლისებთან დაკავშირებით.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია
ტელეფონები: 98-24-47; 98-74-8

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, „იბერიამ“, ჩვენმა კორესპონდენტებმა.

თვალსაზრისი

ბიზნესის თანამედროვე აზროვნების შესაბამისად, ახლა უკვე აუცილებელი ხდება ეკონომიკის თითოეული სფეროს მიხედვით ყალიბდებოდეს და შუქდებოდეს მისი განვითარების სტრატეგიული პოზიციები მარკეტინგული მოდელის სახით. დღეს ვაქვეყნებთ საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მარკეტინგულ მოდელს, რომელშიც ახლებურად არის დანახული მისი ძირითადი დარგების განვითარების გლობალური და ლოკალური პოზიციები, ძირითადი მარკეტინგული მოტივაციები, ხელშემწყობი პირობები და ფაქტორები.

სოფლის მეურნეობისა და ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი დღეს თავის მოსაზრებებს გვიზიარებს.

აგრარული რეფორმის სტრატეგია

აგროსამრეწველო კომპლექსის მარკეტინგული მოდელი

მსოფლიოს ქვეყნები, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის მიხედვით, განსხვავებულ ადგილს იკავებს ბიზნესურ სივრცეში. ამ თვალსაზრისით, სპეციფიკური ნიშნებით გამოირჩევა საქართველო, რომელიც ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე მდებარეობს და მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური დერეფნის როლს ასრულებს. ეს გარემოება, საქართველოს, ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით, საკმაოდ მორგებულ და დასახარბებელ ობიექტად წარმოაჩენს, რომლის პოტენციური შესაძლებლობები ჯერჯერობით უმნიშვნელოდ არის გამოყენებული.

ამ პოზიციიდან გამომდინარე, აუცილებელი ხდება ახლებური ხედვითა და მოტივაციებით მივუდგეთ საქართველოს ეკონომიკის ძირითად და განმსაზღვრელ სფეროს, — შეიძლება ითქვას, მისი ხერხემლის — სოფლის მეურნეობის და მასთან დაკავშირებული გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას.

იმის გამო, რომ სოფლის მეურნეობა და კვების მრეწველობა (ისე, როგორც მთელი ეკონომიკა) ბიზნესურ ჩარჩოებში მოექცა და ვითარდება, მისი განვითარების სტრატეგიული პოზიცია უნდა შეფასდეს და განისაზღვროს მარკეტინგული მოდელის სახით, რომელშიც აკუმულირებული იქნება როგორც ბუნებრივ-ეკონომიკური საფუძველი, ისე მისი ძირითადი მოტივაციები.

ამრიგად, თუ ადრე, სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიულ პოზიციებზე ძირითადად პროგნოზული პარამეტრების აქცენტირებით ვმსჯელობდით, ახლა უფრო უპრიანია, იგი მარკეტინგული მოდელის სახით ყალიბდებოდეს და იშიფრებოდეს, რამეთუ სწორედ მარკეტინგულ გაგებამია ჩადებული ბიზნესის მთელი ფილოსოფია.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მარკეტინგული მოდელის დადგენისას, როგორც წესი, უნდა ვეყრდნობოდეთ მის ისტორიულ წანამძღვრებს და ამის საფუძველზე ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩამოყალიბებულ ტენდენციებსა და კანონზომიერებებს.

აღსანიშნავია, რომ ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების მრავალფეროვნებამ და მოთხოვნებმა, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, განაპირობა როგორც სასოფლო-სამურნეო კულტურათა და ცხოველთა უნიკალური და აბორიგენული ჯიშების გამოყვანა, ისე მათი გადაადგილებისა და შეთანაწყობის არაერთჯერადი სტრუქტურული ცვლილებები.

ამ საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოში მიწათმოქმედების დარგებიდან საკმაოდ ფართოდ იყო განვითარებული მარცვლეული მეურნეობა, მევენახეობა, მეხილეობა, საკვებწარმოება, მეცხოველეობის დარგებიდან: მთისა და ბარის მესაქონლეობა, მათ შორის მეკამეჩეობა, მეცხვარეობა, მეღორეობა, ლოკალურად, მეფრინველეობა. შემდგომ პერიოდში, სხვა ქვეყნებთან კავშირ-ურთიერთობის განვითარების შედეგად, რამდენადმე იცვალა სახე სოფლის მეურნეობამ. დასავლეთ საქართველოს უნიკალურ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს კარგად მოერგო სუბტროპიკული მიწათმოქმედება და წარმატებით განვითარდა მანამდე ქართული სოფლის მეურნეობისათვის უცხო კულტურები: ჩაი, ციტრუსები, სუბტროპიკული ხილი, შედარებით ადრე, ასევე სხვა ქვეყნებიდან მოხვდა ჩვენში სიმინდი, კარტოფილი, პამიდორი, თამბაქო, სხვადასხვა ჯიშის პირუტყვი და ფრინველი.

ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურების შემოტანა თავის გავლენას ახდენდა წარმოების სპეციალიზაციაზე, ქვეყნის მთელ ეკონომიკაზე. თუ ადრე, ამ საუკუნის დასაწყისში, დასავლეთ საქართველოს გლეხობა საკმაოდ ხელმომჭირნედ ცხოვრობდა, რადგანაც სოფლის-მეურნეობის ძირითადი კულტურა — სიმინდი არც უხვმოსავლიანობითა და არც დიდი შემოსავლიანობით ხასიათდებოდა, შემდეგ, როცა ხელი მიჰყო სუბტროპიკულ მიწათმოქმედებას, არათუ სული მოითქვა, არამედ წელშიც გასწორდა და მოღონიერდა კიდეც. შეიქმნა ახალი ტიპის მეურნეობები — მეჩაიეობისა და მეციტრუსეობისა. ეს დიდად მომგებიანი მეურნეობები იყო. მებოსტნეობისა და მერძეული მიმართულების მესაქონლეობის განვითარებამ ჩამოაყალიბა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ასევე ახალი — საგარეუბნო ტიპი, რამაც დადებითი როლი შეასრულა ქალაქების მოსახლეობის მალფუჭადი და ნაკლებტრანსპორტაბელური სასურსათო პროდუქტებით უზრუნველყოფაში.

ამ ცვლილებებმა უდავოდ დადებითი გავლენა მოახდინა სტრუქტურული თვალსაზრისით. სოფლის მეურნეობის განვითარებამ ძირითადად ორი სტრატეგიული ხასიათის მიმართულება მიიღო. ჯერ ერთი, გამოიკვეთა ის პრიორიტეტული დარგები, რომლებიც განსაზღვრავენ როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მთელი რესპუბლიკის ეკონომიკურ პოტენციალს და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეროვნული შემოსავლის ფორმირებაში, მეორეს მხრივ კი ცალკე დაჯგუფდა ე.წ. „სასურსათო მნიშვნელობის" დარგები.

მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში თანდათან უმჯობესდებოდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური შეიარაღების დონე, მისი დარგების განვითარებას ზიგზაგური ხასიათი ჰქონდა. რა იყო ამის ძირითადი მიზეზები?

სოფლის მეურნეობის განვითარება ეყრდნობოდა ცენტრალიზებულ დაგეგმვას, რის გამოც, ეტაპების მიხედვით, მცირდებოდა ერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის ფართობი და იზრდებოდა მეორის ფართობი, რომლის დროსაც ნაკლებად მიიღებოდა მხედველობაში მიკროზონალური ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები. სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ ჩვენთან მეტისმეტად შემცირდა მარცვლეული კულტურების ფართობი (1940 წლის 748,4 ათასი ჰექტარიდან 64-65 პროცენტით) და საგრძნობლად გაიზარდა საკვები კულტურების ფართობი (52,6 ათასიდან 6,4 -ჯერ). ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის, რომ საქართველოში საუკეთესო პირობები არსებობს ორი და ზოგ ადგილას სამი მოსავლის მიღებისაც და ამ გზით საკვები კულტურების პროდუქციის მნიშვნელოვანი რაოდენობა შეიძლება ვაწარმოოთ შუალედური კულტურების თესვა-მოყვანით. ამას გარდა მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებისათვის უფრო ინტენსიურად და ფართოდ უნდა გამოვიყენოთ მთის სათიბ-საძოვრები, რომელთაც მთელ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში 66 პროცენტზე მეტი უკავია.

რაოდენობრივი მაჩვენებლების გამოდევნება (რაც გეგმიანობის გამოძახილი იყო) აიძულებდა მწარმოებლებს „გულუხვად" გამოეყენებინათ მინერალური სასუქები, მცენარეთა დაცვის საშუალებები, კაპდაბანდებები, საწვავ-საპოხი და სხვა მასალები. ამასთან, საზოგადოებრივ მეურნეობებს შიში არ ჰქონდათ იმისა, რომ ამისათვის ვინმე მოჰკითხავდა პასუხს.

დიდ ზიანს აყენებდა სოფლის მეურნეობას ადმინისტრაციულ-მბრძანებლური განკარგულებანი, უხეში ჩარევა, რაც მართვის დამყაყებულ სტილს შეეფერებოდა. ამის გამო, ფაქტობრივად, არც ერთი სასოფლო-სამეურნეო საწარმო არ იყო დამოუკიდებელი თავის საქმიანობაში. ისინი დიქტატის გავლენის ქვეშ იყვნენ და უფლებამოსილება არ გააჩნდათ საქმე ეკეთებინათ ისე, როგორც ამას კონკრეტული პირობები და სიტუაცია მოითხოვდა. მუშაობის ასეთმა სტილმა ათეულწლობით ჩამოარჩინა საქართველოს სოფლის მეურნეობა.

ხშირად იცვლებოდა შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ფორმები და მეთოდები. გლეხიც აღარ ენდობოდა არავის და ნება-ნება მუშაობას მიეჩვია.

არცთუ დიდი ხნის წინ ამ მიმართულებით ახალი, პროგრესული ფორმა გამოიძებნა — იჯარული ურთიერთობები, მაგრამ მართვის ძველებური მეთოდების წყალობით ამამიც ბევრს ატყუებდნენ გლეხობას და არა და არ მისცეს მას ამოსუნთქვისა და თავისუფალი მოქმედების საშუალება.

არასწორი აგრარული პოლიტიკის შედეგად სულ უკან და უკან წავიდა რესპუბლიკისათვის ისეთი მნიშვნელოვანი და დიდი ტრადიციების მქონე დარგების განვითარება, როგორიცაა მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა. არადა, ამ დარგების განვითარებისათვის ჩვენში საუკეთესო პირობები არსებობს. მათ დიდი როლის შესრულება შეუძლია საბაზრო ურთიერთობის პირობებში ჩვენი ეკონომიკის განმტკიცების საქმეში.

თითქმის უყურადღებოდ დარჩა მთიანეთი. არასწორი პოლიტიკის შედეგად ზოგიერთი სოფელი მთლად გაუკაცრიელდა, მთის სათიბ-საძოვრები გავერანდა და გატიალდა. დასაფიქრებელია ის გარემოება, რომ ჩვენს მთიანეთში მთელი საქართველოს მიწების 41 პროცენტზე მეტია განლაგებული, მაგრამ ისინი სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მხოლოდ 8-9 პროცენტს იძლევა.

სოფლის მეურნეობის ჩამორჩენას სხვა მიზეზებიც ჰქონდა. მაგრამ მთავარია იმის თქმა, რომ საბჭოური სისტემის პირობებში მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდების მარწუხებში, იგი იმაზე მეტ დონეს ვერ მიაღწევდა, რასაც მიაღწია. ეს ნათლად დადასტურდა 70 წლის განმავლობაში. ერთი სიტყვით, დიალექტიკური აუცილებლობა იყო, ახალ გზას დავდგომოდით. მაგრამ ამასაც გარკვეული გარდამავალი პერიოდი სჭირდებოდა. როგორც მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, თუ გვინდა, რომ წარმატებებს მივაღწიოთ, მთავარია მოვერგოთ საბაზრო ეკონომიკის პირობებს. ეს კი მიუღწეველი დარჩება, თუ არ შევასრულეთ საბაზრო ურთიერთობებისათვის აუცილებელი მოთხოვნები.

ამიტომაც, უკანასკნელ წლებში კვლავ დიდი ეკონომიკური დისპროპორციები გაჩნდა, რაც გამოწვეული იყო მოუქნელი შიდა და გარე ეკონომიკური პოლიტიკითა და, ამის შესაბამისად, საბაზრო ეკონომიკის, ამ ეტაპისათვის მიუღებელი და გაუმართლებელი (სოციალურად არაორიენტირებული) მოდელის უცებითი და მასშტაბურად დანერგვის მცდელობით.

ამის გამო საქართველოს სოფლის მეურნეობა რამდენადმე ასცდა განვითარების სწორ და ქართული ბიზნესისათვის საჭირო მაგისტრალურ ხაზს. ამან უკვე, გარკვეული დაღი დაასვა მთელ ეკონომიკას და მეარყია არსებული, მდიდარი ბუნებრივ-ეკონომიკური პოტენციალის მომგებიანი გამოყენების საფუძველი.

ამ მდგომარეობის გამოსწორების რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტი შეიძლება არსებობდეს. ყველა შემთხვევაში ერთი აუცილებელი მიდგომა უკავშირდება, არსებული, რეალური შესაძლებლობების უნარიან და ჭკვიანურ გამოყენებას, მეორე კი, რაც უცხოეთის ქვეყნების ინტერესს შეიძლება იმსახურებდეს, ის არის, რომ გამოსავალი უდავოდ ჩანს ფართომასშტაბიან და მიზნობრივ, ორმხრივად მისაღებ ინვესტიციებში. ინვესტირების ეტაპი საქართველოს გასავლელი აქვს და ამ მიმართულებით იგი საზღვარგარეთის ქვეყნების დიდ დახმარებასა და თანადგომას ელის.

ამ მსჯელობიდან გამომდინარე, როგორც ჩანს, საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მარკეტინგული მოდელის შედგენა მრავალმხრივ მიდგომას მოითხოვს. იგი, უწინარეს ყოვლისა, არსებული ტენდენციების გათვალისწინებით უნდა ეფუძნებოდეს შრომის ინტეგრაციისა და კოოპერირების, მისი საერთაშორისო საზოგადოებრივი დანაწილების მოთხოვნებს.

ამის შესაბამისად, როგორც ირკვევა და იკვეთება, საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მარკეტინგული მოდელის ამოსავალია ამ სფეროს ძირითადი დარგის — სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია, რომელიც ზედმიწევნით უნდა იყოს მორგებული ზონალურ და მიკროზონალურ ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებს და ეტაპების მიხედვით, აუცილებლობის შემთხვევაში, მეტ-ნაკლებად რეგულირდებოდეს. ამასთან, როგორც წესი, იგი განპირობებული უნდა იყოს ბიზნესის ძირითადი მოტივაციებით: მოგების მიღება, თავისუფალი და დამოუკიდებელი საქმიანობისა და მისი სტაბილურობის უზრუნველყოფა, ბაზარზე გაღწევა და მისი დაპყრობა, სოციალური პირობების გაუმჯობესება, აგრეთვე ეკოლოგიური წონასწორობის დაცვა და შენარჩუნება. ბიზნესის ახლებური აზროვნების მიხედვით, სტრატეგიული მოტივაციაა ისიც, რომ სახელმწიფო თვით გამოვიდეს მენეჯერის როლში.

საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მარკეტინგული მოდელი ეყრდნობა მის ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორიცაა: მომხმარებელთა მოთხოვნილებების სრული დაკმაყოფილება, ბაზრის სიტუაციებისა და საწარმოს რეალური შესაძლებლობების გათვალისწინება, საწარმოს ხანგრძლივვადიანი, შედეგიანი (მომგებიანი) ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

მოდელით გათვალისწინებულია შემდეგი მოდიფიკაციები: ქვეყნის ან რეგიონის ბაზარზე პროდუქციით გასვლა, საქონლის რეალიზაციის რამდენჯერმე გაზრდა ქვეყნის (რეგიონის) საბაზრო სეგმენტებში და სხვა.

დღევანდელი და თვალსაწიერი პერიოდის მოთხოვნების შესაბამისად მოდელი ორიენტირებულია შემდეგი ორი ვარიანტის კომბინაციაზე — მაქსიმუმი ეფექტი, რისკის ხარისხისაგან დამოუკიდებლად, მინიმუმი რისკი, დიდი ეფექტის მოლოდინის გარეშე.

ომარ ქეშელაშვილი,
საქართველოს სოფლის მეურნეობისა და ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

(გაგრძელება იქნება).

სოციალური დაცვა

თქვენ გეხმარებათ სახელმწიფო

— საბჭოთა სახელმწიფომ მემკვიდრეობით დახმარებათა მთელი სისტემა გადმოგვცა. დღევანდელი ვითარებისათვის ის მიუღებელია. მთელი „საიდუმლოება" ისაა, რომ მაშინ დახმარებას ისიც იღებდა, ვისაც არ სჭირდებოდა...

ახალი სისტემის შესამუშავებლად ამოსავალი წერტილი მარტო ცალკეული პიროვნება კი არ გახდა, არამედ — ოჯახი. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის წესი, ჩვენ რომ შევიმუშავეთ, დღემდე მოქმედ არც ერთ სისტემას არ შეესაბამება. უამრავი გამოხმაურება მივიღეთ არა მარტო ყოფილი საბჭოთა კავშირის, არამედ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდანაც. როგორც ამბობენ, მივაგენით ზუსტ „რეცეპტს". ის, ცხადია, თანდათან დაიხვეწება და შესაბამის ეფექტსაც გამოიღებს.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

ახლა კონკრეტულად: გადაუდებელი დახმარება 120 ათას ოჯახს ესაჭიროება. საქართველოს პარლამენტმა მიმდინარე წლის ბიუჯეტში 15 888 ათასი ლარი გამოყო. ახალი სისტემის მიხედვით დახმარებას მიიღებენ **მარტოხელა პენსიონერები, შრომისუუნარო წევრებისაგან შემდგარი ოჯახები და ქალაქად მცხოვრები უმუშევარი წევრებისაგან შემდგარი ოჯახები.** დახმარების პრინციპი ასეთია: შრომისუნარიანი არც ერთი წევრი არ უნდა მუშაობდეს და აღრიცხვაზე იყოს აყვანილი დასაქმების სახელმწიფო დეპარტამენტის ორგანოთა მიერ. ყოველ წინა თვეში ახლად აღნუსხული ოჯახი მომდევნო თვეში აუცილებლად მიიღებს დახმარებას. სათანადო საბუთებისა და განცხადებების საფუძველზე დახმარებებს ქალაქებისა და რაიონების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებები გასცემენ.

— ისიც გაგვიმარტეთ: ყველა ოჯახი მოჭრით, ერთნაირ თანხას მიიღებს?

— არა. დახმარება დიფერენცირებულია. თანხის ოდენობა დამოკიდებულია ოჯახის წევრთა რაოდენობაზე. ერთსულიანი ოჯახი მიიღებს დაუბეგრავი მინიმუმის 100 პროცენტს, 9 ლარს, ორსულიანი ოჯახის თითოეული წევრი — დაუბეგრავი მინიმუმის 80 პროცენტს — 7,20 ლარს, სამი და მეტი სულისაგან შემდგარი ოჯახის თითოეული წევრი — ამავე მინიმუმის 60 პროცენტს, 5,40 ლარს.

— თანხა, მაინცდამაინც შთამბეჭდავი არ არის...

— „ჭამა ქონებაზე ჰკიდიაო", ხომ გაგიგონიათ. თითქმის 16 მილიონი ლარის გამონახვა ბიუჯეტისათვის იოლი როდი იყო. **მთავარია, სახელმწიფომ ამ საკითხისთვისაც მოიცალა. მაშასადამე, ქაოსიდან გამოვდივართ.** განა თავისთავად ცოტას ნიშნავს, რომ 120 ათასს ოჯახს, დაახლოებით 300 ათას კაცს, მცირე, მაგრამ რაღაც დამატებით შემოსავალი გაუჩნდა? უკვე გაცემულია 4 150 ათასი ლარი. და თუ სადმე შეფერხებებია, თანდათან ესეც გამოსწორდება.

ვიცით, რომ მომავალი წლის ბიუჯეტზე უკვე მუშაობენ. და უნდა ვივარაუდოთ, რომ მასში 16 კი არა, 18, 20 მილიონ ლარს გაითვალისწინებენ.

— ეს დახმარებები მოქმედებს თუ არა პენსიებზე?

— არამც და არამც! პენსიასა და უმუშევრობის შემწეობას მოქალაქე ცალკე მიიღებს.

ვმუშაობთ სისტემის სრულყოფაზე. დიდი მნიშვნელობა აქვს დეკლარირებული შემოსავლების სისწორეს. თუ მათი ხვედრითი წილი 80 პროცენტს მაინც მიაღწევს, შესაბამისად გაიზრდება დახმარებებიც.

მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, დაფარული შემოსავლები რომ არ ჰქონდეს. როცა მათ ოდენობას მინიმუმამდე შევამცირებთ, ბიუჯეტის შემოსავლებიც გაიზრდება.

* * *

მართლაც და ბევრია თუ ცოტა 9 ლარი? — რა თქმა უნდა, ცოტაა. მაგრამ აქ მთავარი ის არის, რომ უმწეო ადამიანების დაცვა სახელმწიფომ თავის თავზე აიღო. და მართალია, ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანს, ისიც ჭეშმარიტებაა, რომ იმ ერთ მერცხალს სხვა მერცხლებიც მოჰყვებიან...

ელგუჯა ლებანიძე.

რეგიონი

ბათუმის უნივერსიტეტი.

ჯერ ავაშენოთ ტაძარი, მერე — ვილოცოთ!

ამბობს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი — პროფესორი ნური ვერძაძე

მართლაც ძნელი, ურთულესი საქმე ყოფილა ქაოსიდან აღმშენებლობაზე გადართვა... ათასი რამ — მსხვილმანი თუ წვრილმანი, რომელმაც განვლილ წლებში ასე არია ჩვენი სულიც და ცხოვრებაც, ჯერ კიდევ მოსვენებას არ გვაძლევს, გვბოჭავს, გვაბრკოლებს. ასეთ დროს ახალი ძალა, ახალი აზროვნებაა საჭირო იმისათვის, რომ დავთრგუნოთ ათწლეულების მანძილზე ჩვენში მყარად გამჯდარი სტერეოტიპები და მთელი სისრულით შევიცნოთ და გამოვიყენოთ ის სიკეთე, რომელიც მოგვიტანა ესოდენ ნანატრმა თავისუფლებამ, ჩვენი ქვეყნის ჩართვამ მსოფლიო თანამეგობრობის სისტემაში. ყოველივე ამას კი ახალი თაობა სჭირდება, თაობა, რომელიც უკვე გამოჩნდა და თანდათანობით იმკვიდრებს ადგილს ჩვენს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სარბიელზე. სწორედ ამიტომ, დღეს, ისე როგორც არასდროს, დადგა ჩვენს წინაშე მათი აღზრდა-განათლებისა და პროფესიული დაოსტატების ამოცანა, რომლის გადაწყვეტაც წარმოუდგენელია ჩვენი განათლების სისტემაზე, კერძოდ, უმაღლეს სკოლაზე დიდი სახელმწიფოებრივი მზრუნველობის გარეშე.

დიახ, დროა, ჩვენი დიდი უნივერსიტეტები მთელი ქვეყნის საზრუნავად გამოვაცხადოთ, ისე, როგორც ეს გააკეთეს აჭარაში, როცა **ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი** აჭარის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საგანგებო გადაწყვეტილებით, სახელმწიფო და საერთო-საზოგადოებრივი მზრუნველობის ობიექტად გამოაცხადეს. მოგეხსენებათ, გადაწყვეტილებებსა და დადგენილებებში ჩვენს ქვეყანას ბადალი არ ჰყავდა და არც ახლა ჰყავს, მაგრამ დღეს ამ გაცვეთილ თემაზე როდი ვაპირებთ თქვენთან საუბარს მე და ჩემი რესპონდენტი — ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ნური ვერძაძე. ჩვენ შევეცდებით დაგიხატოთ რეალური სურათი, რომელიც უკვე მოჰყვა აჭარის ხელმძღვანელობის მიერ ამ მიმართულებით გადადგმულ პირველ ნაბიჯებს და ნათლად წარმოაჩენს იმ პერსპექტივასაც, რომელიც ისახება ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე უახლოეს მომავალში.

— ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს, — ამბობს პროფესორი ნური ვერძაძე, — დიდი ისტორიული ამოცანა აქვს შესრულებული ერის წინაშე. მართლაც, განუზომლად დიდია მისი როლი და მნიშვნელობა სამხრეთ საქართველოს ეროვნული კადრების მომზადებასა და მათში ეროვნული თვითშეგნების დამკვიდრებაში.

— ბატონო ნური, ამ სასწავლებელმა მართლაც უდიდესი მისია შეასრულა, მაგრამ მოდით, ისტორიიდან დღევანდელობაში გადმოვინაცვლოთ. მოგეხსენებათ, როგორი რთული პერიოდი განვლო ჩვენმა ქვეყანამ უკანასკნელი 5-6 წლის მანძილზე. ამ ძნელბედობის ჟამს აჭარა იყო სულიერი მასაზრდოებელი არტერია ქვეყნისათვის, რომელიც დიდი შიდააშლილობისა და ქაოსის სარბიელი გახდა. სიმშვიდემ, წესრიგმა, აღმშენებლობის ატმოსფერომ, რომელიც აჭარაში მკვიდრობდა, მაშინ ბათუმი დიდ კულტურულ ცენტრად აქცია. მაინტერესებს, თქვენ, როგორც მეცნიერი, რექტორი და ბოლოს, ბათუმელი კაცი, როგორ აფასებთ ამ მოვლენებს?

— მართალი ბრძანდებით... მოგეხსენებათ, მშენებლობა, მშვიდობიანობის პერიოდშიც კი, ერთობ რთული საქმე გახლავთ. საქართველოს ეკონომიკური გაჭირვების, ურთიერთქიშპობა-აწიოკების პირობებში ის, რაც კეთდებოდა აჭარაში, მართლაც გმირობის ტოლფასი იყო. ქვეყნის ასეთი ძნელბედობის ჟამს, ჩვენ მოვალენი ვიყავით გვეჩვენებინა მსოფლიოსათვის, რომ ქართველი კაცი სვეტიცხოვლის ღირსეული მემკვიდრეა და შემკულია იმ თვისებებით, რომლითაც მას ვამენებდით. ეს აუცილებლად უნდა ითქვას საჯაროდ, რადგან დედაბოძმა, რომელიც იმხანად შემორჩა ქვეყანას აჭარის სახით — იხსნა იგი. თუ ყველაფერს ამას ეროვნული ცნობიერების თვალსაზრისითაც შევხედავთ, სწორედ ეს იყო უდიდესი სიკეთე, რისთვისაც მთელი ერი უნდა უმადლოდეს ჩვენს ხელმძღვანელს, და, საერთოდ, აჭარის მოსახლეობას. მე ძალზე ბუნებრივად მეჩვენება ის, რომ სწორედ მაშინ, როცა ქვეყანას ვაქცევდით, ჩვენი კულტურის წამყვანმა ძალებმაც აქ, ბათუმში, ნახეს თავისი დასაყრდენი, რამაც აქამდე არნახული შედეგები მოგვცა ხელოვნებისა და ლიტერატურის სხვადასხვა დარგში. საკმარისია ამ მხრივ, თუნდაც ჩვენს ქალაქში საოპერო ხელოვნების დიდი აღზევების მაგალითი გავიხსენოთ. ასეთი კულტურული აღმავლობის პირობებში ჩვენს ხელმძღვანელობას არ გამორჩენია ისიც, რომ საჭირო იყო მთელი ამ პროცესის მომავალი საკადრო უზრუნველყოფა. ამის შედეგი გახლავთ ბათუმში ხელოვნების ინსტიტუტის გახსნა, ისეთი კერის შექმნა, რომელიც ხელოვნებისა და კულტურის ყველა დარგის სპეციალისტს მოუმზადებს მთელ დასავლეთ საქართველოს. ამასვე ისახავს მიზნად ბათუმში საქართველოს საზღვაო აკადემიის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ჩამოყალიბება, განსაკუთრებული ზრუნვა მეცნიერების განვითარებისათვის.

— ახლა, როგორც ვატყობ, ჩვენი დღევანდელი საუბრის ძირითად თემას მივადექით. მხედველობაში მაქვს აჭარის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ. თქვენ როგორ აფასებთ ამ ფაქტს?

— ეს დადგენილება, გასული წლის 18 სექტემბერს რომ მიიღო აჭარის უზენაესმა საბჭომ, მართლაც უპრეცედენტოა. იგი მოიცავს უმაღლესი სკოლის ყველა სფეროს — სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის სრულყოფას, რეორგანიზაციას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას და, რაც მთავარია, სამეცნიერო პოტენციალის ზრდას. მას წინ უსწრებდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა. როგორც იცით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის არაერთი გამსვლელი სხდომა მოეწყო ბათუმში, საგანგებო ყურადღება დაეთმო მეცნიერების ცალკეული დარგების განვითარებას, რასაც მოჰყვა ბათუმში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ცენტრის შექმნა. ეს ძალზე შორსმჭვრეტელური გადაწყვეტილებაა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს მომავალში ბათუმში შეიქმნას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის განყოფილება, ისეთი, როგორიც აქვს რუსეთის აკადემიას, ციმბირის განყოფილების სახით. სწორედ ეს იყო ამოსავალი წერტილი ამ დადგენილებისა, რომელიც ბატონ ასლან აბაშიძის ინიციატივით მიიღო აჭარის უზენაესმა საბჭომ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ.

როგორც ამბობენ, უნივერსიტეტი პასპორტია ყველა ქალაქისათვის. მისი სახე მეტ-ნაკლებად განსაზღვრავს ქალაქის ცხოვრებას, მისი განათლების, მეცნიერების, ინტელექტუალური პოტენციალის დონეს. ამიტომ არის, რომ დადგენილების მიღების დღიდან სულ რამდენიმე თვეში მართლაც ბევრი რამ გაკეთდა. მარტო ის რად ღირს, რომ თუნუქით გადაიხურა უნივერსიტეტის ახალი კორპუსის 4 ათას 500 კვადრატული მეტრი სახურავი, საიდანაც 15 წლის მანძილზე ჩამოდიოდა წყალი. ამაზე დაიხარჯა 130 კუბმეტრი ხის მასალა, გადაწყდა, აგრეთვე, უნივერსიტეტის შეუფერხებელი ენერგომომარაგებით უზრუნველყოფის საკითხი, რისთვისაც საგანგებოდ აშენდა სატრანსფორმატორო ნაგებობა. უნივერსიტეტს გადმოეცა საბარგო ტრანსპორტი, მისთვის შეძენილ იქნა მთელი რიგი კერძო ბიბლიოთეკები, სახელმძღვანელოები, გაიხსნა ასპირანტურა, ჩამოყალიბდა სამხედრო კათედრა, ეკონომიკური ფაკულტეტის სხვადასხვა სპეციალობები, თურქული და ბერძნული ენების სპეციალობები. დაისახა სასწავლო პროცესის სრული რეორგანიზაციის ღონისძიებანი — მუშავდება პროგრამები, ხდება ზოგიერთი მათგანის გადახალისება...

ჩემი აზრით, განათლება, განსაკუთრებით უმაღლესი განათლება, უნდა ემყარებოდეს ერთიან ეროვნულ პოლიტიკას. მართალია, უნივერსიტეტებს ავტონომია მიეცათ, მაგრამ განათლების ერთიანი ეროვნული პოლიტიკა უთუოდ უნდა შეიქმნას, საქართველოს ყველა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელს ერთიანი უნიფიცირებული პროგრამა უნდა ჰქონდეს. მაგალითად, ქართული ლიტერატურის ისტორიას, საერთო პროგრამით უნდა ასწავლიდნენ ქუთაისშიც, თბილისშიც, თელავშიც თუ სხვაგან.

— ბატონო ნური, როგორც მოგეხსენებათ, აჭარის უზენაესი საბჭოს დამოკიდებულება უნივერსიტეტისადმი მარტო ე.წ. სახელმწიფო-საბიუჯეტო ღონისძიებებით არ იფარგლება. ჩვენს მკითხველს მინდა მოვახსენო ისიც, რომ დამოკიდებულება ბათუმის უნივერსიტეტისადმი იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ შეიქმნა, აგრეთვე უნივერსიტეტის მზრუნველთა საბჭო, რომელსაც თავად აჭარის ხელმძღვანელი ჩაუდგა სათავეში. ამ საბჭოში გაერთიანდა ყველა, ვისაც შეუძლია წაადგეს უნივერსიტეტს.

— გეთანხმებით... უნივერსიტეტი საერთო-სახალხო საკუთრებაა. ჩვენს ხალხს არაერთი მაგალითი აქვს იმისა, თუ როგორ მზრუნველობას იჩენდნენ მისდამი ჩვენი ერის ცნობილი მოღვაწენი, მეცენატები, უნივერსიტეტისადმი ასეთი დამოკიდებულების ნამდვილ ზნეობრივ მაგალითს თავად ასლან აბაშიძე იძლევა. მას ნამდვილად სურს, რომ მთელმა აჭარამ, უპირველესად, მისმა გარემოცვამ, გაითავისოს ეს საერთო-საქვეყნო საქმე. ჩვენი რეგიონის ყველა ცნობილი ბიზნესმენის გაერთიანება ამ საბჭოში იმაზე მეტყველებს, რომ დადგა დრო, უნივერსიტეტების პატრონობა უპირველეს ამოცანად დაისახოს ჩვენი ბიზნესის სამყარომ, თუ გვინდა ბიზნესმაც — ბიზნესის და ქვეყანამაც იარსებოს ისე, რომ აღდგეს და აღორძინდეს.

ერთ მაგალითს მოგახსენებთ. უნივერსიტეტის ჭერს რომ ვცვლიდით, ერთმა ხულოელმა ქალმა მთელი მანქანა ხის მასალა მოგვაყენა, — ჩემი შვილი აქ სწავლობს და ეს წვლილი ჩვენმა ოჯახმაც გვინდა გაიღოს უნივერსიტეტისთვისო. სხვებიც იყვნენ ასეთები...

— მეც გამახსენდა ერთი ფაქტი: ბათუმის სტადიონის რეკონსტრუქციის დროს ერთმა პატარა ბიჭმა ბიძისგან ნაყინის საყიდლად ნაჩუქარი 5 დოლარი მოიტანა და ყულაბაში ჩაგდება სთხოვა ამ საქმის ორგანიზატორებს. მახსოვს ჩემი მეგობარი ბათუმლების გაოცება... რა ზარზეიმით მიიღეს ამ პატარა ბიჭის ფულით მორთმეული „ძღვენი"... აი, ასეთია, ჩვენებურად რომ ვთქვათ, ატმოსფერო, რომელიც ასულდგმულებს და ფერს უცვლის ბათუმს სწორედ დღევანდელი შეჭირვების ჟამს.

— მართალი ბრძანდებით... ის სტადიონიც, წმინდა ბარბარეს ეკლესიაც, ხელოვნების აკადემიაც, ის ზღვისპირა პარკიც, რომელიც დღეს კეთდება, ყველას კუთვნილებაა და როცა ხედავენ, რომ წვიმასა თუ თოვლში აჭარის პირველი კაციც აქ დგას, მაშინ იბადება არა მარტო ატმოსფერო, არამედ სურვილიც — შენ თავადაც უპატრონო შენს ქალაქს. წეღან, როცა უნივერსიტეტში პირველი ეტაპის სამუშაოებზე მოგახსენებდით, გამომრჩა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი — ბატონ ასლან აბაშიძის ინიციატივით უნივერსიტეტს გადმოეცა იქვე, უნივერსიტეტის გვერდით მშენებარე შენობა, რომელშიც განთავსდება თანამედროვე სასტუმრო, რაც შესაძლებლობას მოგვცემს ჩვენს უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად მოვიწვიოთ როგორც ჩვენი, ისე საზღვარგარეთის ცნობილი მეცნიერები.

მართლაც, დიდი საქმე დაიწყო ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში... ხელისუფლებასთან ერთად მთელი აჭარა, მთელი ბათუმი იღებს მონაწილეობას მის აღორძინებაში. ეს კი, თუ ბათუმელთა განვლილი წლების საარაკო ამბებს გავიხსენებთ, სრული რეალობა გახლავთ. ახლა უკვე იმაზე ლაპარაკობენ, რომ უახლოეს დღეებში ბათუმის უნივერსიტეტს ექნება თავისი საკუთარი სტამბა და გამომცემლობა, კომპიუტერული ცენტრი უცხო ენების თანამედროვე მეთოდებით სწავლებისათვის და კიდევ ბევრი სხვა სიკეთე, რომელიც მას საქართველოს ერთ-ერთ მოწინავე და თანამედროვე უმაღლეს სასწავლებლად აქცევს.

ამის გარანტიას იძლევა უნივერსიტეტის მზრუნველთა საბჭო, რომელშიც აჭარის თავკაცთან ერთად, ათეულობით ბათუმელი მოღვაწეა გაერთიანებული.

ასე შენდება ტაძარი, სადაც შემდგომ ჩვენი მომავალი ილოცებს და იღვაწებს საქართველოსათვის, მისი სიკეთისათვის.

გია ჭელიძე.

ერთი ავტორის გვერდი

ვილენ მარდალეიშვილი

ჩემი თანამედროვე

ულალატო...

ეამაყებოდათ ბიძაშვილებს — ვაჟა და რეზო ჭანიშვილებს — ჩვენაო, ტრაპიზონის სამეფოს კარზე დაწინაურებული გვარის — ჭანიხიტის შთამომავლები ვართო, ჭანიხიტები ჭანიშვილები გამხდარან და ახლა ოზურგეთში, სოფელ ლიხაურში ბლომად არიანო. იმ კუთხისთვის, სადაც ისინი ცხოვრობენ „ოქროს მუხურო" შეურქმევიათ გურულ ფირალებს, რადგან სანდო და ულალატო ხალხი ვართო...

ჰყვებოდნენ ასე...

ახლა ვაჟა აღარ არის ამ ქვეყნად — ტრაგიკულად და უცნაურად დაღუპული ჩვენი ვაჟა, რეზოს კი, ჯვარი სწერია, ამ დღეებში 60 წელი შეუსრულდა და თავის უსაყვარლეს საქმეს — ეროვნულ ქორეოგრაფიას ემსახურება და დასტრიალებს.

რეზო რეპრესირებულთა ოჯახიდანაა. ობლად დარჩენილები — ისა და მისი ძმა — ოზურგეთის უპატრონო ბავშვთა სახლში არიან გაზრდილები. რეზო ბათუმში დაჭაბუკდა, ქართული ცეკვის ანა-ბანას ამ ქალაქში ეზიარა, სამხედრო სამსახურის შემდეგ კი თბილისის კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებლში ჩაირიცხა და ცეკვა გაიხადა ცხოვრების მიზნად.

აი, რას ამბობს [illegible] მისი ერთ-ერთი [illegible], ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კონსტანტინე ჩანჩალაძე:

„იშვიათად მინახავს ამგვარი სასცენო დისციპლინის მქონე ადამიანი. იგი საუკეთესოდ ახერხებს უმოკლეს დროში მოცეკვავეთა წრიდან სწორ ხაზზე გადაყვანას. როგორც ერთი კაცი, ისე მუშაობს მთელი ანსამბლი. მისი შემოქმედება სადი და ნათელია, ზუსტად შეუძლია განსაზღვროს, ქორეოგრაფიაში რომელ ეტაპს რა მოუხდება".

ნიჭიერი ქორეოგრაფის სახელთან არის დაკავშირებული საცეკვაო ანსამბლების შექმნა ბათუმში, ქუთაისში, თბილისში, ხოლო უკვე 15 წელიწადია მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბრწყინვალე ანსამბლს — „მართვეს" ხელმძღვანელობს და ვინ იცის, დღეს უკვე რამდენი სახელოვანი მოცეკვავე დააფრთიანა.

— **შარშან, — მიამბობს რეზო ჭანიშვილი, — „მართვეს" დიდი საგასტროლო ტურნე ჰქონდა გერმანიაში, ბელგიაში, იტალიაში. ქართველი ბავშვების ხელოვნება და სიკისკასე ღირსეულად შეაფასა იქაურმა მაყურებელმა.**

სულ მალე — ივლის-აგვისტოში კი ანსამბლი საგასტროლოდ მიემგზავრება იუგოსლავიაში და იტალიაში.

სანამ ცეკვავდა და სცენას [illegible], არც გამი დაპლეების და არც ჯილდოები. ოცი წლის იყო, ჰელსინკის მსოფლიო ფესტივალის ლაურეატის წოდება რომ მოიპოვა, ხოლო 1972 წელს ქართული ხალხური ცეკვის ინდივიდუალურ შემსრულებელთა კონკურსზე „ქართულისათვის" პირველი ხარისხის დიპლომითა და ოქროს მედლით დაჯილდოვდა.

პედაგოგიური მოღვაწეობაც გამორჩეულია რეზოსი. იგი მკვიდრად დგას ეროვნული ფოლკლორის ნიადაგზე, აგრძელებს მის მდიდარ ტრადიციებს და ამასვე ასწავლის „მართვეს" წევრებს — ნორჩ მოცეკვავეებს.

ახლა მოდით, სახალხო არტისტს ფრიდონ სულაბერიძეს მოვუსმინოთ:

„მოცეკვავის გამოსაძერწად უდიდესი შრომაა საჭირო და ამას რეზო მშვენივრად ახერხებს. იგი პიროვნულადაც გამორჩეულია — თავმდაბალი, ზრდილი, ულალატო... ქართული ქორეოგრაფიის დიდი ქომაგი, ფანატიკურად არის შეყვარებული თავის პროფესიაზე.

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარის პირველი მოადგილე რეზო ჭანიშვილი მთელი საქართველოს მასშტაბით მხარში უდგას დამწყებ ქორეოგრაფებს და არც ხანშიშესულებს ტოვებს უყურადღებოდ".

* * *

ნახეთ, რას ამბობს ფრიდონ სულაბერიძე? ულალატო კაციაო. ესე იგი, როგორც წერილის დასაწყისში წაიკითხეთ, ტყუილუბრალოდ არ ამაყობდნენ თავისი გვარის ამ თვისებით ვაჟა და რეზო ჭანიშვილები.

ახლახან მწერალსა და პუბლიცისტ გივი ბოსტოღანაშვილს დოკუმენტური ნოველების კრებული გამოუცია რეზო ჭანიშვილზე. აქვეა წერილები, რომლებშიც კარგად ჩანს ღვაწლმოსილი ქორეოგრაფის შემოქმედებითი გზა.

გაწამაწიაშია — მრავალ საქმეს ემატება კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის ხელოვნების ფაკულტეტის დეკანობა და იქვე შემოქმედებითი სახელოსნოს ხელმძღვანელობა, მეცნიერების ჯგუფთან ერთად მუშაობს ქართული ქორეოგრაფიის განმარტებითი ლექსიკონზე და ა.შ.

ღმერთმა ჯანი არ მოაკლოს!

ხორუმი — სიმფონია
საქართველოს სიფხიზლის!

ალბათ, სიმბოლურია მერაბ თათარიშვილის „ხორუმის" დაბეჭდვა ქორეოგრაფ რეზო ჭანიშვილისადმი მიძღვნილ მასალასთან. აჭარაში, ბათუმში დაბადებულმა და გაზრდილმა, დღეს უკვე ქართული ხალხური ცეკვის ამაგდარმა მოღვაწემ, ცეკვა „ხორუმიც" თავისებურად დადგა და გაიაზრა. ეს დადგმა დღეს უკვე სამაგალითოა ყველა ანსამბლისთვის.

ჩვენ კი — ამ შესანიშნავი ფოტოსურათის შემყურენი — ეროვნული გრძნობების გასამძაფრებლად მურმან ლებანიძის სტრიქონებს მოვიშველიებთ:

— ფხიზლად! ფხიზლად!
ლომური კამარისთვის წახრილან.
— ფხიზლად! ფხიზლად! —
ხორუმი
გრგვინავს სულის ძახილად...
— ბრძოლებით გვიპოვნია, —
ჰკითხე სარფს და ციხისძირს, —
ხორუმი — სიმფონია
საქართველოს სიფხიზლის!

გზადაგზა ნაპოვნი სურათები

უჩა გეგუჩაძის ცხოვრების ქრონიკა

ჭასთან მორიახლოს დაუშვილია ოხრახუში უჩა გეგუჩაძეს. დღეს, მთელი დღე, წვიმაში, სიცივეში არც თავი დაზოგა, არც ცოლშვილი და — მოასწრო შეღამებამდე — ერთიანად აიღო მწვანედ მოღაღანე ოხრახუში სახლსუკან ფართობში.

ახლა თვითონ უჩა წყალს იღებს ჭიდან, გოგო-ბიჭებს კი კონა-კონა უჭირავთ ოხრახუში და ვედროს უშვერენ — რეცხავენ, ასუფთავებენ ბოსტნეულს.

...დილის 4-5 საათი იქნება, მანქანა მოადგა ჭიშკარს. ეს — მეზობელმა გამოუარა უჩას. ხმაურით, ხვნეშით, გინებით ტვირთავენ მანქანას და ქუთაისში, ბაზარში მიაქვთ ოხრახუში.

* * *

კაი გათენებულია. საწოლიდან ვდგები, სახლის აივანზე გამოვდივარ და... რას ვხედავ: უჩას ეზოში ახლა ქუჩის პირას დგას ოხრახუშის ზვინი, მიმდგარა ზედ ძროხა თავისი ხბოებით და გემრიელად შეექცევა, თან მალი-მალს კუდს აქნევს, ბუზებს იგერიებს.

უჩა სახლის წინ ჩამომჯდარა, „ასტრას" აფუტებს.

— რა იყო ბიჭო, ამისთვის დახოცე გუშინ ცოლ-შვილი?!.— შევეხმიანე მეზობელს.

უჩამ გამომხედა, „ასტრის" მწიკვი მოისროლა: — მაყირობ ხომ?!. არ უნდათ ეს ძირდასაწვავი და, ძალაა?!. კილო ათ კაპიკადაც („თეთრს" „კაპიკს" ეძახის) არ დაიტოვა გადამყიდველმა... ბაზარში კი — ველარ შევდივართ, ჩვენი ადგილი აღარ არის. ვაჭრებს და გადამყიდველებს აქვთ იქაურობა დაკავებული, ბაზრის მაფია ბატონობს, ნებადართულია ყაჩაღობა... არ ვიცი, რას ფიქრობს ეს მთავრობა — გლეხმა სიმწრით მოწეული მოსავალი ვეღარ გაყიდოს?! ღეიდაშვილის ქორწილია ზეგ — ერთი-ორი კაპიკი ხო მინდა... ახლა რაღას წავალ... ღეიდაშვილობაც დეიკარგა და ბიძაშვილობაც... ე, შეხედე, ძროხაც აღარ ჭამს უკვე...

— მარილი უნდა მოუყარო ზედ, მარილი!..

— ეეეეე... რა გიმავთ ქალაქელებს, პროდუქტი თავზე საყრელად გაქვთ... გადმოდი აქეთ, ეხუხოთ თითო, საშველი მაინც არ არის!...

დამოუკიდებლობის დღე

— გაიარა, გაიარა, დამოუკიდებლად გაიარა! — თვალებანთებული შემოდის ოთახში მშვენიერი ანა, მკერდში ციცქნა ვაჟიშვილი ჩაუკრავს, ლაწვებს, თვალებს უკოცნის. „გენაცვალოს დედა... გენაცვალოს დედა".

— სად, ანანო, როგორ, — აღტაცებას ვერ ფარავს ჩვენი ძმაკაცი, ოჯახის უფროსი, რომელმაც ახლახან განსხვავებული სასმისით შევასვა 26 მაისის სადღეგრძელო.

— თავის ოთახში იატაკზე დამჯდარი დავტოვე სათამაშოებთან. შევიხედე ახლა და კედელკედელ დადიოდა... რომ დამინახა, ხელებგამოშვერილი წამოვიდა ჩემკენ...

— აბა, ჩამოსვი... გამოუშვი... მოდი, სუხო, მოდი, ბაბუ, გენაცვალე!..

სუხო (სულხანი) ჯერ ეშმაკური ღიმილით გვათვალიერებს მაგიდის წევრებს, მერე რამდენიმე გაუბედავ ნაბიჯს დგამს, წონასწორობას ძლივს იცავს და ბაბუამისს მუხლებზე ეხუტება.

— ყოჩაღ, ბაბუ, ყოჩაღ!.. მოდით, ძმებო, სუხოს დამოუკიდებელ ნაბიჯებს გაუმარჯოს, იავარდი ჰფენოდეს გზა-სავალზე... ხომ ნახეთ, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს დამოუკიდებლად გაიარა ჩემმა შვილიშვილმა!...

სვამს ჩვენი თამადა და თან ოქროსფერ კულულებზე ეფერება შვილიშვილს.

სერგო

რიგი უდგას სერგო ნათიძეს ახალ, „ცხელ-ცხელ" გაზეთებზე. ამ ადგილას — რედაქციის შესასვლელთან — ხალხის განუწყვეტელი ნაკადი მიდი-მოდის. ბევრია მუშტარი — ისეთი, გაზეთისათვის ფული რომ არ ენანება. ზოგიც, ისეთი „მუშტარი" ჰყავს სერგოს (მეც მათ შორის), რამდენიმე გაზეთს იქვე რომ კითხულობს, თან სერგოს ბუზღუნს ისმენს — გააჭირეთ საქმეო, აქეთ მაინც მოდექით, ხალხს ხელს უშლითო, რა ბიბლიოთეკა გამიმართეთო, ქუთაისში კიოსკთან წაკითხვა, ფასიანია თურმეო... მაგრამ, მის მუდმივ „აქტივს", უკვე ნანინასავით ჩაგვესმის ეს ბუზღუნი, რადგან ზედმიწევნით გვაქვს შესწავლილი სერგო ნათიძის ხასიათი.

სერგო თავის დროზე გამომცემლობისა და სტამბის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი იყო — საამქროს ოსტატი, საამქროს უფროსი — ხალხი ჭკუას ეკითხებოდა...

ახლა, სპეციალისტი და ოსტატი რომ აღარავის უნდა, რა ექნა სერგოს, თავი ხომ უნდა ერჩინა? ჰოდა, საიდან „გააჩალიჩა" რა ჩვენი საქმეა, ერთ დღესაც რედაქციის წინ მაგიდები გამართა და ზედ ნაირ-ნაირი ჟურნალ-გაზეთები შემოაწყო.

იცოცხლეთ, ფულს შეაველო ხელი, ის კი არა, ნაცნობ-მეგობარიც კი გაიჩინა „ზედა ეშელონებში".

მაგრამ, მაინც ჩემი ძველი საქმე მერჩიაო, იტყვის ხანდახან და მე მესმის მისი გულის ტკივილი.

მადლი შენს გამჩენს, ლამაზო!..

„მის საქართველო-97" — გურჯაანელი თამუნა მამულაშვილი.
ჯავარ ლომაძის ფოტო.

სირცხვილია, ქართველებო!

„ზვიადისტ" თამარ გელაშვილს ტელევიზია ენატრება

ხომ გახსოვთ თამარ გელაშვილი — თვალებღიმილიანი, ტელედიქტორი?..

მიხაროდა მისი ყოველი გამოჩენა, და, არა მხოლოდ იმიტომ, რომ თამრიკო ანზორ გელაშვილის — შესანიშნავი რადიოჟურნალისტის — ქალიშვილია, იმიტომაც, რომ ამ ცქრიალა გოგონამ „საქმე იცოდა", ტელემაყურებელთან (ძალიან ხშირად —ნორჩ მაყურებელთან) შესანატრ კონტაქტს ამყარებდა და, ამის გამო, დამსახურებული სიყვარულიც ჰქონდა მოპოვებული.

ქართველი რომ ქართველს წაეკიდა და უკადრისი ამბები დატრიალდა, მას შემდეგ თამარ გელაშვილი ტელეეკრანზე აღარ გამოჩენილა.

რას აკეთებს იგი ახლა?

— **ვზრდი პატარა ირინას და ვარ ჩემთვის...**

— მაინც, რა იყო, თამარ, ტელევიზიიდან თქვენი დათხოვნის მიზეზი?

— **გახსოვთ, ალბათ, 1991 წლის 2 სექტემბრის შემდეგ, თბილისში სიტუაცია ძალიან დაიძაბა, მოგვიანებით კი ტელეგადაცემები უზენაესი საბჭოს შენობიდან მიდიოდა. მე ვმუშაობდი, ჩემს საქმეს ვაკეთებდი... ტელევიზიის შენობაში რომ მივბრუნდით, ვილამ მიგიშვა — მართალია, შენ არ წერდი იმ ტექსტებს, მაგრამ ხომ კითხულობდიო?!**

რაღას ვიზამდი, დავრჩი ასე... მერე იყო თბილისის დაქცევა და სამოქალაქო ომი, რუსთაველზე ვცხოვრობთ და სულ ჩემ თვალწინ გაიარა იმ მოვლენებმა... მიმაჩნია, რომ ეს იყო ერის ტრაგედია — ქართველი ქართველს ესროდა!

— არ გიცდიათ, თამარ, ტელევიზიაში დაბრუნება? თუ „ზვიადისტად" გთვლიან და...

— **ჩემთვის მიუღებელია ადამიანის ასეთი დახასიათება... ვისთვის „ზვიადიზმი" სულიერი მდგომარეობაა, ვისთვის — ფიზიოლოგიური, ჩემთვის — ორივე უცხოა, თუმცა ტელევიზიაში ზოგიერთმა, ვილაცეების საამებლად, შეიძლება ასეც მინოდოს... რას ვიზამთ... რაც შეეხება ტელევიზიაში დაბრუნებას, მე ვოცნებობ ამაზე. იცით, ბავშვობიდანვე მიყვარდა ტელევიზია, ორი-სამი წელიწადი თეატრალური ინსტიტუტის მეტყველების პედაგოგებთან ვმეცადინეობდი და, მართალია, სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი დავამთავრე, მაინც ავისრულე ოცნება და ქართული ტელევიზიის დიქტორი გავხდი... ყალბი თავმდაბლობის გარეშე იმასაც ვიტყვი, რომ არც მთლად ურიგოდ ვუძღვებოდი ჩემს საქმეს.**

დავბრუნდებოდი, მაგრამ ჩემი საქმიანობა, ბატონო ვილენ, სხვებზეა დამოკიდებული. იმ ტექსტის ავტორს, იმ რეჟისორს, იმ რედაქტორს ძველებურად მოსწონს თამარ გელაშვილი? ზოგმა, შეიძლება, გვერდითაც არ გამიკაროს, აქაოდა, შენ „სხვაგვარად" აზროვნებო... არადა, მე საქმე მინდა...

* * *

აბა, რა დავამატო თამარ გელაშვილის მონოლოგს?

ალბათ, უნდა დავივიწყოთ ერთმანეთის წყენა, უნდა ავმაღლდეთ, რათა თამარ გელაშვილი დაუბრუნდეს თავის საყვარელ საქმიანობას.

და თუ ვინმე მას, მაინცდამაინც „ზვიადისტად" თვლის, ამაზეც ხომ თქვა, დალოცვილებო, ამ ცოტა ხნის წინათ ქვეყნის პრეზიდენტმა, ბოლოს და ბოლოს როგორმე უნდა შევრიგდეთ და გავერთიანდეთო.

კოლხური მელოდიები

გამომცემლობა „მერანმა" გამოსცა მურმან ჯგუბურიას რჩეული ლექსების კრებული, რომელშიც თავმოყრილია ყოველივე საუკეთესო, რაც პოეტს თავის შემოქმედებით გზაზე — ოცდაათი წლის განმავლობაში შეუქმნია.

ორიგინალური ხედვა, სამეგრელოს თვალწარმტაცი სურათების, უტკბილესი მელოდიების პოეტურ სტრიქონებად აკინძვა საინტერესოს ხდის კრებულს და მურმან ჯგუბურიას წარმოაჩენს, როგორც ერის წარსულსა და დღევანდელობაზე მაფიქრალ კაცს.

მსახიობი ჩხერიმელას ნაპირებიდან

ზემო იმერეთი ყოველთვის იყო შესანიშნავი ხალხური მომღერლებისა თუ სცენის ოსტატების საბუდარი. ხარაგაულელმა თამაზ კიკნაძემ სიმღერით დაიწყო ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ცნობილი ლოტბარის ივანე აბაშიძის ანსამბლში, თავისი სამოცი წლისთავის იუბილეს კი დრამატული მსახიობის ამპლუაში ხვდება.

ნიჭიერებით არის სავსე ხარაგაულის სახალხო თეატრში თამაზ კიკნაძის მიერ შესრულებული როლები, განსაკუთრებით კი დავით კლდიაშვილის ნაწარმოებების გმირთა სახეები.

ძალიან უყვართ თანამემამულეებს თამაზ კიკნაძე. აბა, ამაზე მეტი რა უნდა მსახიობსა და მოქალაქეს.

გულმხურვალე ოკრიბელი

ჟურნალისტი გივი გეწაძე კარგა ხანია მუშაობს „საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტად ტყიბულში და რაჭის რაიონებში.

მისი კორესპონდენციები მშობელი კუთხის ჭირ-ვარამზე, ამ კუთხის ჭეშმარიტ მამულიშვილებზე მოგვითხრობს. თან გაზეთ „ოკრიბას" რედაქტორია გივი გეწაძე, აქ უფრო გაშალა ფრთები მისმა შესაძლებლობებმა. ახლახან, 60 წლის ასაკში, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით „ღირსების მედლით" დაჯილდოვდა ჩვენი ოკრიბელი კოლეგა.

პირამიდიდან სვეტიცხოვლამდე მისასვლელი გზა

დიდად საინტერესო წიგნი გამოსცა პროფესორმა ზურამ ჩაჩანიძემ — „პირამიდიდან სვეტიცხოვლამდე".

წიგნი წარმოადგენს გეომეტრიის ამოცანათა კრებულს მე-8 — მე-11 კლასებისათვის. ამოცანების ტექსტები გადმოგვცემენ ქართული სიმბოლიკის, ძველი ქართული ხუროთმოძღვრების, ჭედური ხელოვნების, ტიხრული მინანქრების, ციხე-გალავნების, სასახლეების, სადარაჯო თუ საცხოვრებელი კომპლექსებისა და სხვათა სტრუქტურულ აღწერილობას. ამის საშუალებას იძლევა ის, რომ აღნიშნული ძეგლები მრავლად შეიცავენ გეომეტრიულ ფიგურებს.

პირველი 6 ამოცანა ეძღვნება ქართულ დროშებს: მოსწავლეები ეცნობიან მათ დანიშნულებას, ისტორიულ მონაცემებს. ყოველ ამოცანას წამძღვარებული აქვს ამონარიდები „ისტორიანი და აზმანიდან". ამოცანის ტექსტებზე მუშაობით მოსწავლე სწავლობს დროშების განზომილებათა თანაფარდობას, ფერებს და მათი მოქმედების ისტორიულ პერიოდს.

ამოცანები — „ძველი ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლები" — ეძღვნება 30 მნიშვნელოვან ტაძარსა და ეკლესიას. თითოეულ ტაძარზე შედგენილია 15 ამოცანა.

ამოცანებში — „სხვადასხვა ხუროთმოძღვრული ძეგლები" ყოველი ამოცანა ეძღვნება ერთ რომელიმე ნაგებობას: ეკლესიას, აკროპოლისს, აკლდამას, კოშკურ საცხოვრებელს, ტრადიციულ საცხოვრებელს და ა. შ. ყოველი ამოცანის ამოხსნები უპასუხებენ მათი აგების თარიღს.

წიგნი რეცენზირებულია (არაოფიციალურად) საქართველოს საპატრიარქოში და ჩასწორდა მათი ობიექტური მითითებების მიხედვით. ხელნაწერს გულდასმით გაეცნო პირადად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, რომელმაც, ავტორთან საუბარში, გამოთქვა კმაყოფილება, წიგნი მოიწონა და გზა დაულოცა ახალგაზრდობისაკენ.

საინფორმაციო სააგენტო მარდალი მოგვითხრობს

მთარგმნელს მადლობას უხდიან. თარგმანი კი ჯერაც დაუსტამბავია

როგორც ჩვენი გაზეთი გაუწყებდათ (7. IX. 1996 წ.) პოეტმა და მთარგმნელმა ამირან ასანიძემ ოცი წლის დაძაბული შრომის შემდეგ გაასრულა უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსის, ახალი უკრაინული ენის ფუძემდებლის ივანე კოტლიარევსკის პოემა „ენეადას" თარგმნა, რომელიც გამოცემას ელოდება.

ეს ფაქტი უკრაინაშიც შეიტყვეს და პა, სულ ახლახანს, ა. ასანიძემ ბარათი მიიღო უკრაინიდან, კერძოდ, პოეტის მშობლიური ქალაქის — პოლტავას ივან კოტლიარევსკის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმიდან. ბარათში ნათქვამია:

მოულოდნელად შევიტყვეთ და დიდად გაგვეხარა, რომ ოცი წლის მუშაობის შემდეგ „ენეადას" თარგმნა გაგისრულებიათ.

გულითადად გილოცავთ და მდაბლად გიხრით თავს თქვენი ხანგრძლივი შრომისათვის. ჩვენ ვიცით, რა ძნელი იქნებოდა თარგმანზე მუშაობა — კოტლიარევსკის „ენეადა" ხომ უკრაინელი ხალხის სულიერი სიღრმის სიტყვაში ხორცშესხმაა.

ჩვენს მუზეუმში გამოფენილია ჟურნალები, რომლებიც თქვენ გამოგვიგზავნეთ 80-იანი წლების დასაწყისში, სადაც დასტამბულია თავები და ნაწყვეტები „ენეადას" თქვენეული თარგმანიდან.

ბედნიერი ვიქნებოდით, თუ „ენეადას" მთელ თარგმანს გვაჩუქებდით, როცა წიგნად გამოვა, თუმცა, წიგნის გამოცემა ახლა მეტისმეტად ძნელია, საშინელი ფინანსური პრობლემების გამო.

დიდი პატივისცემითა და მადლიერების გრძნობით ი. პ. კოტლიარევსკის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის მთავარი მეთვალყურე ევგენია ვსევოლოდის ასული სტოროხა.

* * *

ჩვენ კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ „ენეადას" გამოცემას მეცენატი სჭირდება, რომელიც, ჯერჯერობით, არ ჩანს. მხოლოდ საწარმოო-კომერციულმა ფირმა „დიონისემ" გაიღო შესაძლებელი (პრეზიდენტი — ბატონი ჰამლეტ ხურციძე), რისთვისაც მადლობა მას, მაგრამ მთარგმნელს სხვებმაც თუ არ წაამველეს ხელი, თარგმანი ხელნაწერად დარჩება.

ამ ჟურნალის რედაქტორი აფხაზეთში მტერს შიშის ზარს სცემდა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ჟურნალ „მეომრის" პირველი ნომერი მისმა მთავარმა რედაქტორმა მიხო მორჩილაძემ რედაქციაში მოგვიტანა და თან მისი გამოცემის ისტორიაზე, სამომავლო გეგმებზე გვესაუბრა.

მიხო მორჩილაძე საინტერესო ბიოგრაფიის მქონე კაცია. იგი შესანიშნავი პროზაიკოსია, აფხაზეთში ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე წავიდა და საიერიმოსადესანტო ბატალიონის მეთაური იყო, რამდენჯერმე დაიჭრა, ძლივს ჩამოაღწია თბილისში, დაჯილდოებულია გორგასლის ორდენით, აფხაზეთის ომის თემაზე გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე მოთხრობა და პუბლიცისტური წერილი.

— ამ სახის ჟურნალის გამოცემა აუცილებელი იყო, — გვიამბობს მ. მორჩილაძე, — თუმცა კი, დღევანდელი ჩვენი ქვეყნის პირობებიდან გამომდინარე, წინ მრავალი დაბრკოლება გვედო. ჩვენი იდეა ჰაერში გამოკიდებული დარჩებოდა, რომ არა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ყოფილი შტაბის უფროსის ბატონ გურამ ნიკოლაიშვილის და ეროვნული უშიშროების საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწის ბატონ ნუგზარ საჯაიას დიდი მხარდაჭერა.

ჩვენი ჟურნალის კრედოს კარგად გამოხატავს რამდენიმე სტრიქონი საქართველოს პრეზიდენტის მისალმებიდან, რომელიც მან გამოუგზავნა „მეომრის" რედაქციას:

„მეომარმა" უნდა აღზარდოს ჯარი, ქვეყნისა და საზოგადოების ერთგული დამცველი, მაგრამ მანვე უნდა აღზარდოს საზოგადოებაც საკუთარი ჯარის პატივისცემითა და სიყვარულით".

ჟურნალში ბევრი საინტერესო მასალაა გამოქვეყნებული, მაღალპოლიგრაფიულ დონეზეა დაბეჭდილი და იმედს გვიტოვებს, რომ იგი მალე მოიპოვებს პოპულარობას არა მარტო ჩვენი ჯარის ნაწილებში, არამედ სრულიად საქართველოში.

ქართველური მემკვიდრეობა — ქუთაისური საუბრების თემა

გამოვიდა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო ორგანოს „ქართველური მემკვიდრეობის" პირველი ტომი, რომელშიც დაბეჭდილია დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული ყოველწლიური სიმპოზიუმების („ქუთაისური საუბრების") მასალები და ინსტიტუტის მომძიებელთა ჯგუფების მიერ მომზადებული კომპლექსური (ლინგვისტური, ეთნოლოგიური, ფოლკლორული და სხვ.) ხასიათის ტექსტები სამეცნიერო აპარატურითურთ.

დაინტერესებული მკითხველი ბევრ საყურადღებო მასალას იპოვის ამ კრებულში. სიმპოზიუმის მასალები იბეჭდება ბატონ თემურ შაშიაშვილის ფინანსური ხელშეწყობით.

გავუთბოთ ერთმანეთს გულები

ამ ქალის წყევლის არ მეშინია...

ამ გვერდის ყველა მასალა იზოლდა ზურომშვილის დაბეჭდილია. რამდენჯერ მიფიქრია — მაინც რა თვალი აქვს ამ ქალს ასეთი, რომ ჩემს აჯღაბაჯღა ნაწერს, რაღაც იეროგლიფების მსგავს ასო-ნიშნებს არჩევს და ქათქათა თაბახის ფურცელზე ისე გადააქვს, შეცდომას თითქმის არ უშვებს-მეთქი.

ბეჭდავს მთელი დღე თავაუღებლად, ამის გამო, რა გასაკვირია, ზოგჯერ ნერვებიც ღალატობს — წივის, კივის, წუხსა და რიგს მოითხოვს. ერთი სიტყვით: თუ ხასიათზეა, ხომ კარგი, თუ არადა, უნდა მოერიდო — ჩუმად შეიტანო გადასაბეჭდი მასალა და ფეხაკრეფით გამობრუნდე უკან.

... ოხ, რა გოგო იყო... მახსოვს იზო ზურომშვილი ტელევიზიის მემანქანეთა ბიუროში მოცქრიალე... მაგრამ, მას შემდეგ ბარე ოცდაათი წელიწადი გაიდა და, იზო, საცაა უკვე ბებია უნდა გახდეს.

რომ დამინახავს, იცის, რა ნაწერის გადაბეჭდვა უწევს და ქოქოლას და წყევლას მომაყოლებს, მაგრამ არ მეშინია, რადგან ერთხელ წამოსცდა (რა თქმა უნდა „ოლღა ბებიას" გავლენით) — მე რომ გწყევლი, გული გლოცავსო... ჰოდა, მეც შეთამამებული ვარ...

სულ შრომაშია, ხან რედაქციის საქმეს აკეთებს, ხან „ლევს" დასტრიალებს, ასე წვალებით გაზარდა ერთადერთი ქალიშვილი — უკვე ჩვენი კოლეგა.

იმ დღეს წამოსცდა — ამ კვირაში ჩემი დაბადების დღეა და, ერთი, ჩემი სადღეგრძელო უნდა ჩაგაცეხლოო...

ჰოდა, დაბადების დღეს გილოცავ, ჩვენო იზო!

სი-ენ-ენი: „იყიდება ბირთვული რაკეტები. ფასი — შეთანხმებით“

უიღბლო კონტრაბანდისტი დარიჩევი... და იღბლიანი მაძებარი ფოგენი.

● შეერთებული შტატების საბაჟომ გამოაცხადა, რომ დაპატიმრებულია ლიტვის ორი მოქალაქე, ალექსანდრე პოგრებენსკი და ალექსანდრე დარიჩევი, რომლებსაც ბრალად ედებათ ბირთვული საბრძოლო მასალის გაყიდვის გარიგების მომზადება შეერთებული შტატებისა და კოლუმბიისათვის ზარალის მიყენების მიზნით, იუწყება სი-ენ-ენი. დაპატიმრება შედეგად მოჰყვა ორწლიან ოპერაციას, რომლის დროსაც სპეცსამსახურების აგენტები მოქმედებდნენ კოლუმბიის ნარკოკარტელების წარმომადგენელთა სახით. ნივთმტკიცებულებად ფიგურირებს მოლაპარაკების აუდიო და ვიდეოჩანაწერები. დაპატიმრება მოხდა მაიამის ერთ-ერთ მოტოოტელში მას შემდეგ, რაც აგენტებმა და განსასჯელებმა მოილაპარაკეს გარიგების განხორციელების ხერხზე; პირველ ეტაპზე განსასჯელნი იძლეოდნენ გარანტიას, რომ მიჰყიდიდნენ ტერორისტებს შორის პოპულარულ „დედამიწა-ჰაერის“ კლასის გადასატან 40 რაკეტას „ნემსსა“ და „ისარს“, რომლებიც ბულგარეთშია დამზადებული საბჭოთა ლიცენზიით, სულ დაახლოებით მილიონ-ნახევარი დოლარის ოდენობით. მეორე ეტაპზე, ამერიკის სპეცსამსახურების აგენტებს უნდა ეყიდათ ტაქტიკური ბირთვული საბრძოლო მასალა. სი-ენ-ენი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქმეში გარეული არიან ბულგარეთის სახელმწიფო კომპანიები და ლიტვის მთავრობის მოხელენი, რომელთა ხელმოწერაც არის თანმხლებ დოკუმენტებზე.

გერმანია: დეპუტატებს ეკრძალებათ ბუნდესტაგში სპორტული ფორმით სიარული

გერმანიის პარლამენტმა დაამტკიცა განსაცმლის ფორმა, რომელიც შეძლებისდაგვარად უნდა დაიცვან ბუნდესტაგის სხდომების დამსწრე დეპუტატებმა. დპა სააგენტოს ინფორმაციით, პარლამენტი იძულებული გახდა, მიელო ასეთი წესები იმის გამო, რომ დეპუტატები ხშირად დადიოდნენ სამსახურში მაისურისა და შორტისამარა. სააგენტო, აგრეთვე იუწყება, რომ ამიერიდან ყველა პარლამენტარ მამაკაცს ეკრძალება ატაროს სამსახურში შორტი და მოკლესახელოიანი პერანგი. ქალებს კი, ბუნდესტაგის ახალი წესების მიხედვით, არა აქვთ უფლება, ატარონ მოკლე, მუხლზემოთ, ან დიდჭრილიანი ბოლოკაბა, რომელშიც ბარძაყები მოუჩანთ. სააგენტოს აზრით, ახლადმიღებული წესები პარლამენტარებს მაინც უტოვებს თავისუფლებას, დაიცვან ჩაცმა-დახურვის საკმაოდ ლაღი და დემოკრატიული სტილი, კერძოდ, არ არის სავალდებულო ჰალსტუხის ტარება.

რაკეტები - „ღარიბთა“ იარაღი

ბრიტანული ჟურნალი „ჯეინს დიფენს უიკლი“ წერს, რომ ახლახანს ისრაელის საკურორტო ქალაქ ეილატში გაიმართა თავდაცვისა და სარაკეტო იარაღის გავრცელების საკითხთა ექსპერტების საიდუმლო შეხვედრა. თათბირში მონაწილეობდა 24 ქვეყნის 600-მდე სპეციალისტი. შეხვედრის მონაწილეებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ სარაკეტო ტექნოლოგიის გავრცელებამ მიიღო ისეთი მასშტაბი, რომელმაც შეიძლება ძირი გამოუთხაროს სტაბილურობას მთელ მსოფლიოში. ებრძვიან რა მზარდ კონკურენციას, დამამზადებელმა ფირმებმა შეიმუშავეს ბალისტიკური და ფრთოსანი რაკეტების მოდელები, რომლებსაც შეუძლია დააკმაყოფილონ ნებისმიერი ბიუჯეტის მქონე ნებისმიერი მყიდველის მოთხოვნილებანი. ამის შედეგად, რაკეტები „ღარიბთა იარაღი“ გახდა, წერს ჟურნალი. ახლა, დასავლეთის წინაშე დგას ამოცანა, შეიმუშაონ საიმედო რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები, ამასთან, ეს ამოცანა რაც შეიძლება მალე უნდა გადაწყვიტონ.

ავსტრალია - მგალობელ ფრინველთა სამშობლო

მგალობელი ფრინველები პირველად გაჩნდნენ 50 მილიონი წლის წინათ ავსტრალიაში. დპა სააგენტოს ინფორმაციით, ასეთი დასკვნა გამოიტანა ავსტრალიელმა ბიოლოგმა უოლტერ ბოულმა, რომელმაც ქალაქ ბრისბენის ჩრდილო-აღმოსავლეთით აღმოაჩინა უძველეს მგალობელ ფრინველთა ნაშთები. სააგენტო, აგრეთვე იუწყება, რომ კვლევის საბოლოო შედეგები ჯერ არ არის მიღებული, მაგრამ უკვე ახლა შეიძლება ითქვას, რომ წინანდელ ვერსიებს არავითარი მეცნიერული საფუძველი არ გააჩნია. უოლტერ ბოულს განზრახული აქვს სრულად აღადგინოს ფრთოსანთა პირველი წარმომადგენლის გარეგნობა, რომლებიც დედამიწაზე ისტორიამდელ ხანაში ბინადრობდნენ.

იცხაკ მორდეხაი სამშვიდობო წინადადებას აყენებს

ისრაელის თავდაცვის მინისტრმა იცხაკ მორდეხაიმ საფრანგეთს მიმართა თხოვნით, სათავეში ჩაუდგეს მრავალეროვან ძალებს, რომლებიც თანდათან შეცვლიან ისრაელის ჯარებს სამხრეთ ლიბანში, იუწყება გაზეთი „მაარივი“. თხოვნა გამოითქვა ისრაელის მინისტრის პარიზში ყოფნისას. პირობა, რომელსაც აყენებს ისრაელი, უნდა იყოს საფრანგეთის დაპირება, რომ ალაგმავს შიიტურ პროირანულ დაჯგუფებას „ჰესბოლას“, რომელიც პერიოდულად უშენს, ხოლმე, ცეცხლს ისრაელის ჩრდილოეთ რაიონებს. 1995 წელს ისრაელმა ლიბანის სამხრეთში შექმნა 15 კილომეტრი სიგანის „უსაფრთხოების ზონა“, სადაც განალაგა თავისი ჯარები პალესტინელ ტერორისტებთან საბრძოლველად. აქამდე, საფრანგეთმა უკვე შესთავაზა მოშუღლეებს, განელაგებინათ ლიბან-ისრაელის საზღვარზე მრავალეროვანი მშვიდობისმყოფელი ძალები, მაგრამ მაშინ ამ იდეას მოწონებით არ შეხვდნენ.

კლოდი — ტატიანას: „... აი, მეც მამაჩემის მრჩეველი ვარ და ხომ ხედავ, რა წარმატებებს მიაღწია საფრანგეთმა?!“

ბრიტანული „დეილი ტელეგრაფი“ კომენტარს უძღვნის ბორის ელცინის ქალიშვილის ტატიანა დიაჩენკოს დანიშვნას პრეზიდენტის მრჩევლის პოსტზე. წერილის ავტორის აზრით, ამ დანიშვნამ მხოლოდ გააფორმა ის, რაც რეალურად არსებობდა შარშანდელი გაზაფხულიდან, როდესაც ტატიანა დიაჩენკო აქტიურად მუშაობდა პრეზიდენტის გუნდში საარჩევნო კომპანიის დროს. პრეზიდენტის ქალიშვილის აღზევებამ გამოიწვია კონფლიქტი ბორის ელცინის უსაფრთხოების სამსახურის მეთაურთან ალექსანდრე კორჟაკოვთან, რაც საბოლოოდ ამ უკანასკნელის სკანდალური დათხოვნით დამთავრდა. კორჟაკოვი დიაჩენკოს აბრალებს თავის წასვლას. „დეილი ტელეგრაფის“ აზრით, პრეზიდენტის ქალიშვილი იქნება თავისებური შემაკავშირებელი რგოლი მთავრობის ახალგაზრდა რეფორმატორთა გუნდსა და ბორის ელცინს შორის. თვით ტატიანას მიაჩნია, რომ იგი შეასრულებს საფრანგეთის პრეზიდენტის ჟაკ შირაკის ქალიშვილის კლოდის მსგავს როლს, რომელსაც იგი ნატოს პარიზის სამიტზე შეხვდა მიმდინარე წლის მაისში.

იყიდება „სი-ბი-ესი“...

ამერიკის კომპანია „მაიკროსოფტმა“ და კანადის „სიგრამმა“ გამოთქვეს დაინტერესება შეისყიდონ ტელეკომპანია „სი-ბი-ესი“, იუწყება გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი“. „სი-ბი-ესი“ ეკუთვნის კომპანია „ვესტინჰაუზ ელექტრიკს“, რომელიც მზად არის, შეელიოს თავის შვილეულ ფირმას. „ვესტინჰაუზის“ აქციონერებს არ მოსწონთ ტელეკომპანიის დაბალი რენტაბელობა, რომელიც აშშ საერთო-ეროვნული ტელეარხების სამეულში შედის. თუ „მაიკროსოფტი“ იყიდის „სი-ბი-ესს“, მაშინ გაწყვეტს კონტრაქტს „ენ-ბი-სი“ ტელეკომპანიასთან, რომელთან ერთადაც შექმნა ახალი ამბების სამსახური „ემ-ეს-ენ-ბი-სი“, ერთდროულად რომ მუშაობს ტელევიზიითა და „ინტერნეტის“ ქსელით.

„მართას“ თვალის ოპერაცია გაუკეთეს. უფასოდ!



● დუროვის ნადირთა თეატრის ყველაზე ნორჩ მსახიობს — ერთი წლის დედალ სპილოს მართას თვალის კატარაქტის ოპერაცია გაუკეთეს. როგორც ექიმებმა თქვეს, ყველაზე ძნელი გამოდგა ანესთეზიისათვის საჭირო ნარკოტიკული ნივთიერების ოდენობის განსაზღვრა. ყველამ ვიცით, რომ „სპილოს დოზა“ დიდია, მაგრამ იმისათვის, რომ დაედგინათ, სახელდობრ, — რამდენი, ანესთეზიოლოგები იძულებული გახდნენ ინტერნეტით დაკავშირებოდნენ კოლეგებს პაციენტის მშობლიურ ქვეყნებში ინდოეთსა და აფრიკაში.

რუსეთი იარაღს არავის არ უჭერს, ოღონდ იყიდონ...

რუსულმა მაფიამ სხვადასხვა სახის შეიარაღება მიაწოდა ქურთების მუშათა პარტიის წარმომადგენლებს, იუწყება „თურანის“ სააგენტო.

გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებული მოხსენების თანახმად, რუსეთის დამნაშავეთა დაჯგუფება 20 კაცის შემადგენლობით, იარაღის ტრანსპორტირებისათვის იყენებს პოლონეთის, სლოვაკეთისა და იუგოსლავიის ტერიტორიებს. ჯგუფში შედიან რუსეთის არმიის ყოფილი ოფიცრები და მოსკოვის მაღალი ეშელონების ოფიციალური პირები.

ამერიკის დაზვერვის მონაცემებით, იარაღით დატვირთული სატვირთო მანქანები დაბრკოლების გარეშე ხვდებიან თურქეთის ტერიტორიაზე სარფისა და კაპიკულეს სასაზღვრო გამშვები პუნქტებიდან. რის შემდეგაც, თურქეთის ტერიტორიაზე იარაღი საიდუმლოდ გადაეცემა ქურთებს. ამასვე ადასტურებს „თურქეშ დეილი ნიუსის“ ცნობა ქურთების მხრივ ჩრდილოეთ ერაყის ტერიტორიაზე თურქეთის შვეულმფრენების წინააღმდეგ რუსული რაკეტების გამოყენების შესახებ.

● სტუდენტთა საპროტესტო გამოსვლები მიმდინარეობს ნიკარაგუის დედაქალაქ მანაგუაში. ეროვნულმა ასამბლეამ მიიღო გადაწყვეტილება 9,3 პროცენტით შეამციროს უნივერსიტეტების სუბსიდირების ხარჯები.

გფრ: რეფორმები — ჯერ მოქალაქეთა ჯიბიდან და მერე — მოქალაქეთა ჯიბისათვის

„ექსპრესი“ აქვეყნებს მასალას, რომელიც ეძღვნება გერმანიაში მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმას. გაზეთი იუწყება, რომ 1-ლი ივლისიდან ამოქმედდა პირველი ღონისძიება მთელი პაკეტიდან, რომელსაც მთავრობა ითვალისწინებს ბიუჯეტის დეფიციტის შესამცირებლად და ევროკავშირის მოთხოვნების შესასრულებლად, რაც აუცილებელია 1999 წელს ერთიანი ევროპული ვალუტის შემოსაღებად. ამის შედეგად, 1 რიცხვიდან მნიშვნელოვნად გაძვირდა ზოგიერთი საქონელი და მოიმატა ცალკეული გადასახადების განაკვეთმა. გაზეთს მაგალითად მოჰყავს მედიკამენტებისა და სამედიცინო მომსახურების ღირებულება, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებათა ზოგიერთი გადასახადის გადიდება. როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი წინასწარმეტყველებდნენ, ყველა ეკონომიკური რეფორმა განხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქეთა პირადი სახსრების ხარჯზე, რომლებიც ამიერიდან იძულებული არიან საკუთარი ჯიბიდან აანაზღაურონ ყველა სიახლე, რომელსაც გერმანიის მთავრობა ჩაიფიქრებს.

ალბანეთი: ლეკა I მეფის გვირგვინს იზომებს

ალბანეთის პარლამენტის არჩევნებში, წინასწარი შედეგების თანახმად, სოციალისტებმა გაიმარჯვეს, იუწყება როიტერი. სოციალისტთა ლიდერს ფატოს ნანოს მიაჩნია, რომ იგი მოკავშირეებთან ერთად მიიღებს პარლამენტის ადგილების ორ მესამედს. ამავე დროს, ქვეყნის პრეზიდენტი დემოკრატი სალი ბერიშა დარწმუნებულია, რომ მემარცხენეებმა იჩქარეს ეზეიმათ გამარჯვება და უნდა დაელოდონ არჩევნების შედეგების გამოცხადებას. პარლამენტის არჩევნების პარალელურად ამომრჩევლები მონაწილეობდნენ რეფერენდუმში. რეფერენდუმის ერთადერთი საკითხი ეხებოდა ალბანეთში კონსტიტუციური მონარქიის აღდგენას. ტახტის პრეტენდენტია ლეკა I — ვაჟი მეფე ზოგასი, რომელიც ტახტზე იმყოფებოდა 1928-1939 წლებში. მონარქისტები დარწმუნებული არიან წარმატებაში, აღნიშნავს როიტერი და დასძენს, რომ არჩევნების მიმდინარეობას თვალს ადევნებდა 700 საზღვარგარეთელი მეთვალყურე, რომლებსაც იცავდნენ ქვეყანაში საგანგებოდ შემოყვანილი მრავალეროვანი ძალების ჯარისკაცები.

მთავარია, გადაწყვეტილება ბუნდოვანი იყოს...

გაზეთი „ზიუდდოიჩე ცაიტუნგი“ აქვეყნებს მასალას, რომელიც ეძღვნება ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ უკანასკნელ გადაწყვეტილებას. გაზეთის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვთ აშშ საკანონმდებლო სისტემისათვის, მისი დადგენილებები ყოველთვის როდია საკმაოდ მკაფიო და გასაგები, რაც ბევრ წინააღმდეგობას წარმოშობს. გაზეთს მაგალითად მოჰყავს სასამართლოს დადგენილება იმ შეკითხვის გამო, შესაძლებელია, თუ არა, ექიმების დახმარება, თუ უკურნებელი სენით დაავადებული პაციენტი გადაწყვეტს საკუთარი ნებით გამოესალმოს სიცოცხლეს. სასამართლოს დადგენილების თანახმად, წერს გაზეთი, აშშ კონსტიტუცია არ მიიჩნევს შესაძლებლად ექიმებისათვის, დაეხმარონ ავადმყოფებს თავის მოკვლაში, მაგრამ, ცალკეული მსგავსი შემთხვევები, სასამართლოს აზრით, არ ეწინააღმდეგება ცალკეულ კანონებს. გაზეთი, აგრეთვე იუწყება, რომ სასამართლოს მიერ ასეთი ფორმულირების გამოტანის შემდეგ, ვერც თვით მედიკოსები, ვერც იურისტები, ვერც საზოგადოებრიობის ფართო ფენები ვერ მიხვდნენ სასამართლოს გადაწყვეტილების ჭეშმარიტ აზრს, და არ იციან, შესაძლებელია, თუ არა, მომავალში მსგავსი დახმარება სამედიცინო პერსონალის მხრივ.

გამოთხოვება მეგობართან

● ფლორიდის შტატის პოლიციელები — სამსახურებრივი ძაღლების მეგზურები თავიანთ ერთგულ თანამშრომლებთან ერთად შეიკრიბნენ სამგლოვიარო ცერემონიაზე, რომელიც გაიმართა რალფის ხსოვნის აღსანიშნავად. გერმანული ნაგაზი რალფი დაიღუპა მძარცველთან ორთაბრძოლაში პოლიციის ოპერაციის დროს, როდესაც თავგანწირვით ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას. ერთგული ნაგაზი ჭიანურისა და შაშხანის ზალპების ხმაზე მიაბარეს მიწას.

კულტურული ფასეულობები - გადაადგილებულია დროებით თუ სამუდამოდ?

„ჰერმანი ლაიდი“ კვლავ აქვეყნებს მასალებს, რომლებიც ეძღვნება რუსეთის კანონს გადაადგილებული კულტურული ფასეულობების შესახებ. გაზეთი აღნიშნავს, რომ რუსეთის პრეზიდენტსა და პარლამენტარებს დღემდე ვერ განუსაზღვრავთ იმ კულტურულ ფასეულობათა ბედი, საბჭოთა არმიამ რომ გაიტანა გერმანიის ტერიტორიიდან მეორე მსოფლიო ომის დამლევს. გაზეთი, აგრეთვე ხაზს უსვამს, რომ ბორის ელცინმა მაინც იპოვა იურიდიული საბაბი და კვლავ დაუბრუნა დეპუტატებს კანონპროექტი ხელახალი კენჭისყრისათვის. გაზეთის ინფორმაციით, კანონის ხელმოუწერლობის საბაბი გახდა ის, რომ სახელმწიფო სათათბიროს სხდომას, რომელიც ვეტოს გაუქმებას მოითხოვდა, რეალურად ესწრებოდა გაცილებით ნაკლები დეპუტატი, ვიდრე ეს კენჭისყრის შედეგებში აღირიცხა. გარდა ამისა, კანონის უარყოფის ფორმალურ საბაბად ბორის ელცინმა დაასახელა ფედერაციის საბჭოში კენჭისყრის არასწორი პროცედურა. ასეთი ფორმალობანი, წერს გაზეთი, ჯერ კიდევ უტოვებს გერმანიას იმედს, რომ დაიბრუნებს კულტურულ ფასეულობებს, რომლებსაც რუსეთის მხარე წინათ მიღწეულ მორიგებათა დარღვევით განიხილავს, როგორც იმ ზარალის მატერიალურ კომპენსაციას, რუსეთს რომ მიადგა მეორე მსოფლიო ომის წლებში.

ლი დენ ხუეი: „ტაივანი დემოკრატიული განვითარების ეტალონია“

ამერიკულმა გაზეთმა „ი-ეს-ეი თუ დეიმ“ გამოაქვეყნა ტაივანის პრეზიდენტის ლი დენ ხუეის სტატია სათაურით „ტაივანის მოდელი საუკეთესო გამოსავალი ჰონკონგისათვის“, რომელიც ეძღვნება სიანგანის დაბრუნებას ჩინეთის იურისდიქციაში. ლი დენ ხუეი აღნიშნავს, რომ ჰონკონგიდან ბრიტანეთის წასვლა მოასწავებს კოლონიური ხანის დასრულებას, მთელი ჩინელი ერის გამარჯვებას, და გამოთქვამს იმედს, რომ პეკინი შეინარჩუნებს ჰონკონგის აყვავებასა და სტაბილურობას, და ამასთანავე, მის მოქალაქეებს საშუალებას მისცემს კვლავინდებურად დატკბნენ თავისუფლებითა და დემოკრატიით. ამასთან, პრეზიდენტი ჩინეთის ხელმძღვანელებს ურჩევს, ყურადღება მიაპყრონ ტაივანს, როგორც დემოკრატიული განვითარების ეტალონს, და გამოთქვამს რწმენას, რომ ჩინეთს, სულ ერთია, მაინც მოუწევს ამ გზაზე დადგომა. ეს კი, ლი დენ ხუეის აზრით, საბოლოო ანგარიშით, ხელს შეუწყობს ტაივანისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გაერთიანების პრობლემის გადაჭრას.

როგორც ამტკიცებენ...

რადიო „გერმანული ტალღა“: პოლონეთში ძალაში შევიდა ლუსტრაციის კანონი. იგი არ კრძალავს სახელმწიფო დაწესებულებებში სამუშაოდ იმათ მიღებას, ვისაც წინათ კონტაქტები ჰქონდა სპეცსამსახურებთან, მაგრამ ამ კონტაქტების დამალვა შეიძლება დაისაჯოს პატიმრობით და 10 წლის განმავლობაში სახელმწიფო თანამდებობის დაკავების აკრძალვით. ცნობილ პუბლიცისტს, წარსულში დისიდენტ ადამ ნიხნიკს მიაჩნია, რომ ახლა მთელ ქვეყანამი ავორდება ბეზღისა და ცილისწამების ტალღა.

გაზეთი „ფიგარო“: მსოფლიო პოლიტიკა უკანასკნელ ხანს წააგავს ალპურ ლანდშაფტს — უმაღლესი დონის შეხვედრების უსასრულო წყება, მათ თავზე — საავდრო ღრუბლები, ბარში — ნისლი, ჰორიზონტზე ანთებული ცა, მაგრამ ჰაერში განახლების სუნი ტრიალებს. 80-იანი წლების დამდეგს დაიმალა იალტაში დამკვიდრებული მსოფლწესრიგი და დაიწყო დამოუკიდებელი „განამენიანების“ ფაზა. ახლა სამშენებლო მოედანზე თანდათან გამოიკვეთა მწყობრი დაგეგმარების ნიშნები.

რადიო „თავისუფლება“: შეერთებულ შტატებში შეიძლება უთანხმოება წარმოიშვას ნატოს გაფართოების ღირებულებისა და ტემპის საკითხის გამო. თეთრმა სახლმა უნდა მოაწონებინოს კონგრესს ალიანსის გაფართოების მრავალმილიარდიანი გეგმა, რათა შემდეგ კონგრესმა მოახდინოს სახსრების ასიგნება ხარჯების ამერიკის წილის ასანაზღაურებლად. ადმინისტრაციის აზრით, ნატოს გაფართოება მომდევნო ათწლეულში ამერიკელ ბეგარის გადამხდელებს ყოველწლიურად 200-200 მილიონი დოლარი დაუჯდება.

შვეიცარიის პარლამენტმა გამართა სემინარი, სადაც განიხილა შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალური მოხსენება, რომელიც ბრალად სდებს შვეიცარიას ნაცისტური გენოციდის მსხვერპლთა ოქროს შეძენას. შვეიცარიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფლავიო კოტიმ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა ვერ დაეთანხმება მტკიცებებს, თითქოს შვეიცარიამ ნაცისტურ გერმანიასთან ფინანსური ოპერაციებით ხელი შეუწყო ომის გახანგრძლივებას.

იქმნება ახალი „საერთო ბაზარი“ - აღმოსავლური

რვა არაბულმა ქვეყანამ გადაწყვიტა შექმნას საერთო ბაზარი, იუწყება როიტერი. მათ შორის არიან სირია, ეგვიპტე, საუდის არაბეთი, ქუვეითი, ომანი, კატარი, ბაჰრეინი და არაბთა გაერთიანებული საამიროები. ერთობლივ კომუნიკეში, რომელსაც დამასკოს დეკლარაცია ეწოდა, დაფიქსირებულია, რომ მისი მონაწილენი ჩამოაყალიბებენ სპეციალურ კომიტეტს, რომელიც შეიმუშავებს საერთო ბაზრის შექმნის პროგრამას. ექსპერტთა აზრით, პირველი ნაბიჯი გახდება თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნა.



● იოკოჰამის მახლობლად იაპონური ტანკერის ავარიის შედეგად გადმოღვრილი 4000 ტონა ნავთობის ლაქა ტოკიოს მიმართულებით მიიწევს. იოლად აალებადი სითხის უვნებელსაყოფად ლაქას გემიდან ნავთობის გამხსნელს ასხამენ.

ინდოეთი: იზეიმონ თუ იგლოვონ?

ინდუისტ ნაციონალისტთა ლიდერმა ბ.ლ. შარმამ ხელისუფალთ მოუწოდა, გააუქმონ ინდოეთის დამოუკიდებლობის 50 წლისთავის დღესასწაულობა, რომელიც 15 აგვისტოს არის დანიშნული, იუწყება გაზეთი „ეიშნ ეიჯი“. შარმას განზრახული აქვს, სასამართლოსააკრძალვინოს დღესასწაული. თავის მოქმედებას ინდოელი პოლიტიკოსი იმით ხსნის, რომ ინდოეთისა და პაკისტანის გაყოფისას ამ ორ ქვეყანას შორის მიგრაციის დროს უამრავი ინდუსი და მუსლიმანი დაიღუპა. შეგახსენებთ, რომ ბრიტანელებმა, რომელთა კოლონია იყო ინდოეთი, ქვეყანა რელიგიური ნიშნის მიხედვით დაყვეს. ინდოეთში უნდა ეცხოვრათ ინდუისტებს, პაკისტანში კი მუსლიმანებს. ამის შედეგად დაიწყო მილიონობით ადამიანის მიგრაცია, რასაც თან სდევდა რბევა-დაწიოკება და მასობრივი ხოცვა-ჟლეტა. „როგორ შეიძლება იდღესასწაულო ქვეყნის გაყოფა და მილიონობით ადამიანის დასამარება?“ — ასეთი კითხვით მიმართავს შარმა ქვეყნის მთავრობას და პარლამენტს. მაგრამ ინდოეთის უდიდესი ოპოზიციური პარტია — „ბჰარატია ჯანატა პარტი“, რომელსაც ეკუთვნის პოლიტიკოსი, მტკიცედ გაემიჯნა მის გამონათქვამებს, დასძენს „ეიშნ ეიჯი“.

იმიგრანტები ემიგრანტთა ადგილს იკავებენ

„ზიუდდოიჩე ცაიტუნგი“ ამუქებს გერმანიის ზოგიერთ სოციალურ პრობლემას. გაზეთი იუწყება, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და ქვეყნის ოფიციალური ორგანოების უმრავლესობა გამუდმებით ცდილობს წარმოსახოს გერმანია უამრავი ემიგრანტისა და კოლონისტის ნატვრის საგნად, რომლებიც ისწრაფვიან, რადაც უნდა დაუჯდეთ, მიიღონ გერმანიის მოქალაქეობა და აქ სამუდამოდ დამკვიდრდნენ. მაგრამ, გაზეთის მონაცემებით, მიმდინარე ამბების რეალური სურათი შორს არის ასეთი მდგომარეობისაგან. გაზეთის ინფორმაციით, ყოველწლიურად 130 ათასზე მეტი გერმანელი ტოვებს გერმანიას და სამუდამოდ სახლდება ევროპისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. გარდა ამისა, გერმანიიდან სამუდამოდ წასვლის მოსურნე გერმანელთა უმრავლესობას შეადგენს ახალგაზრდობა, რომელიც უკვე დიდი ხანია ველარ ხედავს ამ ქვეყანაში თავისთვის აბსოლუტურად ვერავითარ პერსპექტივას, ეკონომიკურ სტაბილურობასა და პირად უსაფრთხოებას.

უცხოეთის გაზეთების, სააგენტოების, საინფორმაციო ბიურო „მედიანას“ და „პლანეტა-ფორტეს“ მასალების მიხედვით

უძღვება
არჩილ მანჯგალაძე.

საქართველოს რესპუბლიკა
№153. პარასკევი, 4 ივლისი, 1997 წელი.

თემიდა

მარკ ტვენი დეტალურად აღწერს, რა ხდება... საქართველოში

მომჩივანისა და მოპასუხის სასამართლოში დათქმულ დროს გამოცხადება თითქოს მოასწავებდა იმას, რომ პროცესი გაიმართებოდა, თუმცა ერთმა გარემოებამ მაინც დააეჭვა ყველა. შალვა რჩეულიშვილი, რომელიც, უნდა ითქვას, მარტო მოვიდა და რომელმაც ადვოკატის დახმარება (გასაკვირი არც არის) საჭიროდ არ ჩათვალა, როგორც საკუთარი ინტერესების დამცველი, პირდაპირ მოსამართლის კაბინეტში შევიდა.

მინდა აქვე გითხრათ, რომ თავიდანვე, როცა გავიგე, რომ ადვოკატი მოსამართლესთან შევიდა, ჩავთვალე, იქ ჟურნალისტებს არავინ შეუშვებდა და ვამჯობინე, წინასწარ დამეკავებინა მოხერხებული ადგილი სასამართლო დარბაზში, რომელიც ანტიკვარული დგამ-ავეჯით მკაცრსა და პირუთვნელ განწყობას ქმნიდა.

შთაბეჭდილება იქვე მოფუსფუსე სანდომიან ქალბატონს გავუზიარე, რომელიც საგულდაგულოდ წმენდდა მტვერს და იქაურობას მორიგი მნიშვნელოვანი პროცესისათვის ამზადებდა. თან სინანულით იხსენებდა იმ დროს, როცა იატაკი სულ „მასტიკით" ჰქონდა გაპრიალებული და საერთოდაც, აქ ყველაფერი ბზინავდა. „სხვათა შორის, ისიც მითხრა „კუკარაჩა" აქ არის გადაღებული.

ძალიან საინტერესო მოსაუბრეს ბოდიში მოვუხადე და, სამწუხაროდ, მივატოვე, რათა გამეგო, რა ხდებოდა ბოლოს და ბოლოს.

გაირკვა, რომ ლოდინით დაღლილი ჩემი კოლეგები უკვე შესულიყვნენ მოსამართლის კაბინეტში და მეც, ბუნებრივია, იქით გავეშურე. „ლაპარაკი" თითქმის დაემთავრებინათ და მოსამართლემ განაჩენის გამოტანამდე გარეთ გამოგვიშვა. როგორც ჩანს, შიგნით შექმნილი ვითარების გამო საკმაოდ აღელვებული ორივე მხარის მიერ სასამართლოს დერეფანში და შემდეგ, გარეთ განცხადებულისა თუ საველე პირობებში სპონტანურად „მოწყობილი" პრესკონფერენციების შედეგად ასეთი სურათი შეიქმნა.

„მოქალაქეთა" ადვოკატი **კობა დავითაშვილი**: „ბატონი შალვა აცხადებს, რომ ცილისწამების გამო პროცესის გამართვა „ელიზი" — „ომეგას" საქმის ძიებისა და, შესაბამისად, სასამართლოს დამთავრებამდე არ შეიძლება. ამ ლოგიკით გამოდის, რომ მას, თავისი პროფესიიდან გამომდინარე, მთელი სიცოცხლე შეუძლია ცილი დასწამოს ხან ვის და ხან ვის, შემდეგ კი, როცა საქმე დამტკიცებაზე მიდგება, თქვას, ჩემი მარწმუნებლის ინტერესების გათვალისწინებით, არ შემიძლია გავეახმაურო ესა თუ ის ფაქტი, როგორც ცილისწამების საბუთი.

საქმე კი ის არის, რომ, თუ შალვა რჩეულიშვილი სასამართლოს იმ ცნობებს წარუდგენს, რომლებიც ამ საქმეს შეეხება, აღმოჩნდება, რომ „ომეგა" დაზარალებული კი არა, ეჭვმიტანილია.

აქედან გამომდინარე, ის მხოლოდ იმიტომ არიდებს თავს ამ ფაქტების გახმაურებას, რომ ამით უფრო დიდ დარტყმას თავის დასაცავს მიაყენებს. სხვა შემთხვევაში, რა ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება არსებობდეს, თუ შალვა დაამტკიცებს, რომ „ელიზის" უკან ბარამიძე და მაჭავარიანი დგანან და მათ ამისთვის ქრთამად ერთი მილიონი დოლარი მიიღეს? პირიქით, ამით ხომ მხოლოდ მოიგებს საქმეს?

ამიტომ მის საქციელს მე პროცესუალურ „ულოვკას" ვუწოდებ (სხვა სიტყვას ახლა ვერ ვიგონებ), რომ დაუსჯელად გააგრძელოს ცილისწამება და შეურაცხყოფა — ის ხომ ყოველთვის ვინმეს ადვოკატი იქნება?

მაგრამ ასე არ გამოვა! ბატონ შალვას მაინც მოუწევს მტკიცებულებათა წარმოდგენა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას კანონით გათვალისწინებული სასჯელი ელის.

ამასთან, ბატონი შალვა მოითხოვს, რომ საქმე უზენაეს სასამართლოს გადაეცეს. სხვაგვარად, ის თვლის, რომ სასამართლო სუბიექტური იქნება. ამით კიდევ ერთხელ სწამებს ცილს, ამჯერად — იურისტებს. თუ შალვას დავუჯერებთ, საქართველოში აღარავინ ყოფილა სიმართლის მთქმელი და სიმართლის დამცველი. ასეთი პოზიცია ნიშნავს, რომ ბატონი შალვა გაურბის პირუთვნელ პროცესს. ამიტომ, თუკი ის რამდენჯერმე არ გამოცხადდება სასამართლოზე, საქმეს უმისოდ განიხილავენ".

მორს წასვლა არ დამჭირვებია მოპასუხის საძებნელად: ნაბიჯის გადაუდგმელად შემოვბრუნდი და ახლა ბ-ნ შალვა რჩეულიშვილის „პრესკონფერენციაზე" აღმოვჩნდი.

შალვა რჩეულიშვილი: „მიმაჩნია, რომ უზენაესმა სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, არის თუ არა მიზანშეწონილი ძირითადი საქმის შესახებ განაჩენის გამოტანამდე (იგულისხმება „ელიზი" — „ომეგას" ცნობილი საქმე — ე.ჯ.), გაიმართოს გვერდითი, მეორეხარისხოვანი პროცესი. ჩემი აზრით, ამას, ყველაფერს ერთი მიზანი აქვს — ჩემს ძირითად საქმეს ჩამომაცილონ და მომაცდინონ, რათა ველარ შევძლო ჩემი მარწმუნებლის ინტერესების დაცვა. რითი ვართ დაზღვეული, რომ სასამართლო იქაც ისეთ განაჩენს არ გამოიტანს, თითქოს ყაჩაღობა საერთოდ არ მომხდარა? ძიების დამთავრებამდე მე, როგორც ადვოკატი, ჩვენებებს ვერ მივცემ (საკვირველია, ვინ გაბედა „აქ" მისგან „ელიზი" — „ომეგას" საქმის შესახებ ჩვენება მოეთხოვა. ბატონმა შალვამ ხომ, წესით, ამ სასამართლოს მხოლოდ ის უნდა დაუმტკიცოს, რომ „ნაძირალა" ბარამიძე და მაჭავარიანი კორუმპირებული არიან?). ამიტომ ამ პროცესის გამართვა ახლა კანონის დარღვევად მიმაჩნია და თუკი ის მაინც გაიმართება, ჩავთვლი, რომ მმართველმა პარტიამ სასამართლოსა და პროკურატურას კანონსაწინააღმდეგო ქმედებისაკენ უბიძგა.

შეკითხვა: რა სტადიაშია ახლა „ელიზი" — „ომეგას" საქმე, ხომ არ არის რაიმე სიახლე?

შალვა რჩეულიშვილი: რამდენადაც ვიცი, დატაცებული თანხა, რომელიც „ომეგას" დაუბრუნდა, „ელიზში" ინახებოდა.

შეკითხვა: ამას ვინ ამბობს?

შალვა რჩეულიშვილი: არ ვიცი, ჩემამდე ასეთი ხმა მოვიდა, — ბრძანა ბატონმა შალვამ და სულგრძელად დააკმაყოფილა ჩემი თხოვნა, მოეცა ვრცელი ტექსტი, რომელიც მან ჩემს კოლეგებს, თურმე, უკვე დაურიგა. — ზურა, — დაუძახა თავის ერთადერთ მხლებელს, რომელმაც მაშინვე მოგვაწოდა ტექსტი, ბატონმა შალვამ კი, წესისამებრ, იგი თავისი ხელმოწერით დაადასტურა და გასასვლელს მიაშურა.

ამ ტექსტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბარამიძე და მაჭავარიანი მხოლოდ ნაძირალები კი არა, „სუკის" აგენტები, მმართველი პარტიის სამარცხვინო ლიდერები და მილიონერი ბანდიტის მფარველებიც ყოფილან.

იქვე გაირკვა, გარდა იმისა, რომ შალვა რჩეულიშვილს ჯერ საერთოდაც არ მიაჩნია მიზანშეწონილად ამ პროცესის (ცილისწამებას ვგულისხმობ) გამართვა, მას მოქალაქეთა კავშირის ლიდერებისა და სასამართლოს მიმართ სხვა პრეტენზიაც გასჩენია: „მე ჩუღურეთში არ ვცხოვრობ და სასამართლო ამ რაიონში რატომ უნდა გაიმართოს?"

ბუნებრივია, დავინტერესდი, რამ განაპირობა საჩივრის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოში შეტანა?

ჟურნალისტებს, რომელთაც თანაბრად აინტერესებთ ორივე მხარის აზრი, იშვიათად თუ მიეცემათ შესაძლებლობა, მომჩივანიც და მოპასუხეც ასე ოპერატიულად მოძებნონ: სასამართლოს შესასვლელთან კვლავ პრესკონფერენციაა, ამჯერად ბატონ მიხეილ მაჭავარიანის.

მიხეილ მაჭავარიანი: ჩვენ საჩივრის შეტანამდე მოვიკვლიეთ და დავადგინეთ, რომ რჩეულიშვილებს თბილისში რამდენიმე ბინა აქვთ, სხვადასხვა რაიონში. (სიკეთეში მოახმარონ — ე.ჯ.) სამისამართო ბიუროდან მიღებული ინფორმაციით კი, საქმის აღძვრის ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტად ჩუღურეთის სასამართლო ჩავთვალეთ. ახლა აღმოჩნდა, რომ ბატონი შალვა დიდუბის რაიონში ყოფილა რეგისტრირებული. კი, ბატონო, იყოს ისე, როგორც მას სურს. ჩვენთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან, ვფიქრობთ, ნებისმიერი სასამართლო კომპეტენტურია სიმართლე დაადგინოს.

შეკითხვა: მოსალოდნელია, რომ ბატონ შალვას დიდუბის რაიონზეც რაიმე „გართულება" აღმოაჩნდეს?

მიხეილ მაჭავარიანი: ყველაფერი მოსალოდნელია კაცისაგან, რომელიც თვითონ ჩავარდა ისეთ დღეში, როგორისთვისაც, თავისი აზრით, სხვას ამზადებდა. ახლა, ალბათ, ღამეებს ათენებს იმაზე ფიქრით, როგორ „გაწელოს" ეს პროცესი — წერს და ბეჭდავს — რაღას არა!

შეკითხვა: ბატონი შალვა თვლის, რომ ეს ე.წ. „გვერდითი" პროცესია.

მიხეილ მაჭავარიანი: „გვერდითი" შეიძლება მისი ბიზნესისთვის იყოს. ჩემთვის კი მთავარია ღირსება და სახელი, რომლის შელახვასაც იგი ცდილობს.

შეკითხვა: დღეს მან კვლავ გაიმეორა, რომ თქვენ ბანდიტებს მფარველობთ.

მიხეილ მაჭავარიანი: აი, სწორედ ამიტომ უნდა გაიმართოს სასამართლო და იქ გაირკვეს, ვინ ვისი ქომაგია. მე იმის მომხრე ვარ, რომ ქვეყანაში წესიერი იყოს ბიზნესიც და სასამართლოც. აქ კი თვითონ ნახეთ, რა სიმართლის მთქმელიცაა — მთელმა თბილისმა იცოდა, რომ დღეს პროცესი იყო დანიშნული. ბატონი შალვა კი მოვიდა და განაცხადა, რომ ეს მხოლოდ ტელევიზიით შეიტყო ამ დილით, არადა, ფაქტია, მას უწყება გაეგზავნა. აკი „ალიამიც" თქვა, რომ იცოდა ამის შესახებ.

შეკითხვა: ამ ამბებმა პარლამენტშიც გადაინაცვლა. თქვენ და ბატონი ვახტანგ რჩეულიშვილი ამასწინათ სხდომაზეც „დაეჯახეთ". ისედაც, ყოველდღე ხვდებით ერთმანეთს. რას ამბობს მომხდარის თაობაზე?

მიხეილ მაჭავარიანი: იმპულსური კაცია, ვერ გაიგებ, რას ფიქრობს. ხან ამართლებს მამას, ხანაც — ემიჯნება. თუმცა, უდაოდ, უნდა აცნობიერებდეს, რამოდენა პოლიტიკური თუ ეკონომიკური ზიანი შეიძლება მიაყენოს შვილს მამის ასეთმა პოზიციამ.

საერთოდ კი, პოლიტიკური პარტიების ეგზომ გააქტიურებას ჩვენს საწინააღმდეგოდ ერთი გასაგები მიზანი აქვს: წინასაარჩევნო პერიოდში რაც შეიძლება მეტი აუგი ითქვას ჩვენზე და ამით თავი გასამართლებლად გაგვიხადონ. გახსოვთ, ალბათ, მარკ ტვენის ცნობილი ნოველა, როგორ იყრის კაცი კენჭს გუბერნატორის პოსტზე. იქ დეტალურადაა აღწერილი ის, რაც ახლა საქართველოში ხდება. ხან 102 მილიარდი დაგვაბრალეს, ხან — ლუდი, ხან — სპირტი, ხან — სიგარეტი, ხანაც მოძალადეების მფარველობა. აქედან გამომდინარე, აღარც კი გვიკვირს, ქალბატონ ელენე თევდორაძეზე, ლამის, ძალადობასაც რომ გვაბრალებენ (აქ, რაღა თქმა უნდა, იგულისხმება, ბატატუნაშვილის ცემა-არცემის ფაქტი, რომელიც ჩანს, „ძაღლის თავის" სამარეა — ე.ჯ.).

შეკითხვა: ისე, მართლა, იქნებ გვითხრათ „თრიალეთის" შესახებ.

მიხეილ მაჭავარიანი: ბატონმა თემურ ბასილიამ უკვე განაცხადა ამ საქმესთან დაკავშირებით, როგორც კომისიის თავმჯდომარემ და თქვა, რომ სახელმწიფოს არანაირი ზარალი არ მისდგომია. ბატონი შალვა, ალბათ, იმ ხალხმა შეაცდინა, ვინც მას ეს მასალები მიაწოდა. სხვა მტრებიც ხომ გვყავს?

შეკითხვა: ე.ი. მართალნი ხართ?

მიხეილ მაჭავარიანი: ეგ თქვენ განსაჯეთ.

შეკითხვა: ამბობენ, რომ ეს 'ამბავი მოქალაქეთა კავშირის „ჩასაძირად აგორდა". თუ გრძნობთ „ბიძგებს" და „ცისფერი მთებისა" არ იყოს, ხომ ვერ გვეტყვით, „საიდან შეგაქანეთ", ან ხომ არ გჭირდებათ „ერთი-ორი კარგი მარკშეიდერი"?

მიხეილ მაჭავარიანი (იცინის): ყველაზე მეტად იგრძნობა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში გააქტიურდნენ ძალები „პოლიტიკური სასაფლაოდან". უკვე მოგვევლინა „აჩრდილი", მართალია კომუნიზმისა არა, მაგრამ არც ნაკლებდამაფიქრებელი: სოციალისტური პარტია რიხით აცხადებს, რომ თვითონ სუფთაა, ყველა დანარჩენი კი — მეტ-ნაკლებად „გასვრილი", რომ კორუმპირებულია საგადასახადო და საბაჟო სისტემა.

ჯერ საგადასახადოზე მოგახსენებთ: სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ბატონი გრიშა ონიანი ნაძალადევის რაიონის საგადასახადოს უფროსია. მე ამ კაცს ვიცნობ, პატივს ვცემ და, ამდენად, მის შესახებ ცუდს ხელაღებით ვერ ვიტყვი, მაგრამ მიჩნდება ლოგიკური კითხვა: რა იცის ვახტანგ რჩეულიშვილმა, რომ საგადასახადო კორუმპირებულია? გამოდის, რომ მას მოეპოვება ინფორმაცია ბატონ გრიშასგან ან ბატონ გრიშაზე?

რაც შეეხება საბაჟოს, აქ, მართლაც, ძალიან დიდი პრობლემებია, თუნდაც, იგივე სიგარეტის ბიზნესთან დაკავშირებით. საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ჩემი აზრით, უნდა გააკეთოს ოფიციალური განცხადება, ან მოაწყოს პრესკონფერენცია და გვითხრას, რა ხდება საბაჟოში? მან ხომ ყველაზე კარგად იცის, ვინ იყვნენ ეს ფირმები, ვინ იხდიდა გადასახადს, ვინ — არა. ვინ რას მალავდა, ვის რა შემოჰქონდა და გაჰქონდა. თუკი ბატონი თენგიზ აბულაძე ამას არ განაცხადებს, მე როგორც დეპუტატი, მოვითხოვ, ოფიციალურად, პარლამენტს მოახსენოს ყველაფერი, და არა მხოლოდ სიგარეტის ბიზნესზე...

შეკითხვა: თქვენი გეგმა როგორია?

მიხეილ მაჭავარიანი: ჯერ ჩემი ღირსების შელახვის ფაქტის გამო მოვითხოვე ცილისმწამებელმა ბოდიში მოიხადოს და პასუხიც აგოს სისხლის სამართლით გათვალისწინებული კანონით. შემდეგ კი, შესაძლოა, სექტემბერს არც დაველოდოთ, თუ სასამართლომ მოვლენები დააჩქარა, ვიტყვი ყველაფერს იმის შესახებ, რაც, ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ ეს ღრმად წასული პროცესია. შემიძლია, გითხრათ, სად იგეგმება ეს ყველაფერი! სხვათა შორის, ამ სცენარის ავტორები გულზე ხელსაც იბაგუნებენ, ხელისუფლების მომხრეები ვართო. სასამართლოს შემდეგ ყველაფერს ვიტყვი „კრიმობასთან" დაკავშირებით. ბევრისთვის, ჩანს, გაუგებარია როგორ შეიძლება, მმართველი პარტიის ლიდერი იყო და ვინმეს „კრიშით" არ უზრუნველჰყოფდე. მორჩა ასეთი ცხოვრება, არც სხვას მივცემთ ამის საშუალებას!

შეკითხვა: სიგარეტის თემამ ბატონ შოთა კვირაიასთან დაკავშირებითაც გაიჟღერა...

მიხეილ მაჭავარიანი: მართალი ბრძანდებით, მაგრამ მე ვერაფერს გეტყვით, ამ საკითხზე ოსაძის კომისიამ უნდა იმსჯელოს. იმედია, ყველაფერი გაირკვევა.

ბატონი შალვა უკვე კარგა ხნის წასული მეგონა, როცა, იქვე, ახალი „ეპიცენტრი" გაჩნდა.

ამჯერად ჟურნალისტები მხოლოდ „დამკვირვებლის" როლში აღმოვჩნდით. შალვა რჩეულიშვილისა და ელენე თევდორაძის „შეხვედრამ" თუმცა ეტიკეტის დაცვით ჩაიარა, მაგრამ „თქვენობით" მიმართვის ფორმებმა მაინც ვერ შეძლო ამ კონტაქტისათვის საუბრის იერის მიცემა.

შალვა რჩეულიშვილი: რატომ მაშინვე არ თქვით, თუ ბატატუნაშვილი ნაცემი იყო?

ელენე თევდორაძე: ამ შეხვედრას ნოზაძე ესწრებოდა და ის დაადასტურებს, რომ თუმცა პატიმარმა მითხრა, ნაცემი არა ვარო, რაც ექსპერტიზის მოთხოვნის უფლებას აღარ მაძლევდა, მაგრამ მე იგი შეშინებული მომეჩვენა და ვკითხე კიდეც, რატომ გამოიყურებოდა ასე.

— რატომ არ ჩაწერეთ ეს აქტში?

— დავწერე და ვთქვი კიდეც!

— როდის, ორი კვირის შემდეგ? მანამდე უპატრონო გეგონათ?

— არა, მე ეს მეორე დღესვე ვთქვი „ალიაში". შეიძლება თქვენ არ წაგიკითხავთ, მაგრამ მე შენახული მაქვს... შთაბეჭდილებები კი ოქმში არ იწერება!

ამას გარდა, ბატატუნაშვილს ექსპერტიზა სწორედ ჩემი მოთხოვნის შემდეგ ჩაუტარდა. ამაზეც მაქვს ორდე ბებიას პასუხი.

— თუ თქვენ ამას დოკუმენტურად დამიმტკიცებთ, საკამათო აღარაფერი მექნება — დაასკვნა ბატონმა შალვამ.

ყველამ წასვლა რომ დააპირა, სასამართლოს მდივანი ქუჩაში გამოიჭრა და შეშფოთებით იკითხა — განაჩენი აღარ გინდათ?

ვიხუვლეთ და ისევ მოსამართლე მერაბ ჭოხონელიძის კაბინეტში აღმოვჩნდით.

გადაღლილ მკითხველს აღარ გავტანჯავ განაჩენის სრული ტექსტის კითხვით, მით უფრო, რომ იგი, სპეციფიკური სტილისა გამო, არც თუ მსუბუქი საკითხავია. ამიტომ ვიტყვი მთავარს:

„სამისამართო ბიუროდან მიღებული ცნობით ირკვევა, რომ შალვა რჩეულიშვილი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონში. თანამოპასუხე გაზეთიც („ახალი თაობა") აქვე მდებარეობს". საქმე უნდა გადაეცეს საქალაქო სასამართლოს დიდუბის რაიონისადმი დასაქვემდებარებლად. მხარეთა შუამდგომლობა, რომ საქმე გადაეცეს უზენაეს სასამართლოს, საფუძველს მოკლებულია, რადგან მოპასუხის მიერ ჩამოყალიბებული მოტივები შეიძლება გავრცელებულ იქნეს ნებისმიერი რგოლის სასამართლოს მიერ.

იხელმძღვანელა რა სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 123-128 მუხლებით, დაადგინა: „სამოქალაქო საქმე გადაეგზავნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს დიდუბის რაიონის სასამართლოსადმი დასაქვემდებარებლად. განცხადებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა".

— რაც დაგვაველეს ის გააკეთე? — მიაძახა ჭოხონელიძეს რჩეულიშვილმა, კიდევ ერთი-ორი კაცი დამოძღვრა და, ახლა უკვე ნამდვილად წავიდა.

ელზა ჯმუხაძე.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

აშშ დამოუკიდებლობის დეკლარაციის 221-ე წლისთავი

შენაძენი ქართველი მკითხველისათვის

„როდესაც საზოგადოებრივი მოვლენების კვალდაკვალ აუცილებელი ხდება, რომ ერთმა ხალხმა გაწყვიტოს პოლიტიკური კავშირი სხვა ხალხთან, რათა თავი იგულვოს მსოფლიოს სახელმწიფოთა შორის, ვისთანაც დამოუკიდებელი და თანასწორი დგომა ბუნებითი და ღვთიური სამართლის წყალობაა, კაცობრიობის აზრისადმი განსაკუთრებული პატივისცემა მოითხოვს, რომ მან საცნაურჰყოს მიზეზები, რომელთაც გამოყოფა ჩააგონეს". ამ სიტყვებით იწყება ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რომელსაც აშშ კონგრესის დავალებითა და სახელით ხელს აწერს ჯონ ჰენკოკი და დათარიღებულია 1776 წლის 4 ივლისით.

ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციის 221 წლის აღსანიშნავად საქართველოს უზენაესი სასამართლო, აშშ საელჩო საქართველოში და გამომცემლობა „ჯისიაი" გამოსცემს წიგნს „აშშ კონსტიტუცია: კომპრომისის ხელოვნება ანუ მართულთა მმართველობა".

აღნიშნული წიგნი ინგლისურიდან თარგმნეს მინდია უგრეხელიძემ და ვიქტორ ყიფიანმა. ამავე დროს ბატონ მინდია არის წიგნის მეცნიერ-რედაქტორი და როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში ბატონი უილიამ კორტნი წიგნის შესავალში წერს „ამ ნაშრომისა და „აშშ დამოუკიდებლობის დეკლარაციის" ამასწინანდელი მშვენიერი თარგმანის სახით მინდია უგრეხელიძემ ქართველ ხალხს უძღვნა ძვირფასი საჩუქარი, რომლის მიზანია ამერიკის მმართველობისა და ისტორიის უკეთ გაგება. მისი, როგორც იურისტის, ფილოლოგისა და მწერლის პროფესიონალიზმი და აზროვნება, დიდად არის დაფასებული მათ მიერ, ვინც პირადად იცნობს ბატონ მინდიას და ამას ნათლად მოწმობს წინამდებარე გამოცემა".

„აშშ-ის კონსტიტუციის შექმნა ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე უფრო რომანტიკული ხანა ამერიკელი ერის ისტორიაში. უთუოდ ამიტომაც არის, რომ ამერიკული კონსტიტუციის ისტორიაზე ნაწერს ძვირად თუ გაეცნობა ვინმე ისე, რომ თვითონაც ამ რომანტიზმით არ განიმსჭვალოს, ბედნიერი ვარ, რომ შესაძლებლობა მომეცა, კრძალვით შევხებოდი საკაცობრიო სულიერების განძად ქცეულ ამ მშვენიერ ნაწერს, რომელმაც შთამაგონა: „თუ გინდა ერის ნამდვილი სახე დაინახო, იხილე მისი კონსტიტუცია!" წერს ბატონი მინდია წინასიტყვაობაში.

წიგნი მიზნად ისახავს გააცნოს მკითხველს (სტუდენტ-ახალგაზრდობას, იურისტებს, პოლიტოლოგებს, ფილოსოფოსებს, ხელისუფლების განშტოებათა წარმომადგენლებს) საფუძველი, წარმომობა და განვითარება მმართველობის უნიკალური სისტემისა, რომელიც აშშ კონ
ტიტუციამ დაამკვიდრა. იმედი
ულად იგი ყველას დაეხმარება
პრინციპებისა და იდეალების გა
გებაში, რომლებიც საფუძვლა
უდევს და შინაარსობრივად ას
ზრდოებს ამერიკის შეერთებულ
შტატების კონსტიტუციას.

საქართველოს კონსტიტუცია
რთოდ იყენებს უცხოეთის კონ
ტიტუციურ გამოცდილებას, გან
კუთრებით ამერიკულს, ამასთა
კონსტიტუციის მიღება დასაწყ
სია კონსტიტუციონალიზმისა, რო
მლის მშენებლობა მანამდე გა
რძელდება, ვიდრე საბოლოოდ
დამკვიდრდება კონსტიტუციურ
ცხოვრების წესი. ამ მხრივ ნებ
სმიერი ლიტერატურა კონსტიტუ
ციურ სამართალში, მეტადრე ასე
ავტორიტეტული, როგორიც შემო
თავაზებული წიგნია, უდავოდ ძვ
რფასი შენაძენი იქნება ქართ
ლენოვანი მკითხველისათვის.

შადიმან ხელაძ
გამომცემლობა „ჯისიაი"-
გენერალური დირექტორ

დედაქალაქი

უკვე აგებული რომ არ დაინგრეს

უკანასკნელი წლების მოვლენებმა, ყველაფრის მიუხედავად, თბილისელებს ერთი საინტერესო დასკვნის საფუძველიც მისცა: საქალაქო ტრანსპორტის სახეობათა შორის ყველაზე საიმედოა მეტროპოლიტენი. სწორედ მეტროს მუშაკებმა სრულიად არაორდინალურ პირობებში შეძლეს უზრუნველეყოთ მიწისქვეშა ტრასებზე ელექტრომატარებლების მოძრაობა და ამით ასე თუ ისე შეუმსუბუქეს თანამოქალაქეებს არცთუ ისე დალხინებული ცხოვრება. აქედან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივია ის ინტერესი, რომელსაც დედაქალაქის მოსახლეობა მეტროპოლიტენის განვითარების პერსპექტივისადმი იჩენს. მით უმეტეს, როცა ყველა ჩვენგანი აგერ უკვე თითქმის თორმეტი წელიწადია ყოველდღე ხედავს შესაბამის მშენებარე ობიექტებს. ასეთთა რიცხვს განეკუთვნება საბურთალოს ხაზიც. გასაგებია, რომ თავიდანვე ამ მშენებლობამ გარკვეული დისკომფორტი შეუქმნა საბურთალოელებს, მაგრამ, აბა, ვის მოუბრუნდებოდა ენა საყვედური ეთქვა მეტრომშენებლებისათვის. პირიქით, მათ აქ მუდამ დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ. ასე გრძელდებოდა მანამ, ვიდრე სამშენებლო მოედანი საბოლოოდ არ გაიყინა. დარჩა უსაშველოდ ღრმა ქვაბული, რომელმაც თითქმის გადაულახავი ზღუდე შექმნა ვაჟა-ფშაველას პროსპექტის ორივე მხარეზე მცხოვრებ მეზობლებსა და ნათესავებს შორის. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ახლა ამ ქვაბულის მარცხენა თუ მარჯვენა ნაპირიდან მეორე მხარეზე სტუმრად გადასვლის საკითხს ოჯახურ თათბირებზე განიხილავენ და ამ აქციისათვის საგანგებოდ ემზადებიან, რადგანაც სრულიად უმნიშვნელო მანძილის გადალახვა ისეთ დაბრკოლებებთან არის დაკავშირებული, რომ ეს მათ ძალას აღემატება. ახლა ამას დაუმატეთ ისიც, რომ ქვაბული იმპროვიზირებულ სანაგვედ იქცა!

პოდა, აბა, რაღა იდეალური ურთიერთდამოკიდებულება უნდა შენარჩუნებულიყო ყოველივე ამის შემდეგ მეტრომშენებლებსა და ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის? ვაჟა-ფშაველას პროსპექტის მკვიდრებმა თავის დროზე ისიც კი დააპირეს, რომ საკუთარი სახსრებით როგორმე ამოევსოთ პირდაფჩენილი ქვაბული და ამით საკუთარი ბავშვების უსაფრთხოება მაინც უზრუნველეყოთ. მაგრამ ეს საქმეც ყველა ჩვენგანისათვის ცნობილი სიდუხჭირის გამო, მხოლოდ სიტყვად დარჩა.

სამართლიანობა მოითხოვს და უნდა ითქვას, რომ ამ ხნის განმავლობაში არც მშენებლები ყოფილან გულხელდაკრეფილი. აი, ზოგიერთი მონაცემი, რომელიც მოგვაწოდა ფირმა „თბილგვირაბმშენის" № 2 მიწისქვეშა მშენებლობის სამმართველოს უფროსმა რობინზონ გვენეტაძემ.

საბურთალოს ხაზის მშენებარე მონაკვეთის სიგრძე შეადგენს 2,2 კილომეტრს გადასარბენი გვირაბით, ჩიხებით, მოსაბრუნებელი კამერით და ორი სადგურით. აქედან ერთი სადგური — „ბახტრიონი", როგორც გვირაბგამყვანები იტყვიან, მცირე ჩაღრმავებისაა, მეორე — „ვაჟა-ფშაველა" კი — დიდი. გვირაბები თითქმის მთლიანად აგებულია, დარჩენილია მხოლოდ 106 გრძივი მეტრი მცირე ჩაღრმავების უბანზე. დარჩენილ სამუშაოთა მოცულობა, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ საკმაოდ დიდია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ობიექტს, როგორც იტყვიან, ძირითადი დისტანცია უკვე გავლილი აქვს და მისი ამ მდგომარეობაში გაჩერება ყველანაირად წამგებიანია. ეს კარგად ესმით მეტრომშენებლებს და შეძლებისდაგვარად მუშაობას აგრძელებენ. მარტო გასული წლის განმავლობაში მათ 2.400 ათასი ლარის სამუშაოები შეასრულეს, მაგრამ ქალაქის მერიამ მხოლოდ 800 ათასი ლარის გადმორიცხვა შეძლო. მიუხედავად უკიდურესი სიდუხჭირისა — მშენებლებს ოთხი თვის განმავლობაში ხელფასი არ მიუღიათ — მუშაობა წელსაც გრძელდება. დიდი კამათისა და სხვადასხვა დონეზე აზრთა მეხლამემოხლის შემდეგ, სამუშაოთა დასაფინანსებლად სახელმწიფო ბ
უჯეტიდან გამოიყო 2 მილიო
ნი ლარი (ტექდოკუმენტაციის მ
ხედვით, მშენებლობის დასამ
თავრებლად საჭიროა 18 მილი
ონი ლარი), მაგრამ მეტრომშ
ნებლების სიხარული ნააღრ
ვი გამოდგა. შეპირებული თ
ნხიდან წლის პირველ ნახევ
რში მხოლოდ 600 ათასი ლ
რი და ისიც დიდი დაგვიანებით
მიიღეს. აქედან უშუალოდ მშ
ნებლობაზე დაიხარჯა ნახევ
რი, მეორე ნახევარი კი დახ
ჭირდა რუსთაველ-ვაზისუბნის
მშენებარე უბნის მომსახურება
(წყლის ამოტუმბვა, განიავება
გვირაბების შენახვა და ა.შ.). ბ
უჯეტით გათვალისწინებული და
ნარჩენი სახსრები ჯერჯერო
ბით არსად ჩანს. საქმე კი აღა
ითმენს. კაცს ქვა აღმართში და
ეწიაო, სწორედ ასე მოუვიდა
მშენებლებს. ივნის-ივლისში მო
სულმა კოკისპირულმა წვიმ
ბმა ახალი საზრუნავი გაუჩინ
მათ. მთლიანად დაიტბორა მშ
ნებარე ხაზის ღია ქვაბული, რა
მაც გამოიწვია ქანების გამო
რეცხვა საცხოვრებელი სახლი
საძირკვლის ქვეშ და შექმნა მ
ნობის ჩამოქცევის საშიშრო
ბა. თავი არავის დაუზოგავს, არ
ძილი და არც ჭამა არ გახს
ნებიათ მშენებლებს, მაგრამ ას
თი შეზღუდული საშუალებები
როგორ მოერევი სტიქიას!

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ
ვითარება საბურთალოს ხაზის მშ
ნებარე უბანზე საგანგაშოა და ა
სამუშაოები აუცილებლად უნდა
დაჩქარდეს, რათა მშენებლობა
თუნდაც იმ სტადიამდე მივიდე
რომელიც გამორიცხავს უკვე გა
კეთებულის დანგრევას მაინც. წი
ნააღმდეგ შემთხვევაში, მომავა
ლში აღდგენითი სამუშაოებისა
თვის საჭირო გახდება ათჯერ მეტ
თანხა, ვიდრე ახლა ესაჭირო
ბა გაკეთებულის შენარჩუნება.

თენგიზ გრიგალაშვილი,
საქინფორმის კორ

წიგნი

ზნეობრივ კატეგორიებზე

ერთხელ საქორწინო სუფრასთან აკადემიკოსი პეტრე ქავთარაძე იჯდა. ერთმა ახალგაზრდამ ადღეგრძელა და უთხრა: „ბატონო პეტრე, მართალია, მოხუცი ბრძანდებით, მაგრამ მაინც სიმპათიური და საკმაოდ ლამაზი გამოხედვა გაქვთო".

ბატონმა პეტრემ არ დააყოვნა და მიუგო: „მე მოხუცი კი არა, ხანდაზმული ვარ, საერთოდ, მოხუც ადამიანებს არ ეუბნებიან მოხუცი ხარო. ეს ყველა ახალგაზრდამ უნდა იცოდეს".

საზოგადოებაში ქცევის წესებს სთავაზობს ახალგაზრდებს აკაკი ურუშაძე წიგნში „ღირსება კაცისა", რომელიც მეცნიერებათა აღორძინების ფონდის გამომცემლობა „ინტელექტს" დაუსტამბავს.

ამ 110-გვერდიან წიგნში საუბარია ისეთ ზნეობრივ კატეგორიებზე, რომლებიც, ჩვენდა სავალალოდ, დეფიციტად იქცა. სახელდობრ, ზრდილობაზე, თავაზიანობაზე, წესრიგზე, მანერებზე, სიტყვა-პასუხსა და ა.შ. ყოველივე ეს კი ერთობლიობაში განსაზღვრავს თითოეული ჩვენგანის მოქალაქეობრივ სახეს, ღირსებას. ამდენად ამ უპრეტენზიო ნაშრომს თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ ქცევისა და საყოფაცხოვრებო კულტურის კოდექსი.

რამდენიმე სიტყვა თვით ავტორზე:

ახალგაზრდობაში შესანიშნავი სპორტსმენი — ფეხბურთელი და ფრენბურთელი, ჭადრაკში ოსტატობის კანდიდატი.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, ამასთან მოღვაწეობდა მხატვრულ თვითშემოქმედებაშიც — ხელმძღვანელობდა ინსტრუმენტულ ანსამბლებს, ხალხური სიმღერების რაიონულ კოლექტივებს. მხატვრული თვითშემოქმედების დარგში დამსახურებისათვის მრავალჯერ არის დაჯილდოებული.

აკაკი ურუშაძე
ღირსება კაცისა

დამსახურებულ პენსიაზე (არის პერსონალური პენსიონერი) გასვლამდე თითქმის მეოთხედი საუკუნე სათავეში ედგა საქართველოს ტელევიზიის ფონოგრამების განყოფილებას და, როგორც ყოველთვის, თავი გამოიჩინა საქმისადმი სიყვარულით, პროფესიონალიზმით, სანიმუშო წესრიგით. დაუფასდა კიდეც. 1982 წელს მიენიჭა კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება.

გიორგი მახარაძე.

იყიდება

იყიდება დიდ დიღომში ჩეხური პროექტის 4-ოთახიანი, სუფთა ბინა. საერთო ფართი 97 კვ.მ. დიდი ოთახი 40 კვ.მ. ბინა მე-9 სართულზეა, სარდაფით, მანსარდით. აბაზანაში და სამზარეულოში ხის კარადებია. ფასი 9000 დოლარი. ტელ: 37-31-71, ლუბა.

იყიდება ვაკეში, ბარნოვის ქუჩაზე 4-ოთახიანი, 40 კვ.მ. მიშენებით, სუფთა ბინა, 3 მეტრი ჭერით, ტელეფონით, წყლის გამაცხელებლით. საერთო ფართი 200 კვ.მ. ფასი 100 000 დოლარი. ტელ: 23-36-39, ხათუნა, მამუკა.

იყიდება ვაკეში, მატბერაშვილის ქ. № 4-ში სამოთახიანი, არასტანდარტული ბინა მაღალ ბელეტაჟზე, ტელეფონით, სარდაფით, გარაჟით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-10-81.

იყიდება სამოთახიანი, კუთხის ბინა ტელეფონით ვაჟა-ფშაველას გამზირზე მშენებარე მეტრო უნივერსიტეტის მიმდებარე IV კვარტალში, ნუცუბიძის ქ. 104, მე-19 კორპ. I სად. მე-2 სართული, ბინა № 3. ტელ: 31-60-29.

„საქართველოს რესპუბლიკა" მხოლოდ თავისი მკითხველების განცხადებებს აქვეყნებს უფასოდ

№ 153 „სრ"

უფასო განცხადებების ბლანკი

____
____
____
____
____

შევსებული ბლანკი ამოჭერით და ჩააბარეთ რედაქციის განცხადებების განყოფილებას. მისამართი: მ. კოსტავას ქ. №14. პირველი სართული. ყოველ დღე, კვირის გარდა 11-დან 17 საათამდე.

სპორტი

„საქართველოს რესპუბლიკის" სპეციალური გვერდი

ფეხბურთი

6 ივლისს, „ფლორიანასთან"

საერთაშორისო მატჩის წინ

მალტელ ფეხბურთელებთან ჩვენს გუნდებს მჭიდრო კონტაქტი აქვთ. ცოტა უცნაურია, მაგრამ ამ შეხვედრებს ჩვენთვის მაინცდამაინც კარგი შედეგები არ მოუტანია. 1994 წლის 19 ივლისს თბილისში ითამაშა მალტის ნაკრებმა და მატჩი ფრედ 1:1 დაამთავრა ჩვენს ეროვნულ გუნდთან. თავისებური კურიოზით აღინიშნა შეხვედრა უეფას თასზე ზესტაფონის „მარგვეთსა" და „სლემა უონდერერსს" შორის, როცა ზესტაფონელებმა ჯერ გაიმარჯვეს სტუმრად 3:1, მაგრამ შემდეგ სასტიკი მარცხი იგემეს საკუთარ მინდორზე — 0:3.

მალტის დედაქალაქ ლავალეტას კლუბი „ფლორიანა" ერთ-ერთი საუკეთესოა ამ ქვეყანაში. იგი მალტის 25-გზის ჩემპიონი და თასის 18-გზის მფლობელია. საინტერესოა, რომ მან მალტის ჩემპიონობა პირველივე გათამაშებაში — 1910 წელს მოიპოვა. 1962 წლიდან მოყოლებული, მალტის კლუბები სისტემატურად მონაწილეობენ ევროპულ საკლუბო ტურნირებში, თუმცა მას უკვე პირველი წრის შემდეგ სტოვებენ. გამონაკლისია შარშანდელი დუელი ზესტაფონელებთან.

ასეა თუ ისე, „ფლორიანას" საერთაშორისო შეხვედრების სერიოზული გამოცდილება აქვს. გარდა ამისა, მისი ექვსი ფეხბურთელი ეროვნული ნაკრების წევრია, რომელიც სისტემატურად მონაწილეობს მსოფლიო და ევროპის პირველობების შესარჩევ შეჯიბრებებში. რა თქმა უნდა, მალტელებს ძალიან უჭირთ წამყვან ნაკრებებთან თამაში, მაგრამ ამასობაში ითვისებენ უძლიერესთა მიღწევებს სტრატეგიისა თუ ტაქტიკის სფეროში.

„ფლორიანას" ახლანდელი შემადგენლობიდან ნაკრებში გამოდის თბილისში უკვე ნამყოფი 6 ფეხბურთელი: მეკარე დევიდ კლუეტი, მცველები ჯესმონდ დელია, რიჩარდ ბუჰაჯირი, შუა ხაზის მოთამაშეები — მარტინ გრეგორი, ჯონ ბუტიგიგი და ჯონ ბრინკატი.

ასე რომ, თბილისის „მერანს" „ინტერტოტოს თასის" გათამაშების მესამე ტურში დაძაბული ბრძოლა მოელის.

გიგა თორელი.

ჩვენებურები

ქართული ლეგიონი „ალანიაში"

რუსეთის ფეხბურთელთა ჩემპიონატის მორიგ ტურში ვლადიკავკაზის „ალანიამ" შინ 2:0 მოუგო მოსკოვის „სპარტაკს" და 23 ქულით სატურნირო ცხრილში მეშვიდე-მეცხრე ადგილებს ინაწილებს. დამარცხების მიუხედავად, სპარტაკელები თანაქალაქელ დინამოელებთან და ვოლგოგრადის „როტორთან" ერთად 31-31 ქულით ლიდერობას ინარჩუნებენ.

ქვეყნის ჩემპიონისა და ვიცე-ჩემპიონის პრინციპულ დუელში მასპინძელთა ქართული ლეგიონის მონაწილეობის საკითხიც გვაინტერესებდა. საბოლოოდ ყავარჯნებიანი მურთაზ შელიას გარდა (იგი საოპერაციოდ გერმანიაში გაემგზავრა), მინდორზე ყველა დანარჩენი ჩვენებური გამოვიდა. არადა, მატჩის წინ სხვადასხვა მიზეზით მათი თამაში ერთობ სათუო გახლდათ: ლევან კობიაშვილი ერთ-ერთ ქართულ სპორტულ გაზეთში გუნდში შექმნილ არაჯანსაღ ვითარებაზე ამახვილებდა ყურადღებას და იქ დაბრუნებას შეუძლებლად თვლიდა; კახი ცხადაძეს ოჯახური პირობების გამო მთელი კვირა არ უვარჯიშია; დებიუტანტის მიხეილ აშვეთიას ასეთ მრისხანე მეტოქესთან საბრძოლო ნათლობა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. მხოლოდ გიორგი გახოკიძის მიმართ არ უორჭოფია არავის — იგი ყოველმხრივ მზად იყო ფავორიტის წინააღმდეგ საასპარეზოდ.

შეხვედრამ დაადასტურა, რომ ქართველები კვლავ ალანიელთა დამრტყმელ ძალას წარმოადგენენ. ანგარიში აშვეთიას აქტიურობის შედეგად ტიმოფეევმა გახსნა, შესვენებამდე რამდენიმე წუთით ადრე კი კობიაშვილმა კარგად გამოიყენა გახოკიძის გადაცემა და საჯარიმოს ხაზიდან ზუსტად დაარტყა — 2.0.

გია პლატონიშვილი.

სადისკუსიო კლუბი „პრესა"

ფეხბურთი და „ქველბიჭობა"

„საქართველოს რესპუბლიკის" სამ. ნომერში (7, 8, 9 მაისს) გამოქვეყნდა ჩემი სტატია „აბსურდის ფეხბურთი". მასში აღვნიშნავდი, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თავს ვერართმევს ჩვენი საფეხბურთო მეურნეობის მართვას. საპასუხოდ ფედერაციის ბეჭდვითმა ორგანომ „ქართულმა ფეხბურთმა" გამოაქვეყნა მრავალი მასალა, რომელთა კითხვამაც დამარწმუნა (და ქვემოთ მკითხველიც დარწმუნდება), რომ ის ხალხი, ვინც დღეს ხელმძღვანელობს ფედერაციას, ვერასოდეს გაართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას. დიახ, ვერ გაართმევენ, რადგან ისინი ადგანან ქართული ფეხბურთის წინაშე არსებული (მნიშვნელოვანწილად ამ ხალხის მიერვე შექმნილი) უმწვავესი პრობლემების მიჩუმათების, წაყრუების, მიჩქმალვის საძრახ გზას. ბატონი ნოდარ ახალკაცი და მისი გუნდი შუბს ხალთაში მალავენ. ამიტომ, ჩემს პუბლიკაციაში წამოჭრილ პრაქტიკულად არც ერთ პრობლემას არ შეხებიან თავიანთ მრავალრიცხოვან ვითომ-პასუხებში და ჩემს არგუმენტებს დაუპირისპირეს მხოლოდ უწმაწური ლანძღვა-გინება, მუქარები და ცილისწამებანი.

16 მაისს „ქართულმა ფეხბურთმა" გამოაქვეყნა სარედაქციო რეპლიკა უცნაური სათაურით „მირიანაშვილად წოდებულზე" (ნეტავ, რატომ ვარ „მირიანაშვილად წოდებული"?). მასში ჩემს კონკრეტულ არგუმენტებზე პასუხის გაცემის ნაცვლად ვკითხულობთ, რომ მე ვარ, თურმე, კაცი, **„ვინც მთელი სიცოცხლე, ალბათ, სპეცსამსახურში გაატარა და, ალბათ, სპეცსამსახურში თანამშრომლობაზეც არ ექნება ნათქვამი უარი"**. როდესაც მე პრესით მოვითხოვე ამ საზიზღარი, ზეიადისტური ბრალდების დასაბუთება და, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოთი დავემუქრე ცილისმწამებლებს, მათ უკან დაიხიეს — ჩვენ იმას კი არ ვამტკიცებთ, რომ მირიანაშვილი სპეცსამსახურების აგენტია, არამედ იმას, რომ მან „მთელი ცხოვრება მთავრობის სამსახურში" გაატარაო, უბრალოდ ტექსტში კორექტურა გაგვეპარაო (სარედაქციო სტატია, „ქ. ფ"., 23 მაისი). მაგრამ ჯერ ერთი, როცა ერთი სიტყვის მაგივრად წერია სულ სხვა სიტყვა, კორექტურა რა შუაშია?! კორექტურაა, როცა სიტყვა დამახინჯებით არის დაბეჭდილი. ესეც არ იყოს, ფედერაციის მთავარი „იდეოლოგი" ნოდარ კობერიძე და „ქართული ფეხბურთის" რედაქტორი კახა ბროკიშვილი კარგად მიცნობენ და მშვენივრად იციან, რომ სულაც არ გამიტარებია ცხოვრება მთავრობათა სამსახურში; დღევანდელი ხელისუფლებისთვის ვიბრძოდი მაშინ, როცა სულ სხვა ხელისუფლება იყო... დიახ, იციან ეს კობერიძემ და ბროკიშვილმა, მაგრამ ცილს მწამებენ, „ძველბიჭურად" მამუნათებენ: მიდი, მიდი, იჩივლე, ჩივილი არაკაცური საქმეაო!.. შევახსენებ მათაც და მკითხველსაც, რომ ცოტა ხნის წინათ, ამ „არაკაცური საქციელით", ანუ სასამართლოში ჩივილით ნ. ახალკაცი „ქართული ფეხბურთის" ფურცლებიდან ემუქრებოდა ბატონ თემურ შაშიაშვილს...

ახლა ისეც ვნახოთ, როგორ უპასუხა „ქართულმა ფეხბურთმა" ჩემს პუბლიკაციაში მოტანილ არგუმენტებს თავის კონტრ-პუბლიკაციებში. მათში პასუხის გაცემის მეტად ორიგინალური მეთოდია არჩეული: ავტორები თითქმის არ ეხებიან ჩემს არგუმენტებს, ხოლო რასაც ეხებიან, ამახინჯებენ, ყირამალა აყენებენ. შუბის ხალთაში მალვით გართული ფედერაციისა და მისი გაზეთის ხელმძღვანელები, უწინარეს ყოვლისა, ცდილობენ დაარწმუნონ მკითხველი, რომ მე მამოძრავებს ნოდარ ახალკაცის პირადული სიძულვილი და მისდამი მტრობა. აქ ისინი ჩქმალავენ, რომ მე პირადად საერთოდ არ ვიცნობ ახალკაცს, რომ გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში" (19, 22 ოქტომბერი 1991) გამოვაქვეყნე ვრცელი სტატია, სადაც უმაღლესი შეფასება მივეცი ნ. ახალკაცის საწვრთნელ მოღვაწეობას და ეს არც უკანასკნელ სტატიაში უარმიყვია.

„ქართული ფეხბურთის" მიერ ჩემზე „მოქსეულმა" მრავალმა „ოპონენტმა" მიჩქმალა ჩემი ერთ-ერთი მთავარი არგუმენტიც: ევროპის ყველაზე დიდ საფეხბურთო ქვეყნებშიც კი პირველ და მეორე ლიგებში თამაშობს მაქსიმუმ 40 გუნდი. გამონაკლისი მხოლოდ ინგლისია, რომელმაც, მართალია, შეამცირა გუნდების რიცხვი, მაგრამ მის პირველ ორ ლიგაში მაინც 44 გუნდი მონაწილეობს. საქართველოს ჩემპიონატის პირველ და მეორე ჯგუფებში კი... 53 (ორმოცდაცამეტი!!!) გუნდია. რით შეიძლება გამართლდეს ან აიხსნას ეს?! მხოლოდ იმითვე, რითაც აიხსნება ზოგიერთი კორუმპირებული რექტორის სწრაფვა, რაც შეიძლება მეტ აბიტურიენტს გაუხსნას გზა თავისი უმაღლესი სასწავლებლისკენ... ამიტომაც ჩაკვდა, განადგურდა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატი.

„ქართული ფეხბურთი" ჩქმალავს იმასაც, რომ ჩემპიონატი აბსოლუტურად არავის აინტერესებს, ხოლო თბილისის „დინამოს" პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია მას „არასერიოზულ ჩემპიონატად" იხსენიებს.

ფედერაციის ქომაგმა ავტორებმა კრინტი არ დაძრეს ჩემს იმ მოსაზრებაზეც, რომ ფედერაციამ არ გაითვალისწინა საფეხბურთო მეგაპოლისების გამოცდილება, მაგალითად, ლონდონისა, სადაც თითოეული გუნდი ეკუთვნის ქალაქის ამა თუ იმ უბანს, სახელიც ამ უბნისა ჰქვია, რის გამოც გარანტირებული ჰყავს გულშემატკივართა კონტინგენტი. ჩვენში კი კაცმა არ იცის, ვისია, „დინამოს" გარდა, თბილისის სხვა გუნდები და ამიტომ მათ პრაქტიკულად არ ჰყავთ გულშემატკივრები.

„ქართულმა ფეხბურთმა" სიამოვნებით დამიკრა კვერი იმაზე, რომ ნოდარ ახალკაცის სახელთან არის დაკავშირებული ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდი გამარჯვება — თასების თასის მოპოვება 1981 წელს. მაგრამ მიჩქმალა ჩემს მიერვე მოტანილი ფაქტები, რომ შემდეგ, სწორედ ახალკაცის მცდარი მეთოდების გამო, მისსავე სახელს დაუკავშირდა ქართული ფეხბურთის ყველაზე საშინელი ჩავარდნებიც. ამის შემდეგ თბილისის „დინამო" ვლადიკავკაზის „ალანიის" საბაზო კლუბად გადაიქცა. ახალკაცის „ვექილები" ამასაც ჩქმალავენ.

ჩემს სტატიაში განსაკუთრებით ბევრს ვწერდი იმ დანაშაულების შესახებ, რომლებიც ხდება მწვრთნელთა კადრების აღზრდა-დაწინაურების სფეროში. „ახალკაცისტებმა" წაუყრუეს ჩემს მიერ მოტანილ მრავალრიცხოვან ფაქტებს, რომ მწვრთნელებთან მუშაობა, ფაქტობრივად, ჩამლილია. ფედერაციის ხელმძღვანელობამ, თავის მიერვე შედგენილი დებულების უხეში დარღვევით, ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნა დ. ყიფიანი, რომლის თხუთმეტწლიან სამწვრთნელო პრაქტიკაში პრაქტიკულად მხოლოდ დამარცხებები გვხვდება. ამ საკადრო „სიბრძნის" შედეგია სამარცხვინო წაგება პოლონეთის ნაკრების დუბლიორებთან ჩვენი გუნდის უძლიერესი შემადგენლობით.

უპასუხოდ დარჩა ჩემი ბრალდებები, რომ ფედერაციამ კლუბებს აბსურდულად აუკრძალა ერთის მეტი უცხოელის მოწვევა. ასევე აბსურდულად აკრძალა სეზონის მიმდინარეობისას კლუბიდან კლუბში გადასვლა ფეხბურთელისა, რის გამოც მრავალი ნიჭიერი მოთამაშე უცხოეთში მოხვდა.

ფედერაციის ხელმძღვანელობა განსაკუთრებით გააცეცხლა ჩემმა ბრალდებებმა კორუფციისა და ძალაუფლების გადაჭარბების თაობაზე, მაგრამ საპასუხო არგუმენტები არც აქ წარმოუდგენიათ, გარდა იმისა, რომ მათი მტკიცებით, თურმე, საქართველოში დღესაც ისეთივე კრიმინალური ვითარებაა, როგორც 1992-93 წლებში იყო. ამიტომ არ ხერხდება, თურმე, არც სტადიონზე შესულთა რიცხვის გაკონტროლება, არც ხეირიანი უცხოური გუნდების მოწვევა თბილისში. ამიტომაც უაზროდ იხარჯება კოლოსალური თანხები. ნ. ახალკაცის და მისი თანამზრახველების ერთადერთი „არგუმენტია": არავინ გაბედოს ფედერაციის საქმიანობაში ჩარევა, თორემ ფიფასა და უეფაში დავაბეზღებთ და ქართულ ფეხბურთს საერთაშორისო იზოლირება არ ასცდება.

ფედერაციის ხელმძღვანელები მაბრალებენ, თითქოს მათთვის შეურაცხყოფა მიმეყენებინოს, მაგრამ ვერც ამას ადასტურებენ ჩემი სტატიის ციტირებით. თავად კი მრავალი შეურაცხყოფა მომაყენეს მეც (როგორც ქვემოთ ვნახავთ) და სხვებსაც (რად ღირს თუნდაც დამსახურებული ადამიანების „ლობიო-ხელმძღვანელებად" მოხსენიება). დღეს ყველა ჩავარდნას, და პრაქტიკულად სრულ კოლაფსს ჩვენი ფეხბურთისა, ახალკაცი და „ახალკაცისტები" ხსნიან „ობიექტური მიზეზებით". მათ ჰგონიათ, რომ გულშემატკივრები სკლეროზიანები არიან და აღარ ახსოვთ, როგორ უხვად იძლეოდა ცაში ვარსკვლავთა კრეფის დაპირებებს იგივე ახალკაცი, როცა ფედერაციის ხელში ჩაგდება სურდა. ახლა კი ქალთა ფეხბურთის გასავითარებლად იკაპიწებს მკლავებს (თან გაიძახის, მამაკაცთა ფეხბურთისთვის არ გვეყოფის არაფერიო!). ნუთუ არ იცის ბატონმა ნოდარმა, რომ ქალი და ფეხბურთის თამაში ისეთივე ურთიერთგამომრიცხველი ცნებებია, როგორც მამაკაცი და მშობიარობა. იცის, კარგად იცის! მაგრამ ქალთა ფეხბურთში სხვა „პერსპექტივას" ხედავს!

ახალკაცის „[illegible]" მთავარი არგუმენტი, მათ თქმით ათასჯერ [illegible] შემდეგია: ვინ უნდა იდგეს სათავეში ჩვენი ფეხბურთის ფედერაციას, თუ არა ნოდარ ახალკაცი, ის ხომ ყველაზე წარმატებული ქართველი მწვრთნელიაო. ამაზე მე ვუპასუხებ, რომ არც ფიფას, არც უეფას, არც დიდი საფეხბურთო ქვეყნების ფედერაციებს სათავეში არასოდეს სდგომიან ყოფილი მწვრთნელები და ფეხბურთელები. „ახალკაცისტებმა" ჩემს ამ არგუმენტსაც წაუყრუეს. ან კი რა ეთქმით? მათი ლოგიკით, ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი პელე უნდა იყოს, გერმანიისა — ბეკენბაუერი, ჰოლანდიისა — კრუიფი და ა. შ.

აი, როგორ „ოპონენტებთან" მაქვს საქმე და როგორი თანამოაზრეები ჰყავს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს. ისინი, ცხადია, ცდილობენ შეუქმნან მკითხველს შთაბეჭდილება, რომ მათს პასუხებში არის არა მხოლოდ უწმაწური სიტყვები, არამედ კონტრარგუმენტებიც. ამიტომ ჩააცივდნენ ორ თუ სამ საკითხს (ჩემი სხვა ბრალდებები კი თითქოსდა არც გამოთქმულა).

და მაინც, რას მიწერენ პასუხად? პირველი, ვინც ვრცელი „პასუხი" მაახლა, იყო საგარეო საქმეთა სამინისტროს საფინანსო განყოფილების გამგე ანტონ ონიანი („ქ. ფ.", 23 მაისი). იგი ისეთი რიხით მომმართავს თავის „ღია წერილში თემურ მირიანაშვილისადმი", თითქოს ჩემს არც ერთ არგუმენტს არ მიტოვებდეს უპასუხოდ.

ა. ონიანის პუბლიკაციის თითქმის ნახევარი ეძღვნება ნ. ახალკაცის ხოტბას იმის გამო, რომ მან გამოჰყო ქართული ფეხბურთი საბჭოთა ფეხბურთისაგან. ონიანი მკითხველს უქმნის შთაბეჭდილებას, რომ მე ეროვნული ჩემპიონატის მოწინააღმდეგე ვარ, თუმცა სათანადო ციტირებას ჩემი სტატიიდან, ცხადია, ვერ ახდენს. მე იმთავითვე ეროვნული ჩემპიონატის მომხრე ვიყავი (იხ. ჩემი სტატია „ხანჯალი ზურგში", „ახალგაზრდა ივერიელი", 30 აგვისტო, 1990). მე იმიტომ ვაკრიტიკებ ახალკაცს, რომ მან ეროვნული ჩემპიონატი დასცა, მიწასთან გაასწორა.

თეიმურაზ მირიანაშვილი.

(დასასრული იქნება)

რაგბი

ქართველი ჯარისკაცები ჰოლანდიას ესტუმრებიან

მორაგბეებს სხვა სპორტსმენებმაც უნდა მიბაძონ

ერთ კვირას იმყოფებოდა საქართველოში ჰოლანდიის ქალაქ ამსტელვეენის მორაგბეთა კლუბი ფკს, რომელმაც 3 ამხანაგური მატჩი გამართა. აქედან 2 შეხვედრა მოიგეს მასპინძლებმა, 1 კი ფრედ დასრულდა.

2 თვის წინ ჰოლანდიელებმა თავიანთი ქვეყნის ჩემპიონატის პირველი ლიგიდან უმაღლესში გადაინაცვლეს. გუნდი ფიზიკურად საკმაოდ მობილურია, ტექნიკურ-ტაქტიკურად კი შედარებით მოისუსტებს.

ჰოლანდიელებს თბილისის ასკ-ს მორაგბეთა გუნდი და მათი უფროსი მწვრთნელი ლევან მგელაძე მასპინძლობდა, რომლის თაოსნობითაც მოხერხდა ჰოლანდიელთა სტუმრობა. სხვათა შორის, ნიდერლანდელები ერთი კვირის მანძილზე თბილისში, ჩვენი მორაგბეების ოჯახებში ცხოვრობდნენ.

ამსტელვეენის გუნდს ავლაბარში გამართული პირველი თამაში ჩვენმა არმიელებმა 28:7 (15:0) მოუგეს. ამ გუნდების მეორე მატჩი ახალციხეში ფრედ — 21:21 დასრულდა. მესამე შეხვედრა კი სტუმრებმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მორაგბეთა გუნდთან გამართეს და დამარცხდნენ — 31:41.

სპორტული თვალსაზრისით უფრო საინტერესო იყო მეორე შეხვედრა, სადაც სტუმრები რევანშისათვის იყვნენ განწყობილნი. სხვათა შორის, მათ შეხვედრის პირველი ტაიმი სამი ქულის სხვაობით მოიგეს. მეორე ტაიმში კი ჩვენებმა ანგარიში გაათანაბრეს 21:21, მაგრამ მეტის გაკეთება ვეღარ შეძლეს. თუ ჰოლანდიელები ტაქტიკურად მოისუსტებენ, არც არმიელთა გუნდზე ითქმის, რომ უნაკლოა, მაგრამ ენერგიული მწვრთნელის ლევან მგელაძის თავკაცობით, ვფიქრობთ, უფრო მრისხანე მეტოქე გახდება ეს ახალგაზრდული გუნდი მეტოქეთათვის.

ეს იყო პირველი მატჩი რაგბიში, რომელიც ჩვენი ძირძველი, მესხეთის მიწაწყალზე გაიმართა.

მართალია, ახალციხის სტადიონზე, სადაც მოეწყო ეს საერთაშორისო მატჩი, ტრიბუნებზე საკმაოდ მაღალი ბალახი იყო, მაგრამ ხალხი მაინც ბლომად დაესწრო მატჩს და კმაყოფილი დარჩა ამ ფიცხელი შერკინებით.

ახალციხეში რაგბი ახლა იკიდებს ფეხს, გამოჩენილი მორაგბე, მიხეილ ხარშილაძე ადიგენის რაიონიდან — 28 კილომეტრიდან ყოველდღე დადის ახალციხეში, რომ პატარა ბიჭები ამეცადინოს რაგბიში...

ყოფილი სსრკ ჩემპიონი და პრიზიორი, თასის მფლობელი, ევროპის პირველობის პრიზიორი, თბილისის „ლოკომოტივის", ქუთაისის „აიას" და ყოფილი სსრკ ნაკრების შემადგენლობაში, შესანიშნავი გარემარბი მიხეილ ხარშილაძე მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა და სერიოზულად არის განწყობილი მესხეთ-ჯავახეთში რაგბის დასანერგად. ამ მიზნისათვის სწორედ მისწრება იყო ჰოლანდიელ და ქართველ მორაგბეთა მატჩი ახალციხეში...

ვფიქრობთ, მორაგბეებს სხვა ქართველმა სპორტსმენებმაც უნდა მიბაძონ. საერთაშორისო დონის სპორტულ შეხვედრებს ახალციხის, ასპინძის, ადიგენის, ახალქალაქის და, საერთოდ, მესხეთ-ჯავახეთის მიწაზე, რაც უფრო ხშირად მოვაწყობთ, მეტად მოიგებს სპორტი და ქართული საქმეც...

ერთი თვის შემდეგ ქართველი არმიელი სპორტსმენები საპასუხო ტურნეზე ესტუმრებიან ჰოლანდიაში ამსტელვეენის მორაგბეთა კლუბს, რომელშიც, სხვათა შორის, ერთი წელიწადია, თამაშობს ვეტერანი მორაგბის თამაზ ანდღულაძის ვაჟი ნოდარ ანდღულაძე („ნონო"). მალე, ალბათ, ამ კლუბში ითამაშებს მეორე ვეტერანი მორაგბის ვლადიმერ („ბაბულია") აბაშიძის ვაჟი, ვასილ აბაშიძეც.

ასე რომ, მეგობრული კონტაქტები ქართველ და ჰოლანდიელ მორაგბეთა შორის გრძელდება...

გაბრიელ ბარჯაძე.

ჟურნალისტები მოზღვავდებიან

2000 წლის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს სიდნეიში ერთბაშად ორი პრესცენტრის გახსნა. ერთი ჩვეულებრივი იქნება — თამაშებზე აკრედიტებული კორესპონდენტებისათვის, მეორე კი — „არაორგანიზებული" ჟურნალისტთა საძმოსათვის. როგორც ფიქრობენ, მათი რიცხვი სულ ცოტა 5 ათასი იქნება. სწორედ მათი, ვისაც არ ექნება რეპორტიორის საშვი, ყველაზე ძალიან ეშინიათ ავსტრალიის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში. იქ მიაჩნიათ, რომ „არაორგანიზებული" სენსაციის ძიებაში, ხშირად ისეთ რამეს დაწერენ, რაც მასპინძლებს არ ეპიტნავებათ, ეს კი დიდად აზარალებს ქვეყნის ტურიზმის ინდუსტრიას.

რაც მართალია, მართალია, ავსტრალიელები გულდასმით ეცნობოდნენ ყოველივე იმას, რაც ატლანტის ოლიმპიადაზე იწერებოდა და კარგად იციან, რა ადვილად შეიძლება მტრების შეძენა. ამიტომაც განსაკუთრებით იზრუნეს, რათა მასმედიას სათანადო სამუშაო პირობები ჰქონდეს, სატელეფონო კავშირის დამყარებაც ადვილად შეეძლოთ და სასტუმროებშიც კარგი ნომრები დახვდეთ. თუ საჭირო გახდა, საორგანიზაციო კომიტეტი მზადაა, რათა ჟურნალისტებს არ გაუჭირდეთ სპორტსმენებისა და ოფიციალური პირებისაგან ინტერვიუს აღება.

ჭადრაკი

დორტმუნდი — ნამდვილი სუპერტურნირი

ვერც კი მოასწრო დამთავრება „ბატონი დიდი ნოვგოროდის" ტურნირმა, რომ მისი ექვსი მონაწილიდან ხუთმა დორტმუნდში გადაინაცვლა. აქ მე-19 კატეგორიის სუპერტურნირი დაიწყო, ნოვგოროდისაზე რამდენჯერმე უფრო ძლიერი, ზოგი ავტორიტეტული მიმომხილველის აზრით კი, თუმცა მასში გარი კასპაროვი არ თამაშობს, — საუკეთესო ყველა წლევანდელ ასპარეზობას შორის.

კასპაროვი უკვე კარგა ხანია თანამედროვეობის № 1 მოჭადრაკეა და ამაზე, ცხადია, არავინ დავობს. ადრინდელ მიღწევებს რომ თავი დავანებოთ, მან ხომ ზედიზედ მოიგო ლას-პალმასის, ლინარესისა და დიდი ნოვგოროდის სუპერტურნირები. დიახ, მაგრამ ვინ არის დღევანდელ № 2 მოჭადრაკე? ამ საკითხში საერთო აზრი არ არსებობს. ზოგი ასეთად ვლადიმირ კრამნიკს ასახელებს, ზოგი ვიში ანანდზე მიუთითებს, რომელიც, ვთქვათ, იანვრისათვის „რეიტინგ-ლისტში" მეორე იყო, სხვები კი, მსოფლიოში მეორე მოჭადრაკედ ფიდეს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონ ანატოლი კარპოვს ანიჭებენ უპირატესობას.

დორტმუნდის სუპერტურნირი, რომელიც უკვე 25-ჯერ იმართება, იმით არის საყურადღებო, რომ აქ ერთიც თამაშობს, მეორეც და მესამეც. ამდენად, მისი დამთავრების შემდეგ ერთგვარი წარმოდგენა მაინც გვექნება, თუ როგორია ძალთა შეფარდება თანამედროვეობის წამყვან დიდოსტატთა შორის.

ჯერ მონაწილეთა სიას გადავხედოთ. თამაშობს 10 დიდოსტატი ერთ წრედ, ე.ი. თითოეულს 9 პარტიის ჩატარება მოუხდება, რაც, ცხადია, ცოტაა და ყველა შეხვედრას მეტად დაძაბავს: ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, მეორე მსოფლიო „რეიტინგ-ლისტში", კოეფიციენტი 2770), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, მესამე, 2765), ანატოლი კარპოვი (რუსეთი, მეოთხე-მეხუთე, 2745), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, მეოთხე-მეხუთე, 2745), ვასილ ივანჩუკი (უკრაინა, მეექვსე, 2725), ბორის გელფანდი (ბელორუსია, მეათე, 2695), იუდით პოლგარი (უნგრეთი, მე-14, 2670), ნაიჯელ შორტი (ინგლისი, მე-17, 2660), არტურ იუსუპოვი (გერმანია, მე-20, 2640), რობერტ ჰიუბნერი (გერმანია, ამჯერად აღარ შედის უძლიერესთა პირველ ათეულში).

დორტმუნდის ტურნირს პრინციპული მნიშვნელობა აქვს: ანატოლი კარპოვმა უნდა დაამტკიცოს, რომ მისი მატჩი გარი კასპაროვთან (თუკი, რა თქმა უნდა, მის საორგანიზაციო მხარეს თავი მოება) შემთხვევით არ იმართება. ამისათვის იგი უეჭველად პირველ ადგილზე უნდა გავიდეს. იგივე ამოცანები იდგა ვიდრე მსოფლიო ჩემპიონის წინაშე აპრილში, დოს — ერმანასში (ესპანეთი), მაგრამ იქ კარპოვი მხოლოდ III-V ადგილების გაყოფას დასჯერდა, რითაც, კასპაროვის თქმით, მათი მომავალი მატჩის სპონსორები დააფრთხო.

ვლადიმირ კრამნიკმა წლეულს სამ სუპერტურნირში მიიღო მონაწილეობა და სამივეში მეორე ადგილი დაიკავა. ორჯერ მას კასპაროვმა გაასწრო (ლინარესსა და დიდ ნოვგოროდში), ერთხელ — ანანდმა (დოს-ერმანასში, მართალია, მხოლოდ დამატებითი მონაცემებით). რადგან დორტმუნდში კასპაროვი არ თამაშობს, კრამნიკი ვალდებულად მიიჩნევს პირველი ადგილისათვის ითამაშოს — ესეც დამატებითი ინტრიგაა ამ შეჯიბრებაზე.

ვიში ანანდს არათანაბარი შედეგები აქვს, მაგრამ თუ „თამაშიააწყო", ვერაფერი აჩერებს. ასე იყო დოს — ერმანასში და ბევრ სხვა შეჯიბრებაზეც. ანანდი უკვე რამდენიმე ხანია ესპანეთში დასახლდა, სადაც მას ეხმარებოდა ჩვენი თანამემამულე ელიზბარ უბილავა. ინდოელი მხოლოდ 27 წლისაა, ასე, რომ...

„კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანს", წარმატებით გათამამებულმა ვესელინ ტოპალოვმა, რომელიც ბოლო ორი წლის განმავლობაში არც ერთ დიდი ტურნირში პრიზის გარეშე არ დარჩენილა, დიდ ნოვგოროდში ბოლო ადგილი დაიკავა. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ახლა მეტად აგრესიულად ითამაშებს, თუმცა ეს ხომ ბულგარელის ჩვეული სტილია.

იყო დრო, როცა ვასილი ივანჩუკი მსოფლიოში № 2 მოჭადრაკედ ითვლებოდა. ახლა უკრაინელი მოჭადრაკის (იგი 28 წლისაა) თამაშში რაღაც მოიმალა, მეტად არათანაბარი გახდა. ივანჩუკს შეუძლია დაამარცხოს კასპაროვი, როგორც ეს ლინარესში მოხდა, მაგრამ ამავე დროს სისტემატურად აგებს იუდით პოლგართან, თუმცა უნგრელმა მოჭადრაკე ქალმა ასეთ შედეგებს სხვა გამოჩენილი დიდოსტატებიც „შეაჩვია".

ნაიჯელ შორტის შედეგის წინასწარ გამოცნობა ყოვლად შეუძლებელია. თქვენ თვითონ განსაჯეთ: იგი დეკემბერში პირველი იყო გრონინგენში, იანვარში დიდი მარცხი იწვნია ვეიკ-ან-ზეეში, აპრილში უკანასკნელის წინა (!) იყო დოს — ერმანასში, ამ დღეებში ჩინებლად ითამაშა დიდ ნოვგოროდში. გაიგეთ რამე?!

ბორის გელფანდი გაცილებით უფრო თანაბრად თამაშობს, თუმცა პირველ ადგილებს ვერსად იღებს. ასევე თანაბარი შედეგები აქვს ყოფილ მოსკოველს, დღეს კი გერმანიის წარმომადგენელ არტურ იუსუპოვს. იგი 37 წლისაა, მაგრამ ჩვენს გულშემატკივრებს ახლაც კარგად ახსოვთ ის დრო, როცა არტური, სულ ყმაწვილი საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ მოწყობილ შეჯიბრებაში მონაწილეობდა ბათუმში. ეს თითქოს გუშინ იყო, შემდეგ კი იუსუპოვი მსოფლიო ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტი გახდა.



იუდით პოლგარი უკვე ყველა სუპერტურნირის სასურველი მონაწილე გახდა. ვთქვათ ისიც, რომ თუ იგი იანვრისათვის ვაჟთა „რეიტინგ-ლისტში" 2645 პუნქტით ოცდამესამე იყო, ახლა 25 პუნქტი მოიმატა (!) და მე-14 ადგილზეა.

და, ბოლოს, რამდენიმე სიტყვა შეჯიბრების მასპინძელ რობერტ ჰიუბნერზე. იყო დრო, მას პრეტენდენტების ტურნირში დიდი წარმატებები ჰქონდა. „ასეთი ნიჭიერი მოჭადრაკე გერმანიას არა ჰყოლია ლასკერის შემდეგ" — წერდნენ მასზე საჭადრაკო პრესაში. ახლა, როცა უკვე 49 წლისაა, ჰიუბნერს ბევრმა გაუსწრო...

გივი გამრეკელი.

ბლიც-ანკეტა



ვაჟა აზარაშვილი — საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი.

1. ზოდიაქოს ნიშანი – კირჩხიბი;
2. საყვარელი მწერალი – ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, უილიამ შექსპირი, ალექსანდრე პუშკინი;
3. საყვარელი ლიტერატურული ქმნილება – „ვეფხისტყაოსანი“;
4. საყვარელი მხატვარი – მიქელანჯელო, ლეონარდო და ვინჩი, ვან გოგი, გოგენი, ლადო გუდიაშვილი;
5. საყვარელი რეჟისორი – მიხეილ თუმანიშვილი;
6. საყვარელი ფილმი – „ქეთო და კოტე“;
7. საყვარელი მსახიობი (მამაკაცი) – ვასო გოძიაშვილი, სერგო ზაქარიაძე, ზურაბ ანჯაფარიძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, გივი ბერიკაშვილი, ოლეგ ბასილაშვილი;
8. საყვარელი მსახიობი (ქალი) –ვერიკო ანჯაფარიძე, სოფიკო ჭიაურელი, ნინელი ჭანკვეტაძე;
9. საყვარელი კომპოზიტორი – ბეთჰოვენი, პუჩინი, ჩაიკოვსკი, სტრავინსკი, პროკოფიევი, ზაქარია ფალიაშვილი;
10. საყვარელი მუსიკალური ნაწარმოები – ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია, ბიზეს „კარმენი“, სტრავინსკის „საღვთო გაზაფხული“, ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“;
11. საყვარელი ხალხური სიმღერა – „ჩაკრულო“, „ხასანბეგურა“, მეგრული ლირიკული სიმღერები;
12. უდიდესი პოლიტიკოსი – იოსებ სტალინი;
13. ყველაზე პატივსაცემი ისტორიული პიროვნება – დავით აღმაშენებელი;
14. საყვარელი ქალაქი – თბილისი;
15. სპორტის საყვარელი სახეობა – ფეხბურთი;
16. გატაცება – სპორტი;
17. საკუთარი ღირსება – შრომისუნარიანობა, შრომისმოყვარეობა;
18. საკუთარი ნაკლი – ჭარბი ემოციურობა;
19. ყველაზე დიდი წარმატება – მსმენელის გულწრფელი აღიარება;
20. ცხოვრების ყველაზე დიდი კურიოზი – კომპოზიტორი არჩილ ჩიმაკაძე იხსენებდა: „... ყველგან ვაჟაა და „დინამო“... ერთხელ სოხუმში ზღვაში ვცურავდი, წყალმა შემიტყუა და ძალიან შორს გავცურე. ძრგვლივ რომ მიმოვიხედე, არაფერი ჩანდა ერთი კატერის გარდა, რომელიც ჩემსკენ მოძრაობდა; ბაქანზე კაპიტანი არ ჩანდა, საითაც გავცურე, კატერიც იქით წამოვიდა. კატერიდან ვაჟა აზარაშვილის „დინამოს“ მელოდია მოისმოდა. აი მაშინ კი ვიფიქრე – ვკვდები, ვიხრჩობი, ან კატერი გამიტანს... ბეთჰოვენის ან ფალიაშვილის მუსიკას მაინც გავეცილებინე... აქაც „დინამო“ და ვაჟა უნდა დამხვდნენ“?
21. ყველაზე მიმზიდველი ქალი – ყველა ქალი თავისებურად მიმზიდველია;
22. ყველაზე სიმპათიური მამაკაცი – ჟან გაბენი, ჟერარ ფილიპი;
23. ოჯახის შემადგენლობა – მეუღლე, ქალიშვილი, სიძე;
24. მეგობართა წრე – მერაბ დონაძე და მისი რაზმი;
25. რას აფასებთ ადამიანში – პატიოსნებას, შრომისმოყვარეობას;
26. საყვარელი კულინარული ნაწარმი – შემწვარი კარტოფილი;
27. საყვარელი სასმელი – კახური ტანინიანი ღვინო;
28. საყვარელი ცხოველი – შველი;
29. საუკეთესო მოგონება – მშობლები;
30. სანუკვარი ოცნება – ჩემი ერის ბედნიერება, ტერიტორიის მთლიანობა, ქართველთა სიმრავლე, მაღალი ზნეობა, ბარაქა და კეთილდღეობა.

რუბრიკას უძღვება
ზურაბ ოიკაშვილი.

„ზაფხული-97“

მასპინძელია თბილისის ზღვა

ამ ბოლო დროს თბილისის ზღვაზე ყოფილხართ?

არა?

ძალიან ცუდი! რა სჯობს ამ პაპანაქებაში ლურჯად მოლივლივე ტალღებს – ქალაქური სიცხისაგან გათანგული, გაეშვებით გადაეშვებით, ღრმად ჩაყვინთავთ და ცხოვრების ჭირვარამისაგან ერთბამად განიწმინდებით.

...ვერაფერს იტყვი. კარგი საჩუქარი დაგვრჩა წინა წყობილებიდან. ქალაქის მამინდელი მესვეურნი მართალია ზღვას ევროპულ ყაიდაზე ვერ უვლიდნენ, მაგრამ რაღაც-რაღაცეებს მაინც აკეთებდნენ. მახსოვს, ბოლო პერიოდში მშვენიერი საჩრდილობლები, გასახდელები, საქანელები, მცირე სპორტული მოედნები გამართეს, ცენტრალურ პლაჟზე ქვიშაც მოაყარეს და „ზღვა“ მართლაც ზღვას დაამსგავსეს.

ახლა რა ხდება?

ვიღაც კერძო პირებმა ზღვაზე შესასვლელ ნაგებობას, საჩრდილობლებს, როგორც ჩანს, „პრივატიზება გაუკეთეს“ და მიგ კაფე-ბარები მოაწყვეს (თუ ეს კანონის დაცვით არის გაკეთებული, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ). ჰოდა, იფრქვევა ახლა იქიდან ცხელი ყავის სურნელი, ცივი შამპანურის მხეფები და ექსტრავაგანტური მუსიკის ჰანგები, მაგრამ არა ზღვისა და უფულო კაცის სანუგეშოდ.

აქ ზღვისათვის არავინ ზრუნავს, არც ხალხისათვის . სამწუხაროდ, ძველი გასახდელებიდან მთელსა და საღსალამათს ვეღარ დალანდავთ, ახალსაც არავინ დგამს. და იქმნება სიტუაცია, როცა „მოაგარაკე“ უცხო თვალისაგან ვერ მოფარებულა, ვერც გაიხდის და ვერც ჩაიცვამს. ამას ზოგი სათავისოდ იყენებს და ზღვაში ტანფეხშემოსილი „ბანაობს“.

ამას კიდევ რა უჭირს, „მოაგარაკეთა“ ერთი ნაწილი, აქაოდა, ზღვა გათბაო, როგორც ჩანს, აბანოშიც აღარ დადის. ჭორი არ გეგონოთ, საკუთარი თვალით ვნახე, დარბაისლური გარეგნობის გასაპნული მამაკაცები ზღვაში თავით როგორ ეშვებოდნენ. მერე თვითონ რომ მორჩნენ ჭუჭყთაცლას, საპონი ბავშვებსაც წაუსვეს და სულ ღერიჭი-ღერიჭი ადინეს.

ასე გაგიჭირდებათ, „მაჩალკა“ უნდა წამოგველოთ-მეთქი, ვურჩიე ზღვაზე ამოსულ მეაბანოეებს. მართალი ხარ, მეორედ რომ წამოვალთ, უეჭველად გავიხსენებთო, თავი დამიქნიეს.

ამათი ჯავრი მოვიცილე, „მაჩალკის“ ყიდვა თბილისში პრობლემა არ არის, მაგრამ იმათ რა ეშველებათ, ვისაც ზღვაში პირდაპირ „ვოლვოთი“ რომ უნდა გადაშვება და ვერ ახერხებს? არადა, ძალიან მეცოდებიან, როგორც მძღოლები, ისე მათი ავტომობილები. პირველნი თავიანთი უთაურობისა და ხეპრეობის, ხოლო მეორენი ცრუ გარჯის გამო (ამაოდ ბუქსაობენ, მთელი პლაჟი გადათხრილია).

უფრო ცოდო კი ზღვა გახლავთ, რომელსაც აღარც ქალაქის ხელისუფლება პატრონობს და აღარც ხალხი. იმათ „საპატიო“ მიზეზი აქვთ (უსახსროდ არიან), მაგრამ ჩვენ რაღა დაგვემართა? მართალია, ფული არც ჩვენ გადაგვრჩენია, მაგრამ სინდის-ნამუსი?

ისე არავინ გამიგოს, თითქოს ზღვის ერთადერთი ტრფიალი მხოლოდ მე ვიყო, არა, ბატონებო, თბილისის ზღვას ჩემს გარდა უამრავი პატრიოტი და თაყვანისმცემელი ჰყავს. მაგრამ იმათ, ვინც პლაჟზე ავტომანქანებით დაჯირითობს, ვინც ზღვას აბინძურებს და დედაქალაქის ეკოლოგიას საფრთხეს უქმნის, პასუხი ვინმემ ხომ უნდა მოსთხოვოს?

არ მითხრათ ახლა, საკანონმდებლო ბაზა არ გვეყოფნისო. ხომ არ ვთხოვოთ პარლამენტს, ცოტაც გაიჭირვოს და სადაც ამდენი, ერთი კანონი თბილისის ზღვის თაობაზეც მიიღოს...

თუ კანონი გვექნება, გარანტიაც იქნება. ჩვენში ხომ კანონს ვერავინ გაექცევა!

ოთარ ხუციშვილი.



— შე კაცო, ზღვაში მანქანით რატომ შემოხვედი?
— „პლავკის“ წამოღება დამავიწყდა.

მხატვარი ვახტანგ კუცია.

ან კი თქვენ იცით...

2 ივლისს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქტო დარბაზში მოეწყო 1997 წლის კურსდამთავრებულთა დიპლომების საზეიმო გადაცემა.

მისასალმებელ სიტყვაში უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა გზა დაულოცა კურსდამთავრებულებს და აღნიშნა, რომ ეს დღე მნიშვნელოვანია არა მარტო კურსდამთავრებულთათვის, არამედ სასწავლებლისათვისაც, რადგან სახელმწიფო უნივერსიტეტში, დიპლომების გადაცემის საზეიმო ცერემონიალის ტრადიცია განახლდა. უნივერსიტეტი შეეცდება, არ დაკარგოს თავის კურსდამთავრებულებთან ურთიერთობა, შეხვდნენ ერთმანეთს, და ყოფილმა სტუდენტებმა დროდადრო ანგარიში ჩააბარონ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. საგულისხმოა, რომ დიპლომების საზეიმო გადაცემა თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოში პირველად მოხდა.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა, სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ზაზა შენგელიამ, აკადემიკოსმა მარიკა ლორთქიფანიძემ, სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირის პრეზიდენტმა გიორგი მარაშიძემ.

დასასრულს ანსამბლმა „თბილისურმა ხმებმა“ უკვდავი „მრავალჟამიერი“ დააგუგუნა.

ლელა დონაძე.

სურათზე: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი დიპლომების გადაცემისას.

დავით ხიზანიშვილის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა)

საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამედიცინო ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1997/98 სასწ. წლისათვის სამკურნალო ფაკულტეტზე (თერაპია, ქირურგია, მეანობა-გინეკოლოგია, ფიზიოთერაპია-კურორტოლოგია და სხვა).

აბიტურიენტთა ჩარიცხვა მოხდება ბიოლოგიასა და ქიმიაში გასაუბრების შედეგად. ფრიადოსნები ჩაირიცხებიან გასაუბრების გარეშე.

საბუთების მიღება 25 ივლისამდე 10 საათიდან 16 საათამდე ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა.

სწავლის საფასური ხელმისაწვდომია და მისი გადახდა მოხდება ორ ეტაპად, სემესტრების მიხედვით.

ინსტიტუტის კურსდამთავრებულებს მიეცემათ ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებული უმაღლესი სამედიცინო განათლების ერთიანი სახელმწიფო სტანდარტის ექიმის დიპლომი. ინსტიტუტში ასწავლიან აკადემიკოსები, პროფესორები.

ინსტიტუტს აქვს მაღალხარისხოვანი და უახლესი სამედიცინო ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ბაზები, ბიბლიოთეკა.

ინსტიტუტმა გაიარა ატესტაცია-აკრედიტაცია და დამტკიცებული აქვს რეზიდენტურა.

დაწვრილებითი ცნობებისათვის
მიმართეთ:
თბილისი. 380005. გორგასლის 9.
ტელეფონები: 72-37-79; 72-20-61.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1997 წლის № 149-ში გამოქვეყნებულ საინფორმაციო ცნობაში სს „მადნეულის-ძირითადი ფონდების განახლებისათვის კაპიტალდაბანდებათა მოზიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერის VII თავის 1 პუნქტის მესამე სტრიქონში, ნაცვლად „მე-8-ე მუხლით“ უნდა იყოს „მე-4 მუხლით“, დანარჩენი როგორც ტექსტშია.

სს „მადნეულის“ სატენდერო კომისია.

ხსოვნა

მერაბ ყურაშვილი

ქართველ საზოგადოებას კიდევ ერთი ღირსეული წევრი გამოაკლდა. გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო მექანიკის კათედრის გამგე, პროფესორი მერაბ კვიროსის ძე ყურაშვილი.

დაიბადა 1936 წელს თბილისში. 1959 წელს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო თბილისის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1966 წლიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო მექანიკის კათედრაზეა ჯერ ასისტენტის, შემდგომ დოცენტის თანამდებობაზე. 1983 წლიდან ამ კათედრის გამგეა, ხოლო 1996 წლიდან – პროფესორი.

კათედრაზე 30 წლის მუშაობის განმავლობაში მისი ინიციატივით გადამუშავდა სამშენებლო მექანიკის კურსის პროგრამა, რომელშიც მკვეთრად გაიზარდა კომპიუტერზე ორიენტირებული მეთოდების ხვედრითი წონა, შეიქმნა და გამოიცა ორიგინალური სახელმძღვანელოები თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისათვის.

პროფესორი მერაბ ყურაშვილი ავტორია 60-ზე მეტი სამეცნიერო შრომის, 2 სახელმძღვანელოსი და 6 მეთოდური მითითებისა. მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით დამუშავდა ახალი კომბინირებული ალგორითმები და პროგრამული პაკეტები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა ნაგებობების, განსაკუთრებით ტრანსფორმირებადი კონსტრუქციების, კერძოდ, კოსმიური ბაზირების ანტენების ოპტიმალურ პროექტირებაში. იგი ერთ-ერთი დამაარსებელი და უცვლელი მონაწილეა 1972-90 წლებში მუდმივმოქმედი საკავშირო სკოლა-სემინარისა, რომელიც ყოველ ორ წელიწადში გარდებოდა კავშირის წამყვან სამეცნიერო ცენტრებში და ეძღვნებოდა დრეკადი ტანის მექანიკაში სასრულ ელემენტთა მეთოდის გამოყენების საკითხებს. იგი იყო აგრეთვე საკავშირო უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების სამინისტროსთან არსებული სიმტკიცის დისციპლინების ციკლის მეთოდური საბჭოს წევრი, ამავე საბჭოს კავკასიის რეგიონის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო და მეთოდური საბჭოს წევრი, ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოს სამშენებლო მექანიკის სექციის ხელმძღვანელი. მისი შრომები გამოქვეყნებულია საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებსა და კონფერენციების ანგარიშებში.

მერაბ ყურაშვილი თავისი დარგის საუცხოო სპეციალისტი და ფართო ერუდიციის მეცნიერი იყო. მას მომადლებული ჰქონდა პერსპექტივის განჭვრეტის უნარი–ესოდენ აუცილებელი თვისება ოცდამეერთე საუკუნის ზღვარზე მოღვაწე მკვლევარისთვის. იგი ჩინებული ორგანიზატორი და ასევე ჩინებული აღმზრდელი პედაგოგი იყო. ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდებისათვის გზის გაკვალვა მის უმთავრეს საზრუნავს წარმოადგენდა. სტუდენტთა მეცნიერული ნაშრომების საკავშირო კონფერენციებზე, რომლებიც ადრე იმართებოდა, მისმა სტუდენტებმა ორჯერ ოქროს და ოთხჯერ ვერცხლის მედლები მოიპოვეს. მარშან ლონდონში მისი ხელმძღვანელობით მომზადებული სადოქტორო დისერტაციისთვის მის ასპირანტს, ქართველ ახალგაზრდას ტექნიკის დარგში ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მიენიჭა.

პროფესორი მერაბ ყურაშვილი ნამდვილი ქართველი ინტელიგენტი იყო: თავისი ქვეყნისა და ქართული მეცნიერების გულმხურვალე პატრიოტი, მრავალმხრივ განათლებული, უაღრესად კეთილმოსურნე, ზრდილი, თავაზიანი და ამავე დროს – საოცრად პრინციპული, როცა საქმე მეცნიერების ინტერესებს თუ ზნეობას ეხებოდა.

მისი სიკვდილი მძიმე დანაკლისია არა მარტო ახლობლებისა და საქართველოს ტექნიკური ინტელიგენციისათვის, არამედ, მთელი ჩვენი საზოგადოებისთვის.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი,
სამშენებლო ფაკულტეტის დეკანატი,
სამშენებლო მექანიკის კათედრა.

პლატონ საყვარელიძე

გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, ჯანმრთელობის წარჩინებული, ღვაწლმოსილი მედიკოსი, ომისა და შრომის ვეტერანი პლატონ ბიქტორის ძე საყვარელიძე.

დაიბადა 1914 წელს. ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც 1940 წელს დაასრულა. იმავე წელს მუშაობას იწყებს ხარაგაულის რაიონის სოფელ ბორითში ექიმად. სამამულო ომის დაწყებისთანავე ფრონტზეა, სადაც მრავალ ჯილდოს იმსახურებს. ომის დამთავრების შემდეგ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის სამედიცინო ნაწილის მთავარ ექიმად მუშაობს. 1952 წლიდან იყო წყალტუბოს რაიონის მთავარი ექიმი, ჯერ სანატორიუმ „მეშახტეს“, შემდეგ კი სანატორიუმ „ცენტროსოიუზს“ ჩაუდგა სათავეში. ორჯერ დაჯილდოვდა საპატიო ნიშნის ორდენით.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი ადამიანი, კაცი რომელსაც გულით უხაროდა ქალაქ-კურორტის წინსვლა და წარმატება და ამ საქმეში თავისი წვლილიც შეჰქონდა. ბატონი პლატონ საყვარელიძის ხსოვნა მუდამ დარჩება მისი თანამშრომლების, კოლეგების გულში. ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი სული.

ქ. წყალტუბოს მერია; სანატორიუმ „მედეას“ თანამშრომლები.

გია დაუშვილი

21 გაზაფხული მხოლოდ... 21 წელი ძალიან ცოტაა გია! დედის ერთადერთო იმედო, ვინ გაგიმეტა, ვინ წაგართვა მზე და სიცოცხლე, ჩვენო ლამაზო ვაჟკაცო, ვინ ჩაუქრობს იმ მარადიულ ცეცხლს გულში შენს გამწარებულ დედას, ვინ ამოუშრობს ცრემლებს შენს საყვარელ დაიკოებს.

მიდიხარ ჩვენგან და გვიტოვებ გაუნელებელ ტკივილს, უსაშველო სევდას და ცრემლებს.

შენ მარადისობაში გადასულო უკვდავო სულო, მარად ჩვენთან დარჩები.

შენ, დაუშვილების გლოვის ზარო, გემშვიდობებით, გეფერებით და გპირდებით, რომ სანამ ვიცოცხლებთ, დარჩები ჩვენთან. იძინე მშვიდად და ნურაფერი შეაშფოთებს შენს ახალ სამყაროს.

ნათია და ბელა დაუშვილები.

პანაშვიდი 3,4 VII 5 სთ. გამოსვენება 5 VII, 3 სთ. კიკეთის ქ. № 39.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები უთანაგრძნობენ მეცნიერებისა და სკოლების რედაქციის რედაქტორს ნანული ბარათაშვილს ძმის
მერაბ ყურაშვილის
გარდაცვალების გამო.

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ჟურნალის ყოფილ რედაქტორს მარიკა ბარათაშვილს შვილის
მერაბ კვიროსის ძე ყურაშვილის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო სამძიმარს უცხადებს ამავე საბჭოს მთავარ სპეციალისტს გელა კიკვაძეს მამის
ნიკოლოზ კიკვაძის
გარდაცვალების გამო.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი იუწყება, რომ გარდაიცვალა თეატრის ყოფილი დირექტორი, პროფესორი
ირაკლი ბერიძე
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შპს „საქპრესის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა „საქპრესის“ ოზურგეთის ფილიალის მთავარი ბუღალტერი
გულნარა დავითის ასული გოგოტიშვილი
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის კორპორაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა „საქწიგნის“ № 2 მაღაზია „აისის“ დირექტორი
მირიან გაბრიელის ძე გაბინაშვილი
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ON CLINIC LTD
MEDICAL CENTERS
ON CLINIC & UNIMED
თქვენს ოცნებას რეალობად აქცევს!
საუკეთესო ქირურგ-პლასტიკოსები ისრაელიდან გთავაზობენ ყველა სახის პლასტიკურ ოპერაციებს კომპიუტერული გრაფიკის გამოყენებით
პირველად საქართველოში
1. სახის და კისრის კანის დაჭიმვა;
2. ტუჩ-ცხვირის ნაოჭების გასწორება;
3. კანქვეშა ცხიმის მოშორება ამოტუმბვით;
4. მკერდის აწევა, გადიდება დადაპატარავება;
5. ტუჩების ფორმის შეცვლა;
6. ღაბაბის მოცილება;
7. შუბლის და წარბების აწევა;
8. მუცლის პლასტიკა;
9. ბარძაყის კანის დაჭიმვა;
10. ქვედა და ზედა ქუთუთოების ფორმის შეცვლა;
11. ცხიმის გადანერგვა (სკულპტურა);
12. ყურის და ცხვირის ფორმის შეცვლა
თმის გადანერგვის უნიკალური მეთოდი!
თმის ნერგების გადანერგვის შედეგად პაციენტს თმა ჩვეულებრივად ეზრდება და გამელოტების პრობლემა სამუდამოდ მოხსნილია!
ჩვენი მისამართია
ი. აბაშიძის 3 (ყოფილი ბარნოვის 91)
დარეკეთ
22 76 78 25 22 28
კიდევ ერთი სიახლე
ჰემოროიდალური შიდა კვანძების (გუსილის) მოცილება თანამედროვე უოპერაციო მეთოდით უსისხლოდ და უმტკივნეულოდ, სტაციონარში დაწოლის გარეშე.

ყურადღება!
„საქართველოს ბანკი“
„საქართველოს ბანკმა“ პირველად საქართველოში გამოუშვა და მიმოქცევაში დანერგა ქართული პლასტიკური ბარათი „GEORGIAN CARD“, რომელიც უნაღდო, უსწრაფესი, უხიფათო, მოხერხებული და მომგებიანი ანგარიშსწორების ინსტრუმენტია. მისი შეძენა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.
პლასტიკური ბარათები მთელ მსოფლიოში და ამიერიდან საქართველოშიც, მის მფლობელს საშუალებას აძლევს შეიძინოს საქონელი და მომსახურება ნაღდი ფულის გადახდის გარეშე, ამასთანავე, მიიღოს დამატებითი შემოსავალი თავის საბარათო ანგარიშზე ბანკში განთავსებული თანხიდან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – მიიღოს ნაღდი ფულიც.
პლასტიკური ბარათით მომსახურე ორგანიზაციათა რაოდენობამ თბილისში უკვე გადააჭარბა 160-ს და მათი რიცხვი ყოველდღიურად იზრდება, მათ შორის, უნივერმაღი „თბილისი“, DHL, სუპერმარკეტები, სასტუმროები, ავიასერვისი, თელასი, და ა. შ. და ა. შ. ყველგან, სადაც კი გაკრულია „GEORGIAN CARD“-ის სარეკლამო ნიშანი, პლასტიკური ბარათების მფლობელებს სიხარულით მიიღებენ და ნაღდი ფულის გადამხდელებთან შედარებით გარკვეულ უპირატესობებსაც შესთავაზებენ.
მობრძანდით „საქართველოს ბანკის“ თბილისის ნებისმიერ ფილიალში, სადაც მიიღებთ კვალიფიციურ ინფორმაციას, და დარწმუნდებით, პლასტიკური ბარათის შეძენის აუცილებლობაში!
დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ:
სს „საქართველოს ბანკი“
ტელ: 98-32-58, 98-32-63, 98-32-68.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, დავით იაკობიძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
სპარტაკ ქობულია.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში ხოშარაულის 29.